რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,
უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი.
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

როგორც ოხვრა შორეული გედის,
ანდა როგორც მარმარილო ცივი,-
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.



ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი,
შენ გაიგებ ჩემს ამნაირ ტირილს.
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,
უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი.
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

ტერენტი გრანელი



ეჭვები

**კაკაბაძე ზარათელს არ კოცნავს!**

ტკივილი

**ისტორიული ქადაგება, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს!**



#5

ასავალ დასავალის პარტნიორობით

07 თიბათვე 2003 წლიდან

# ხმა ამოიღეთ! უფლის, გაბრიელ ბერისა და კათოლიკოს-პატრიარქის მაგინებლები გამოჩნდნენ!



# ვერ მოკლავთ რუსთაველს!

## თინათინი ავთანდილს ქალიშვილობას დაჰპირებია!

## ხელშეუხებელი სიწმინდე და არ კასკის... „ანტიტყაოსანი“ უკანონო ქმნილებაა!

# იეღოველთა რესპუბლიკა



ნინო ნიშნიანიძე
გურამ შარაძის ადვოკატი

## არსებობს 5 კაცი, რომლებმაც გურამ შარაძის ორი მკვლელი დაინახეს



## თავ-დადებული ერი



„იმედი“ „რე-აქცია“, 2007 წლის 25 მაისი

**გიორგი შარაძე:** მე არა მაქვს უფლება, მამაჩემის შვილმა, რომც იყოს გიორგი დამნაშავე, არ მოვითხოვო, როგორც უძღებ შვილს მას აპატიონ!

მომავალ ნომერში რედაქტორის გვერდზე:



სამშობლოს სიყვარულის „ალფა“ და „ომეგა“

## I. პარანოის გაკვეთილები

ჩვენი ეპოქისთვის უცხო არაა ინდივიდუალიზმის გამოვლინება იმ ფორმებით, რომლებიც დაწესებული არის საზოგადოებრივი ეთიკის ნორმებით. მაგრამ ყოველთვის იქმნებოდა ისეთი ნაწარმოები (ლექსი იქნებოდა ეს, სიმღერა, რომანი, ფილმი თუ კიდევ სხვა რამ, რასაც შეიძლება ნაწარმოები ეწოდოს), რომელიც საზოგადოებას შოკში აგდებდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამით განებივრებულებიც კი ვიყავით მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში. პაბლო პიკასოდან დაწყებული სალვადორ დალიმდე (მხატვრობაში), ჩარლი ჩაპლინიდან ფედერიკო ფელინიმდე (კინო-ხელოვნებაში), ვლადიმერ მაიაკოვსკიდან ვიდრე გაბრიელ-გარსია მარკესამდე (მწერლობაში), სენ-სანსიდან ჯიმ მორისონამდე, განსაკუთრებით ჯონ ლენონისა და „ბიტლზების“ შემოქმედებითი ტანდემი უნდა გამოიყოს (მუსიკაში) ეპოქა მთელს მეოცე საუკუნეს მოსაწყენად არ ხდიდა. სიგიჟე იყო და მერე როგორი. მარტო ომთაშორისი პერიოდი კმარა დასასახელებლად თუ რაოდენი გაქანებით მიილტვოდა კაცობრიობის შემოქმედებითი პოტენციალი პარანოიისაკენ. ამის უტყუარი დასტური მორის უტრილოსა და ამედეო მოდილიანის შემოქმედებაა თავად. სალვადორ დალიმ კი დაადასტურა, რომ პარანოია და ხელოვნება ერთი და იგივეა. მათთან ერთად იხვეწებოდა კაცობრიობის გემოვნება, რასაც პოლიტიკური პარანოია ცემატებოდა. ადამიანებს მოთხოვნილება გაუჩნდა სკანდალებისა და სენსაციებისადმი. ზოგიერთ შემთხვევაში სპეციალურად ხდებოდა სიგიჟის ინსპირირება, ზოგ შემთხვევაში იმიტაციაც კი, რადგან საკუთარი პერსონის წარმოჩენის უტყუარ საშუალებას წარმოადგენდა ასეთი მეთოდი.

უარყოფა? და მერე როგორი...

ფუტურისტებს ვინ შეედრებოდა უარყოფის ხელოვნებაში. ეს კი უდიდესი ესთეტიკური გემოვნებითა და კულტურული მოთხოვნილებიდან კეთდებოდა. უარყოფა თავად იყო აყვანილი ხელოვნების რანგში და იგი უდიდესი პროფესიონალიზმით წარმოებდა. ამ უარყოფით არათუ ვაკუუმური სივრცის შექმნას ესწრაფოდნენ, არამედ ერთის (საგნის, მოვლენის, მწერლის, ეპოქის თუ რელიგიის თუნდაც. - მ.კ.) უარყოფით იმ ერთს უნდა ჩანაცვლებოდა მეორე, ანუ სხვა (ის სხვა უარმყოფელის ინდივიდი, თაობა თუ საზოგადოებრივი მოვლენა, ან თუ რელიგიურ-საკულტო განყენებანი).

უარმყოფელი კარგად იცნობდა უარყოფის ობიექტს, ის სწავლობდა უარსაყოფს, რათა მეტად და მეტად ეპოვნა სისუსტეები, რითაც გაამართლებდა თავის ქმედებას. თვითმიზანი კი იყო თვითდამკვიდრების ინსტინქტი. ეს უარყოფაც ხელოვნებასა და კულტურაში მთელ რიგ მიმდინარეობებად ჩამოყალიბდა. უარყოფაში ვინ შეედრებოდა ფუტურისტებს, დადაისტებს, მოდერნისტებს, ავანგარდისტებს, სიურეალისტებს და სხვებს.

უარყოფის ობიექტს კი წარმოადგენდა მთელი კულტურულ-ესთეტიკური ღირებულებანი, რელიგიური სიწმიდეები, ხელოვნების ნიმუშები, თვით ისტორიული პირები და სარწმუნეობრივი მოძღვრები.

უარყოფდნენ ბიბლიას, წმინდანებს, ღვთაებებს, მეფეებს, ეპოქებს და მათ ინტელექტუალურ ქმნილებებს, ერებს (მაგალითისთვის ებრაელებს, რომელთა დევნის პროცესმა ანტისემიტიზმის სახელწოდება მიიღო, ხოლო ებრაელთა მხრიდან თვითდაცვას წარმოადგენდა, თალმუდის სწავლებით, ცხოვრების წესის შენარჩუნება სიონზე ამოსვლისათვის, რასაც სიონიზმი ეწოდა);

უარყოფდნენ აღორძინების ხანის მიერ დამკვიდრებულ მეთოდებს;

უარყოფდნენ ლეონარდო და ვინჩის, რაფაელს, მიქელანჯელოს;

უარყოფდნენ კონკრეტულ ნაწარმოებებს, მაგალითისათვის „ჯოკონდასა“ და „საიდუმლო სერობას“;

უარყოფდნენ მთლიან რელიგიურ აღმსარებლობას (მაგალითისთვის რომაულ კათოლიციზმს, რომელსაც პროტესტანტებმა და ლუთერანებმა ჩაუყარეს საფუძველი ჯერ კიდევ გვიან შუა საუკუნეებში);

უარყოფდნენ პოეზიას და მის მოდელს რიტმისა და რითმას საწინააღმდეგოდ და რადგან უარყოფდნენ რითმას და რიტმს, უარყოფდნენ საუკეთესო წარმომადგენლებს პოეზიისას - ბაირონს, პუშკინს, აკაკის, ვაჟას;

უარყოფდნენ თემებს პოეტური ხატოვანებისას;

უარყოფდნენ რომანტიულ სიმბოლიკებს და სანაცვლოდ ამკვიდრებდნენ აბსტრაქტულ გაგებებს.

უარყოფის ფორმებიც და მეთოდებიც უამრავი არსებობდა დაწყებული მეცნიერულ-ფილოსოფიური ტრაქტატებიდან დამთავრებული პასკვილურ-ფუნაგორიული ირონიით. ყველა მათგანი ეძებდა გამომსახველობის ახალ გზებსა და ახლებურ ხედვას არსებულის მიმართ. საბოლოო შედეგიც იყო უარმყოფელთათვის ხელსაყრელი.

პაბლო პიკასოსა და ჟორჟ ბრაკის შემოქმედებითმა ალიანსმა კუბიზმი წარმოშვა - სრულიად უცხო და უჩვეულო მხატვრული ხერხი რეალობის აღსაქმელად. კუბიზმმა დაშალა ფორმა, სახე უცვალა გამოსახულებას, თავისთავად დეფორმირება განიცადა შინაარსმა, შედეგად წარმოსახვა მოექცა გეომეტრიული შტრიხებისა და კუბების ლაბირინთში. ეს ფარდობითობის თეორიის შემოქმედებითი სახეა. დაიშალა ის, რაც საუკუნეების განმავლობაში სრულყოფილამდე მიდიოდა - ნახატი. იგი ამოვარდა პერსპექტივიდან, აღარ გადაწყდა სინათლის ვიბრაციულ ტონალობებში და აღარ მივიდა ტექნიკა წუთიერების მომენტალურ დაფიქსირებამდე (ე.ი. რენესანსიდან იმპრესიონიზმამდე). ყველაფერმა განიცადა სახისმეტყველური შერწყმა და ფიგურალური ცვლილება. დეკადანსმა აიტაცა ეს მეთოდი და ლიტერატურულ ჟანრთა დეფორმირების პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგა, - და წარმატებითაც. ფუტურიზმი კიდევ უფრო შორს წავიდა - სიუჟეტურ და იდეურ დეფორმირებამდე დაიყვანა თავისი ნაწარმოები. ეს უკანასკნელი მფრინავ ფრაზებად, ლოზუნგებად და საპლაკატო გამოსახულებებად დავიდა.

დაიშალა ლექსიც, მოთხრობაც და რომანიც როგორც ფორმით, ასევე შინაარსით. იქმნებოდა სიგიჟის იმიტაცია, რადგან ნიადაგი გახსნოდა უარყოფას. ეს იყო ხანგრძლივი და წინასწარ გამიზნული პროცესი და არა სპონტანური ნაბიჯები. სიგიჟე, როგორც ასეთი უარყოფის წინამორბედად ითვლებოდა. ბოლოს და ბოლოს იგი მოდად გადაიქცა. ახალგაზრდობისთვისაც ეს განყენებული ცნებები ერთგვარ სახადად იქცა.

მაინც, მთელს მეოცე საუკუნეს წითელ ზოლად გასდევდა უარყოფის ქვეტექსტი - „უარგყოფ, რადგან მიყვარხარ და ამას ხმამაღლა ვერ ვიტყვი, რადგან ჩემს თაყვანისმცემლებს ჩვეულებრივ და ნორმალურ ადამიანად მოვეჩვენები. ეს კი ჩემი თვითდამკვიდრებისათვის დამღუპველი იქნება“. ამის უტყუარი დასტურია მრავალი ინტერპრეტაციები უკვე კარგად ცნობილ საკითხებზე.

ვლადიმირ ნაბოკოვმა 1955 წელს დაწერა რომანი „ლოლიტა“, ხოლო ლოლიტას ლირიული ინტერპრეტაცია განახორციელა ბალადაში „ლილიტ“. ეს ლილიტ იყო ბიბლიური ადამის არშემდგარი პირველი ევა (ეს გადმოცემებითა და მითქმამითქმებით. - მ.კ.). ყოველ შემთხვევაში ამერიკულ-ინგლისურმა გამომცემლებმა „ლოლიტა“ პორნოგრაფიულ ნაწარმოებად აღიქვეს და მისი ავტორი ამორალურ პიროვნებად შერაცხეს და სიბილწის პოპულარიზაციაში დასდეს ბრალი.

ჟანრის ლოგიკა ითხოვდა ამ რომანისათვის სხვა თვალით შეეხედათ, რომ იგი მსოფლიო ბესტსელერად ქცეულიყო და მისი ავტორი ეკონომიკური სიდუხჭირიდან ერთბაშად მილიონერად ექცია.

ბედისწერის კურიოზია ყველაფერი, რადგან უნდა იცოდე, რა წერო, რის შესახებ უნდა წერო, როგორ წერო, რისთვის და ვისთვის წერო. აქ დიდი პროფესიონალიზმია საჭირო და არა პროფანების პროვოკაციული ორიგინალობა.

„ლოლიტა“ ერთ-ერთი უმშვენიერესი რომანთაგანია მთელს საუკუნეში, რომელსაც არ დაკლებია არც ქება და არც ძაგება. ნაბოკოვს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი (წიგნის შემოსავლების გარდა. - მ.კ.). მისი კალამი არ გადადის მხცოვანის მარაზმატულ ზმანებაში. ლოლა ლამაზი პერსონაჟია, თავისთავად ბავშვია და შემდგომში ბავშვური. აი, ეს ბავშვურობა შერჩენილი უხილავ ძაფებს აბამს ლილიტთან - იმ, ადამის არშემდგარ ნახევარში და ყველაფერი ეს უსაშველო ველურობის ფონზე, პირველქმნილობის სისუფთავე და სისადავე რომ ჰქვია სახელად. ნაბოკოვი უარყოფს ხელოვნების გლობალური მორალიზაციის დანიშნულების, რაც ხელოვნებას ამუხრუჭებს და ბუნებრივი განვითარების საშუალებას არ აძლევს.

მეოცე საუკუნეში თუ უარყოფის ტენდენციის შედეგი იყო სკანდალი და ავტორის ან მთელი მიმდინარეობის აღიარება, ოცდამეერთე საუკუნეში კი უარყოფის ტენდენციის გამოვლინება სკანდალისა და აღიარებისათვის საშუალებაა, ე.ი. საეჭვო რეპუტაციის მოსაპოვებული ბრმა იარაღი. აქედან გამომდინარე სახეზე გვაქვს კარგად ათვისებული ხერხი - „მიზეზი ამართლებს საშუალებას“.

## II. ოცდამეერთე საუკუნის პარანოიული ფსიქოზი

სადღეისოდ ყველაფერი თავუკულმა დადგა. უარყოფის პრინციპმა მიზნობრივი სახეცვალება განიცადა, ანუ „უარყოფა უარყოფისათვის“, აი, თანამედროვე სამოქმედო არეალი. მას არ გააჩნია წინდახედული გეგმა, თუ რა უარყოს და რატომ.

დღეს უარმყოფელნი ამბობენ: „უარგყოფ, რადგან დაგინახე და ჩემთვის სულ ერთია მომწონხარ თუ არა, მთავარია, რომ შენ ჩემიანი ვერ იქნები იმიტომ, რომ XXI საუკუნე არ იცი, მე კიდევ ვიცი, და ვიცი ვინა ხარ შენ და არ მაინტერესებს შენი შინაარსი. მთავარია იყო პოპულარული, რათა შენმა წაქცევის ეფექტმა მე სიამოვნება მომანიჭოს და, რა თქმა უნდა, უსაზღვრო სახელი შენგანვე გამომდინარეობით. შენმა წაქცევამ უნდა გამიკაფოს გზა და მე უნდა წაგაქციო შენ ამისათვის. არ მაინტერესებს შედეგი - მომიწონებენ თუ არა, მთავარია, რომ დამინახონ - მე წაგაქციე შენ!!!“.

ეს პრინციპი გასაოცრად ჰგავს ჰეროსტრატეს მიზანს. ჰეროსტრატესათვის მთავარი არტემიდას ტაძრის გაანალიზება და მისი ავკარგიანობის განსჯა კი არ არის, არამედ ისტორიაში მისი სახელის ჩაწერა. მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორი სახელი იქნება ის, მთავარია, რომ იყოს. მან ისიც იცის, რომ არტემიდას ტაძარი მშვენიერების ნიმუშია. მას რომ დაეწვა რომელიმე სახლი, ან ქოხი, ან რაღაც რიგითი ნაგებობა, არ ექნებოდა შოკისმომგვრელი ეფექტი. მან იცის, რა არის სანიმუშო და სამსხვერპლოდ ის სანიმუშო შეარჩია. იგი მშვენებელიცაა ქვეცნობიერებით. თუ კაცმა შეარჩია ღირებული, ესე იგი მან იცის ფასდადება, და თუ ფასდადება იცის, მას გრძნობა აკლია, რომ ღირებულის შესაფერისი ღირებულება შექმნას. გრძნობისა და რომანტიული ბუნების დაკლებაა ის, რომ იგი განსხვავებული მიდგომით ავლენს ინდივიდუუმს - შენების სრული ანტიპოდის გამოვლინებით - ნგრევით, დაწვით, განადგურებით.

ჰეროსტრატესაგან განსხვავებით თანამედროვე უარმყოფელებისათვის უარსაყოფი ობიექტი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ბუტაფორიას, რომელიც ფეხქვეშ გებლანდება და შეგიძლია გადადგა-გადმოდგა, ან სულაც მიაგდ-მოაგდო შენი სცენარისდა შესაბამისად. ასეთი დამოკიდებულება შეურაცხმყოფელიც კია, და მითუმეტეს, თუ ამას უწვერული ყმაწვილები აკეთებენ და არა ცხოვრებით დაბრძენებული მია-კაცები. შეიძლება არც კი გაბრაზდე ამ დაუღვინებელ თინეიჯერებზე, მხარს რომ არ უმაგრებდნენ ცხოვრებით გაბოროტებული და ცხოვრების ავ-კარგიანობით ადაპტირებული მამების თაობა, რომელმაც ყველაფრის ფასი იცის და მაინც რყვნის ახალგაზრდობას თავისი უხამსობითა და სიბინძურით. ეს ბოროტგანზრახული ეგოიზმია, როცა თავად სულწაწყმედილს სურს სხვისი სულიც დააბინძუროს და საბოლოოდ ისიც წაწყმიდოს.

ერთი რამ არის ნიშანდობლივი - უარყოფის პროცესს თავდაპირველად მსოფლიო სევდა უსწრებდა ადრეულ უარმყოფელთა შემოქმედებაში, რადგან იგი ეტაპობრივი პროცესი იყო ახალი ხელოვნების დასამკვიდრებლად. რომ არა მსოფლიო სევდა და ნიჰილიზმი, რაც აწვალებდა შემოქმედის სულს, არ იქნებოდა არანაირი უარყოფა და თავისთავად თამაში და ორიგინალური ხედვა სამყაროსი და არსებული რეალობისა.

სევდაში იგულისხმებოდა გამოთხოვება ძველ ეპოქებთან, რადგან ამ უკანასკნელმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა და მისიაც ასე თუ ისე შესრულებული იყო. საჭირო იყო სიახლე, ან განახლება. ჰოდა, ეს სიახლე იწყებოდა უარყოფით და შემდეგ ახალი ხელოვნების დამკვიდრებით.

ასე იყო პაბლო პიკასოს შემოქმედებაში – სხვა არაფერი, თუ არა მსოფლიო სევდის გამოვლინება იყო სწორედ მისი ვარდისფერი და ცისფერი პერიოდები. „ავინიონელი ქალწულები“ (შექმნილი 1907 წელს) ნათელი დასტურია ეპოქათა ცვალებადობის მწუხარე რეალობისა. იწყება ფორმის დეფორმირება, მაგრამ ხუთივე ტიპაჟის თვალები გასაოცრად მეტყველი დრამატიზმით გამოიხატა. ამ სურათში ქმედება არაა, არის მხოლოდ პოზირება და მცირე დეტალის სახით მოცემულია ნატურმორტი, რომელიც ფაქტიურად ნატურმორტად აქცევს მთელს ტილოს. მხოლოდ თვალებია, ასე ცოცხლად და შინაარსიანად მეტყველი.

თანამედროვე უარმყოფელთათვის უცხოა შეგრძნება მსოფლიო სევდის. მათში გაბატონებულია ირონია და ღვარძლი, ცინიზმი და ზიზღი. ერთიანის ნანგრევები, ანუ დეტალები მაინც ამბობენ გარდასული დიდების შესახებ და არანაირ საფუძველს არ იძლევიან პამფლეტიზაციისათვის. ისინი წყობით, იდეით და თემატიკით, რაგინდ არ უნდა დაანაწევრო და ისტორიის მტვერი წააყარო თავზე, დღეს თუ არა ხვალ მაინც იტყვის თავის სათქმელს.

ნანგრევის ფილოსოფია კი ისაა, რომ ნაქმნი და ღირებული მაშინაა ცოცხლად მოქმედი, როცა არაა დარღვეული მის გარეშემო დროის, ეპოქისა და სივრცის ერთიანობის მიმოქცევა. თითოეული კომპონენტის გამოკლებით, მისი ფუნქციაც მარტივდება, და არა მნიშვნელობა. სხვა დროებაში, ეპოქასა და სივრცეში იგი მხოლოდ გარდასულ დროებათა მაუწყებელ დიდების ნაშთად გვევლინება, თუ კი მას არა აქვს ცოცხალი სიცოცხლე, ე.ი. არაა აქტიურ მოქმედებაში და იგი როგორც თანამედროვე ქმნილება, ისე არ ზემოქმედებს გარემოებასა და საზოგადოებაზე. მისი სიცოცხლე არ უნდა იყოს მხოლოდ გარეგნული მოხსენიება, სიცოცხლე მაშინაა ცოცხალი, თუ მისი შინაგანი სამყარო ზემოქმედებს ახალ დროში, ახალ ეპოქაში და სასურველია ახალ სივრცეშიც.

ასე მაგალითად, ხომ არის სახილველად მომხიბლავი პონ-დიუგარის აქვედუკი (ძვ.წ.აღ. I საუკუნე), ათენის პართენონი (ძვ.წ.აღ. 447-437 წწ), კოლიზეუმი (ახ.წ.აღ. 75-80წწ), ხეოფსის პირამიდა (ძვ.წ.აღ. XXVIII საუკუნე), კლდეში ნაკვეთი პეტრას ნეკროპოლი (ძვ.წ.აღ. III-IV საუკუნეები) და აბუ-სიმბელის ტაძარი (ძვ.წ.აღ. XIII საუკუნე) და სხვა მრავალი. რა თქმა უნდა, მომხიბლავია, მაგრამ ესეც ხომ უდავოა, როგორი უნიკალური იქნებოდა ხსენებული არქიტექტურული ძეგლები მათი შექმნის წლებში და უახლოეს ეპოქებში, როცა მაგიური ძალით ზემოქმედებდა ისინი მნახველზე და მონუსხულივით იმონებდა და თრგუნავდა წარმართულ მენტალიტეტს ადამიანისას. დღეს ისინი მხოლოდ და მხოლოდ ტურისტული მიზიდულობის საგანს წარმოადგენს (ამას კი მკვდარი სიცოცხლე ჰქვია).

ფილიპე მახარაძეს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სვეტიცხოვლის დანგრევაც უნდოდა, ხოლო სამღვდელოებას არჩევანი მისცა - ან გელათს შეელიეთ, ან ქუთაისის სობოროს ტაძარსო. ასეთი დამანგრევლები და უარმყოფელნი იყვნენ ბოლშევიკები. მათთვის მარქსიზმი იყო რელიგიურ-საკულტო თაყვანისცემის საგანი. ნგრევასაც და უარყოფასაც ამით ამართლებდნენ. ისინი ამბობდნენ - თაყვანი არ უნდა სცეთ ღმერთს, თქვენი ღმერთი ამიერიდან მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი იქნებაო. ღმერთის მოკვლაც ამ იდეით გამართლდა - ახალი ღმერთი (ფსევდოღმერთი) შექმნეს. ახლა კი არც ფსევდოღმერთს არ ქმნიან, უნდათ ნგრევა და ანგრევენ.

გონიერება იმაში გამოიხატება, რომ ადამიანურ თავდაპირველობაში, ანუ საწყის ბუნებაში არის ღმერთის ძიების იდეა. ვიღაცამ იპოვა, ვიღაცამ გაისიგრძეგანა, ვიღაცამ ესაუბრა, ვიღაცამ ჯვარს აცვა, ვიღაც უფალთან ერთად ჯვარს აცვეს, ვიღაცამ იხილა მისი დიდება... და ა.შ. ერთის სიტყვით ღმერთი მარად ცოცხალ თაყვანსაცემ სამპიროვან ერთარსად აღიარეს და ასეც იყო, ვიდრემდე გონიერებას უგუნურებამ არ აჯობა და ღმერთის სანაცვლოდ დაწესებული ფსევდოღმერთიც არ უკუაგდეს და არარსებად წარმოაჩინა მთელი ხილული და უხილავი სამყარო.

უგუნურება იმაში მდგომარეობს, რომ სიცარიელემ დაისადგურა თანამედროვე ახალგაზრდებში. ტაძარი და ეკლესია მათთვის იმ დაწესებულებად იქცა, რაც იყო მაგალითისთვის კლასიციზმის ეპოქაში არისტოკრატიისთვის თეატრები და ოჯახური სალონური შეკრებები. რწმენის ნიაღვარმა ფაქტიურად გადარეცხა ახალგაზრდობის საღი განსჯის უნარი. დასანანია, რომ განსჯისა და აღქმის უნარი დაქვეითებული აქვს ჩვენს ახალგაზრდობას და იგი კომპიუტერიზებულ კასტრაციას განიცდის.

კომპიუტერი სხეულისა და გონების აზროვნების გამოფიტვის უტყუარი საშუალებაა. იგი არაა ხეზე ასვლის თავის დაცვის საშუალება, იგი საყრდენ გამოცლილი ადამიანების ცაში ფრენის მხოლოდ იმიტაციაა. ადამიანი კომპიუტერით დასხივებული გონებით ოპტიკურ ცდომილებას განიცდის და წონასწორობადარღვეულმა არ იცის ღრუბლებში ფრენა რომ ხეზე ასვლა არ არის. და ყველაფერი ეს ზედმეტი დოზით ინდუსტრიალიზებული სახეცვლილი ადამიანის თავს ხდება და იგიც ხდება ტექნიკის ერთ-ერთ საშუალებად.





# პროფანების პროვოკაცია ანუ ვერ მოკლავთ რუსთველს!



## „ვეფხისტყაოსნისა“ და ქართული ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული შეტევა გურამ შარაძის მკვლელობით დასრულდა

## III. ანტირეკლამა

ჩვენში მეჭურჭლეთუხუცესი შოთა დიდად სათაყვანებელი სახელია.

იგი ქართული სულის ყველაზე ნათელი გამოვლინებაა.

მასზე ბევრი დაწერილა, ბევრიც დაიწერება.

შოთა რუსთველი იმდენად ცოცხალი სიცოცხლით განაგრძობს თავის მარადისობას, რომ დღემდე უკვე რვა საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგაც არ შორდება მას განუწყვეტელი სკანდალი და მითქმა-მოთქმა. ეს უტყუარი სიდიადის ნიშანია, თორემ რომელ მის თანამედროვე პოეტსა და მოაზროვნეს დასდეს იმდენი პატივი, რომ გააფთრებით ებრძოლონ უკვე მიწადქცეულ მატერიალურად ხილვად არარსებობას. რომელმა მტერმა დასდო ესოდენ დიდი პატივი გნებავთ ფირდოუსს, ან ნიზამ განჯევს, ან სულაც რუდაქს, რომ აღარაფერი ვთქვათ ქეიქაუსზე. ვინ ულანძღიათ უშვერი სიტყვებით რუსთველის გარდა, ან ვისი ფრესკა გადაჩხაპნეს ასე გულღრძო წადილითა და გავეშებით?! ვის დაუწერია ღვარძლიანი ფუნაგორია „შაჰ-ნამეზე“, სად არსებობს ბოროტი პაროდია „კასიდებზე“, რომელმა სამშობლომ მოიკვეთა უხამსი პორნოშარჟით „ისკანდერნამე“, სად, რომელ ქვეყანაში მოაფიქრდებათ დაწერონ საკუთარი თავის აღმზრდელ „ყუბუს-ნამეზე“ ვულგარული მესიჯები.

თურქეთში ერთმა მწერალმა დაგმო თავისი ქვეყნის მიერ სომეხთა გენოციდი და მას ჩაქოლვით ემუქრებოდნენ თავად თურქები, ევროპამ კი მას ნობელის პრემია მიანიჭა. რამდენად მართალი იყო ეს მწერალი, მე არ ვიცი და არც მაინტერესებს, მთავარი საყურადღებო აქ ერის რეაქციაა ასეთი ხასიათისა და შინაარსის მესიჯზე.

აი, ერი ამას ჰქვია, ჩვენ კი - ბიზიერად ვრითმავთ, რადგან ბევრი წყენა გვახსოვს მათგან. თურქმა თავისი ქვეყანა დაიცვა არამკითხე შარლატანის გამოხტომებისგან, ეროვნული სიამაყის წამბილწველს რას უზამდნენ, წარმომიდგენია,

ჩვენ კი???

რუსთველი არ დავიცავით... ჩვენ ფეხებზე გვკიდია, და მიტომ.

ჰოდა, ვინ არის ახლა ამ უხამს რითმოვან სიტყვიერ ეპითეტად მოსახსენიებელი თურქი თუ ქართველი, ძნელი მისახვედრი არ იქნება. მაშ ასე:

ვიღაც ანტიპოეტმა დაწერა ანტიკრებული!!!

ამ ანტიკრებულს ჰქვია „ანტიტყაოსანი“...

ჰოდა, ამ ანტიკრებულის დამწერ ანტიპოეტს ჰქვია ანტიქრისტე!!!

დიახ! და იცით რატომ?

იმიტომ, რომ მასში არაა უარსაყოფის სიყვარული, რათა ახალი ზნემრთელი ნაწარმოები შექმნას. მასში არაა გულწრფელობა თვით თავის პასაჟებშიც. აბსურდიც არის და აბსურდიც, მაგრამ აქ ღვთის გმობაა მთავარი ლეიტმოტივი და არა რუსთველის განქიქება. თითქოსდა ორი ხაზით მიდის „თავის ტყაოსნის“ განვითარება - ერთი ანტიქრისტიანული აპოლოგიაა, მეორე კი ანტირუსთველურ კომპანიას უერთდება. სინამდვილეში კი ამ ანტიპოეტს „ვეფხისტყაოსანი“ იმისთვის სჭირდება, რომ სწორედ ისაა ღრმად რელიგიური და საღვთისმეტყველო პოემა ქრისტიანისთვისაც რომაა შექმნილი, მუსლიმანისთვისაც, ბუდისტისთვისაც და სხვა კონფენსიის წარმომადგენელთათვის.

„ვეფხისტყაოსანში“ თავს უცხოდ არ იგრძნობს არც ევროპელი და არც აზიელი, არც აფრიკელი და არც ამერიკელი. ამ პოემის მთავარი საკაცობრიო ღირებულება ისაა, რომ უფალი ჭეშმარიტია ყველასთვის, გასაგებად გადმოცემულია და ამით დაიმკვიდრა დიდმა შოთამ მარადისობა.

ამიტომ ვუწოდებ „ვეფხისტყაოსნის“ ყველა წამბილწველს ანტიქრისტეს, რადგან ჩემთვის ღმერთი ქრისტეა, ღმერთის უარმყოფელს კი ანტიქრისტედ მოვიხსენიებ.

რა თქმა უნდა, იგი აპოკალიფსური ანტიქრისტე არაა, მაგრამ დემონური ძალების მიერ სულჩადგმული ნამდვილადაა. იგი, როგორც პოეტი უვიცია და რეგვენი, თორემ თავისი სექსუალური დაუკმაყოფილებლობის საგნად სხვა ავტორს არ გამოიყენებდა და მის ნააზრევში თავის ბინძურ დინგს არ ჩაყოფდა და რომ სცოდნოდა პოეტური ტექნოლოგია, იგი არ დაადანაშაულებდა სიყალბეში პოეტს.

„ვეფხისტყაოსანი“ ისტორიულ მოვლენათა ზუსტი აღნუსხვა არაა. შესაძლოა მასში მითხრობილია ისტორიული ფაქტები, მაგრამ იგი უპირველეს ყოვლისა მხატვრული ნაწარმოებია, და არც მეტი და არც ნაკლები უვიცობაა იმის მტკიცება, თითქოს რუსთველმა გააყალბა რეალობა... და რა რეალობა??? ამ ანტიპოეტ ანტიქრისტეს თქმით სწორედ ის მონაკვეთები, რაც მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზიაა და არა ისტორიული წყარო. შესაძლოა „ქართლის ცხოვრებაზე“ ვიღაცამ გამოთქვას მსგავსი შინაარსის შენიშ-

გაგრძ. მე-3 გვერდზე >>>



## ასე ამბობდა ემზარ ჯგერენაია, პაატა შამუგიას კუმირი

**ქართული სუფრა ქართული მამაკაცური სუბკულტურის ძირითადი ატრიბუტია. მამაკაცთშორისი სიყვარული, სიტყვები, რომლებითაც მამაკაცები სუფრის მსვლელობისას მიმართავენ ერთმანეთს** („ჩავეხუტოთ ერთმანეთს“, „მოვესიყვარულოთ“, „ძალიან მომენატრა შენთან ჩაჯდომა“, „მიყვარხარ“ და ა.შ.), **ღრმა ეროტიზმისა და ურთიერთნდომის შემცველია**. რასაკვირველია, ეს ეროტიზმი და ურთიერთლტოლვა არ არის გაცნობიერებული როგორც წმინდა სექსუალური ლტოლვა, არამედ როგორც „ძმაკაცობა“ და „გულის გადაშლა“. ამ ლატენტურ ურთიერთლტოლვას ქ**(გ)**ეიფის მეორე დღე, ურთიერთლტოლვის გაცნობიერებით გამოწვეული ერთგვარი „დარცხვენილობა“ ააშკარავებს. ქ**(გ)**ეიფზე მიღწეული „მამაკაცური გულწრფელობა“ „პახმელიაზე“ გამოსვლით გამოისყიდება.

ზემოთქმული დევს მხოლოდ სუფრის ზედაპირზე, სიღრმეში კი **ქართული სუფრა უფრო ტრაგიკულ ვითარებას მალავს. ის მალავს ჰეტეროსექსუალური აქტის არშემდგარობას**, ღრმა ლტოლვას ქალისაკენ და, იმავდროულად, ქართველი მამაკაცების, მე ვიტყოდი, პანიკურ შიშს ქალის, მისი სექსუალობის წინაშე (ქალღმერთობის ინსტიტუტი, რაც მამაკაცური გამოგონებაა, ამ შიშის ერთ-ერთი დადასტურებაა). თუ მოვახდენთ მარქსისტული დოქტრინის „მოლწვეის“ პარაფრაზს, შეიძლება ითქვას, რომ **ქართული სუფრა ფორმით ჰომოსექსუალისტურია და შინაარსით ტრაგი-ჰეტეროსექსუალისტურია,** ხოლო ქართველი მამაკაცი - არშემდგარი ქალი ანუ ქალის ცუდი შემთხვევა“...

**„... ძმაკაცები, ეს შეყვარებული მამაკაცები პერვერსიის გარეშე, სუფრა კი ლოგინი, რომლის უმწიკვლო თეთრი გადასაფარებელი ხანდახან სისხლითაც შეილებება-ხოლმე...** ასე იცის სიყვარულის სიჭარბემ“...



## ასე ამბობდა რობერტ სტურუა, რომელიც რუსთაველის თეატრში „ვეფხის-ტყაოსნის“ ინსცენირებას აპირებს

**ბავშვობაში მამაჩემი მიკითხავდა „ვეფხისტყაოსანს“. ბევრს ვერაფერს ვხვდებოდი, მაგრამ სიუჟეტი ვიცოდი. რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და ამდენად, დაკომპლექსებული გახლდით. როცა მოგვიანებით, ქართულად წავიკითხე, მართალი გითხრათ, ძალიან გამიჭირდა.**

**ერთხელაც, დიდი ხნით წავედი უცხოეთში და თან წავიღე წიგნი... მინდოდა გამეგო, რატომ არის დიდი. სხვათა შორის, ახლაც მინდა მაგის გაგება.**

●

**რას სჩადიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, ან რას თხოულობენ მათი შეყვარებულები? ეს ხომ აბსოლუტური უაზრობაა, სადღაც გარბიან, ტირიან, ვიღაცას უსამართლოდ კლავენ, ვეფხვებს ხოცავენ, სრული ქაოსია. მეჩვენება, რომ ესაა ირონიული ნაწარმოები ქართულ ზნე-ჩვეულებებზე, რადგანაც ავტორი პირდაპირ ვერ წერს ქართველების სიმდაბლეზე, რომანტიზმით უკეთებს კონტრასტს ჩვენს ცხოვრებას.**

●

**მოვიგონე პერსონაჟი, კაცი, რომელიც ვერ იტანს ამ წიგნს, მაგრამ ნაწარმოებს დგამს იმისათვის, რომ აუხსნას ქართველებს ეს იდიოტიზმი. არ შეიძლება, დაიჯერო, რომ ეს არის შენი ენციკლოპედია, რომელიც გამოხატავს ქართულ სულს... არანაირ ქართულ სულს არ გამოხატავს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ იდეალებზე, რომანტიზმზე და არც ერთი სიტყვა არაა სიმართლისა. პერსონაჟი, რომელიც ყველაფერს აბითურებს, ცინიკოსი კი არ არის, მეცნიერია, რომელიც შეწუხებულია იმით, თუ რატომ ითვლება ეს წიგნი ქართული პოეზიის, აზროვნებისა და ფილოსოფიის ერთადერთ შედევრად.**

**დასაწყისში ასეთი ეპიზოდია: წიგნი უჭირავს ხელში და ამბობს: აქ არის ქართული სული? მოისვრის და დაიფანტება ფურცლები. ნებისმიერი მაყურებელი ჩავარდება შოკში. ის კი განაგრძობს: ასეთი ბუტაფორია 7 ცალი მაქვს ყუთში, გადასაყრელადო.**



## ასე წერდა ზურაბ ჭიაბერაშვილი, დედაქალაქის ყოფილი მერი

**ვის წინააღმდეგ უნდა იყვნენ დაგეშილნი (დედის მიერ) „ალგეთის ლეკვები“, რომელთაც ხელში ხმალი უჭირავთ, თუ არა საკუთარი მამის წინააღმდეგ, რომლის უძლურება მტრის ჯავრის ჭამის საფუძველია? თუ ეს ხმალი „ლეკვებს“ „ქართვლის დედამ“ უბოძა, მაშინ რისთვის მარტოოდენ ფიალა? ეს ფიალა სწორედ რომ საშოა, რომელიც მზადაა, მიიღოს უცხო სპერმა, თუ ეს სპერმა ხმალსა და ცეცხლს არ დაიმსახურებს. ფიალის მირთმევა საკუთარი სხეულის შეთავაზება ხომ არ არის?**

●

**მისი ფუნქციები** *(იგულისხმება კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანი - რედ.)* **გადაბარებული აქვს „ქართვლის დედას“, რომელიც, თავის მხრივ, ველარ იცლის „ოქროს აკვნის“ დასარწევად. „ქართვლის დედის“ ხელში კი მამაკაცის დომინანტი იარაღი - ხმალი (ფალოსი) კნინდება და წინა პლანზე ფიალა (საშო) გამოდის.**

●

**პრინციპი - „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, თავად შობილი წარსულისაგან, ველარ ანაყოფიერებს „ქართვლის დედას“ (ბოტანიკური ბაღი ხომ, ისევე, როგორც ზოოპარკი, თაობათა შენახვას, ანუ სპერმის პერმანენტულ წარმოებას ემსახურება) და, ამდენად, ბაზალეთს დავანებული „ოქროს აკვანი“ უფუნქციოდ რჩება. ნიშანდობლივია, რომ ქართველ მამრებში კასტრაციის შიშს აღძრავს არა იმავე სქესის ძლევამოსილი გმირი, არამედ ხმლით შეიარაღებული დედა.**

ვნები, მაგრამ ვის გაუკილავს ჰიუგო იმისათვის, რომ კვაზიმოდო კუზიანიაო, ან ლევ ტოლსტოი იმისთვის, რომ ანნა კარენინა მატარებელმა გაიტანაო, ან მიხეილ ჯავახიშვილი იმისთვის, რომ ჯაყომ ცოლი წაართვა თეიმურაზ ხევისთავს და ასეთი მაგალითების მოყვანა უამრავი შეიძლება. ეს იმ დონის სისულელეა, რომ ამაზე ამის იქით ყურადღების გამახვილებაც კი არ ღირს, რომ არა ისევ და ისევ ღვთის გმობა და რუსთველის წმიდათა წმიდა სახელი.

ჩვენთვის უსამართლო კრიტიკა ჩვენივე სახელოვანი მწერლებისა, ნამდვილად საწყენია და, რა თქმა უნდა, საკადრისი პასუხიც გაეცემა ყველა ხელმყოფს. ამით შეიძლება ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა არც შეილახოს, უბრალოდ შეილახება მკითხველის ღირსება და ამ მოტივით გავბრაზდებით -

ასე იყო გალაკტიონთან მიმართებაში, როდესაც კოლაუ ნადირაძემ ლამის პლაგიატორად გამოიყვანა საუკუნის მოაზროვნე და მგოსანი;

ასევე მკითხველის რეპუტაცია შეილახა, როცა აკაკის „იავ-ნანას“ პოეტი უწოდეს და ვანო მაჩაბლის გაუჩინარებას მას აბრალებდნენ;

გრიგოლ რობაქიძეს მთელი კომუნისტური ეპოქის განმავლობაში ფაშისტს უწოდებდნენ და როცა გავიგეთ მწერლის ნამდვილი ფასი და ღირსება, შეურაცხყოფილები დავრჩით, როგორც მკითხველები;

ასევე გულში ლახვარივით გვესობოდა ყოველი უკმეხად გამოსროლილი ღვარძლიანი კრიტიკა ყაზბეგის მიმართ, ესაოდა გიჟი იყო და იგი ამ ნაწარმოებს ვერ დაწერდაო;

გული გვწყდებოდა ილიას თაყვანისმცემლებს, როცა გვეუბნებოდნენ ილია ბოროტი მემამულე იყოო და ამათრახებდა მის ეზოში წყაროზე მისულ გლეხებსო.

ყველა შემთხვევაში ერთი და იგივეა - ილახებოდა ჩვენი, როგორც მკითხველისა და საყვარელი მწერლისადმის პატივისცემის გრძნობა. სხვა საქმეა რუსთველი.

რუსთველის შეურაცხყოფა არაა მარტო მკითხველის შეურაცხყოფა, იგი ქართველობის თავზე ლაფის დასხმის ტოლფასია. ამიტომ ამოირჩია ამ ანტიქრისტემ რუსთველი.

რუსთველში ქართველი ერი საკუთარი თავის სულიერ მისიას კითხულობს. მეჭურჭლეთუხუცესმა შოთამ ასწავლა ყველა წიგნიერ ქართველს უფალი ღმერთი ჩვენი, ისე ასწავლა, რომ არასოდეს არ დაივიწყა და ისე არ დაივიწყა, რომ რუსთველის ნასწავლით დღემდე მოვედით.

„ვეფხისტყაოსანს“ მზითევში ატანდნენ ოჯახები გათხოვილ ქალებს, აი, ამ დონის სიწმიდე იყო. სწორედ რომ ასმათის მაგალითზე იზრდებოდნენ ქართველი ქალები. ფუი და ფუი კიდევ ანტიქრისტეს ასმათის წაბილწვისათვის, წაბილწული გონება რომ იკადრებს მსგავსს, თორე სხვა ვინ?!

ვამბობდი კიდეც და ახლაც ვიმეორებ: უარმყოფელი ბევრი მინახავს, ბევრმა დიდი სახელი დატოვა მსოფლიოში, ამ სექსუალურმა მარაზმატიკმა რა ადგილი უნდა დაიკავოს, ვერ წარმომიდგენია. სწორედ რომ ორგაზმივით შეწყდება მისი გაჭიან-გამოჭიანება ქართულ მწერლობაში. მე მისნაირი ვიროსანი ხალხის არ მიკვირს, რადგან მას არა აქვს წლები, რომლებიც საკუთარ სიტყვას ათქმევინებს. ეს მისი სიტყვები არაა და ამიტომ ვუწოდებ „საძაგელი მოოხრებისაის“ სახელს. მხოლოდ აპოკალიპსური მხეცი ჩაიდენდა ასეთ მკრეხელობას და აცდუნებდა გზააბნეულს.

მე რობერტ სტურუასი გამკვირვებია, რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი რომაა და რუსთველზე რომ ამბობს „ასეთი ბუტაფორია შვიდი ცალი მაქვს ყუთში გადასაყრელადო“.

შენ პირს შაქარი თუ შვიდია!..

ნუ გადაყრი და მე მომეცი, შენ კიდევ კაფკათი და ბრეხტით გაერთვე, მეტი ნაკლები ხომ არ გეკადრება.

მე ნოდარ ნათაძის გამკვირვებია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში რომ თვალსაჩინო ადგილას იყო წამომართული. ის რომ მცოდნოდა, თუ რა სიბილწე უტრიალებდა თავში, ბორჯომის წყალს კი არა, ქეძაფს შევასხამდი იმ უტიფარ სახეში. აღარაფერს ვამბობ საეჭვო რეპუტაციის მქონე მოგეი(კაი)ფე ტუტუც ემზარ ჯგერენაიაზე, რომლის ასავალ-დასავალი ნამდვილად ახლა გახდა ცნობილი თავისი გარყვნილი წარმოსახვებით.

არავითარი კავშირი არა აქვს ამ ვაიმეცნიერულ ვაიგამოკვლევებს ფროიდიზმთან. თუმცაღა უნდა ითქვას, რომ თვით ფსიქოანალიზის ფროიდისეული თეორია უმეტესწილად დაყრდნობილია ადამიანთა პათოლოგიურ გამოვლინებებზე და მას ზოგადი სახით საერთო არაფერი აქვს ნორმალურ ადამიანურ მორალთან და ეთიკასთან. ფროიდის წარმოდგენით, ყოველი ადამიანური აგრესიის გამოვლენა გამომდინარეობს სექსუალური დაუკმაყოფილებლობისაგან, ომების წარმოშობის მიზეზადაც ადამიანთა ამ თვისებას ასახელებს. შაჰ-აბასებს და ფადიშაჰებს მთელი ჰარამხანა ჰქონდათ, რომის იმპერატორები ღვიძლი დებიდან რომ იწყებდნენ, ლეგიონერებზეც გადადიოდნენ. სადაა სექსუალური დაუკმაყოფილებლობა აქ, ომები კი მაშინ რომ იყო, ისე უნდოდა. საფრანგეთის მზე-მეფეებმა და რუსეთის იმპერატორებმა სამეფო კარის დიდებულების ცოლებიც კი არ დატოვეს, ფავორიტებად რომ არ გაეხადათ ისინი, ომები გინდათ? რომელი ერთი ჩამოვთვალო...

ცხოვრება ისე არაა მოწყობილი, როგორც ნიცშეს და ფროიდს ეგონათ. ცხოვრება იმ ღმერთის მოწყობილია, ვისი განდიდებითაც იწყება „ვეფხისტყაოსანი“ და ეს დასაწყისი სხვა არაფერია, თუ არა სულიწმიდის ლოცვა პოეტურ ლექს-წყობაში ჩასმული. ცხოვრება იმ ღმერთის მოწყობილია და გასაოცარი ჰარმონიული კანონით, კეთილშობილებითა და სიკეთით, ვისზეც ანტიქრისტე ამბობს - „ბოლოსდაბოლოს ღმერთიც ბერდება და ვის სჭირდება ბებერი ღმერთიო!“.

ვინ დაწერდა ამ სტრიქონებს, თუ არა ანტიქრისტე აპოკალიპსური მხეცის ჩაგონებით, თვით მხეცად რომ იქცა ამის დამწერი. რა ვუწოდო მას, თუ არა ანტიქრისტე, რომელიც იყენებს სატანური კაბალისტიკით მიღებულ სიმბოლიკას, გველი რომ საკუთარ კუდს იდებს პირში და კრავს მაგიურ წრეს. ეს გველი „საძაგელი მოოხრებისაია“, რადგან ილუსტრაციაში აშკარად ჩანს, რომ ამ უხსენებელს ფეხები აქვს და იგი ის გველია, რომელმაც აცდუნა ადამი და ევა. რა ვუწოდო მე ამ ანტიპოეტს, თუ არა ანტიქრისტე, რომელმაც არათუ რუსთველი, თვით ცხოველმყოფელი ჯვარი შეურაცხყო და ეს სიწმიდე წარმოაჩინა, როგორც ორი ერთმანეთის საჯდომს გადასკვნილი მოგეი(კაი)ფე მამათმავალი.

### IV. სისულელე, რომელიც უცოდინარობიდანაც მოდის და დემონიდანაც.

ახლა ორიოდ სიტყვით მიმოვიხილავ ანტიპოეტის ანტილირიკულ ანტილექსებსაც, რომლებიც უხვად არის ჩაყრილი ამ ფუნის გორაში, ე. ი. ფუნაგორიაში (შეუძლია ამ ანტიპოეტს აიღოს ლექსიკონი და ნახოს რას ნიშნავს ფუნაგორია და როგორი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხამება გამოვა წყობილ-სიტყვაობით საეპითეტოდ მისი ანტიკრებულისა. იმედია ლექსიკონსაც აღარ გადასწვდება მისი უაზრო გონება გასაშარჟებლად. მას საკუთარი, ორიგინალურის შექმნა არ შეუძლია და იმიტომაა, თავის სექსუალურ აღვირახსნილობას რომ ანთხევს კარგად დაწერილ წიგნებზე. ასეთ დაავადებასაც კი შეიძლება ჩაეყაროს საფუძველი - ბიბლიოსექსომანია, წიგნებზე ხომ ახალგაზრდობა ალერგიულად არის განწყობილი, ჰოდა, ამისი გამოვლინება ანტიქრისტეს თავის-ტყაოსანია).

ერთის სიტყვით, როდესაც ანტიქრისტე თავის ანტილექსით მეთერთმეტე მცნებას აყალიბებს, ამბობს: „მოკალი, ვინც გინდა, ჩაქოლე პირწმინდად, მაგრამ არა ღმერთ კლაო“ და როგორც კოდექსის მუხლები, ჩამოწერილი აქვს ვისი მოკვლა შეიძლება:

ამ ანტიქრისტეს სამართლით თურმე შეიძლება



●

**ტყუის ავტორი,**
**ის მე არ მიცნობს,**
**თუმც, შეუძლია**
**ჩემზე შლეგი თქვას.**
**და ველარ სცემენ**
**პასუხს ფიქრები**
**დიაგნოზივით**
**დასმულ შეკითხვას.**
**და ერთადერთი,**
**რაც აქ მაკავებს,**
**აქ, ამ პოემის**
**რითმიან ტბაში,**
**არის იმედი,**
**რომ ვიღაც მოვა,**
**და ყველა ტაბუს**
**ამაყად წაშლის.**

პაატა შამუგია, „ანტიტყაოსანი“

მოკლა ხუროც (აქ რატომღაც ასოციაციურად იესო ქრისტეც იგულისხმება და მართალი იოსებიც.- მ.კ.), მამიდის კუროც, ოღონდ პოეტურად და ესთეტიკურად;

შეიძლება პენტაგონის აფეთქება (წაეკითხა ეს ლექსი ბინ-ლადენს?! როგორ გაიხარებდა?! -მ.კ.);

შეიძლება ბუშის მკვლელობაც (ჰე, ჰე, ჰე... მრავალმნიშვნელოვნად ჩავიხითხითებ);

შესაძლებელია და დასაშვებია სივრცის, ინსტალაციის, პოლიტიკის, იზოლაციის, აბსტრაქციის, კონვენციის (ნეტავ რომელის? ალბათ ყველასი!), რეცეფციის, კონდიციის, სიყვარულის (თუ ამდენი ვინმესი და რამესი მოკვლაა დასაშვები, რაღაა სიყვარული), ატომის, მოლეკულის, მომავლის...

მერე ცის მიკუთვნებაზე პასაჟი ბოდვაა, იგი რაღაცით იოანეს სახარების ფორმულის ქურდობას ჰგავს, სხვა ვინ იქურდებს ასეთი თემებით, თუ არა ანტიქრისტე - აი: „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო თავდაპირველად ღმერთთან.“

ღმერთმა შემინდოს ამ მკრეხელური შედარებისთვის, მაგრამ მაინც ისმინეთ ანტისიტყვა - „ეს ცა შენია და შენიცაა და არა ღმერთ კლაო“, - ცინიკურად

## ასე წერს პაატა შამუგია - „ანტი-ტყაოსნის“ ავტორი



**ასმათ წყაროში ბანაობდა**
**სრულად შიშველი,**
**უზადო იყო ყოვლი ნაკვთი**
**მისი სხეულის,**
**ძუძუსთავები დაბურცვოდა,**
**ზედ ხალიც ესხდა,**
**თეძოები კი თითქოს**
**ხელით შეხებას მთხოვდნენ.**

●

**ამავსე შენი აქარყოფნით,**
**შენი აქარწოლით**
**აქ ამ ჩემს მკლავებზე,**
**შენი თეძოები**
**ვერ ჩამოისვენებენ**
**ჩემს მრავალნაცად და**
**მრავალნატანჯ მუხლებზე.**
**შენი მკერდი (ოხ, შენი მკერდი!)**
**ვერ გაებმება**
**ჩემი პეშვების უხეშ მახეში,**
**შენი კერტები ვერ ამოავსებენ**
**ჩემი პირის ჭრილის სივრცეებს.**
**ვიცი, არასდროს არ მაპატიებ,**
**არც მე ვპატიობ**
**ამას ჩემს თავს და**
**შორს გავრბივარ**
**ისევ ტყე-ღრეში...**

●

**გახსენი შენი**
**უსასრულო სივრცეები,**
**რათა შემოვაჭენო ჩემი ვნების,**
**ჩემი აღვირახსნილობისა**
**და სიგიჟის ქარბობალა**
**შენს სივრცეებში.**

ქირქილებს უწმიდური. მართალ სიტყვაში ღვთის სიტყვაზეა ანუ იესო ქრისტეზეა საუბარი, „სიტყვა“ ჰარმონიულად ყოველი წახნაგიდან დავინახეთ სიტყვისა და არსის თანაარსი. ანტისიტყვაში პაროდიაა ღვთაებრივ პრინციპზე, სურს რა გაიმეოროს ყოვლის მომცველობით იოანე მახარობელის მიერ ჩამოყალიბებული უმთავრესი პრინციპი ღვთაებრიობისა. ანტისტყვაში კი ცა გამოიყენება პაროდიის საგნად და ავტორმა იცის რას ურტყამს ამით, და არ იცის რატომ. თუ რატომ? - ეს მე ვიცი.

მერე გამოერკვევა ამ ბოდვიდან და აგრძელებს მკვლელობათა სერიის ჩამონათვალს: მეძავი მოკალიო (რაღაც განსაკუთრებული გართულება აქვს მეძავთან და საერთოდ სიძვასთან. ეს ისაა, ფროიდი რომ ამბობს დაუკმაყოფილებლობის სინდრომსა და ოიდიპოსის კომპლექსზე), წმინდანიც ზედ დააკალი მეძავსო, ამბიციაცო... და ა.შ.

მერე იტყვის - ეს არისო პოეზიაო და თქვენ პოეზიისა რა გესმითო.

მე ის მესმის, რასაც წერს და რასაც გულისხმობს. იმის იქით ქვეტექსტები და პოეტური მჭერმეტყველება თვითონ არკვიოს და მითუმეტეს მაშინ, როცა ეს მეთერთმეტე მცნება თავის თავში კლავს საკუთარსავე თავს, ანუ მეთერთმეტევე მცნებას, რადგან თუ ყველა და ყველაფერი მოკალი, რაღა ყოფილა მაშინ ღმერთი. ო, ამის შესახებ ამ ანტიქრისტეს თავისი შეხედულება აქვს იმ დონეზე, რომ საღვთო ვაკანსიაც შექმნა და კონკურსს აცხადებს XXI საუკუნეში. ვითომ ხუმრობაა ეს??? ალბათ. და აი, -

- კონკურსში თურმე პოეტები ვერ მიიღებენ მონაწილეობას. ეს თურმე იმიტომ, რომ ღმერთზე ლექსები დაწერონ და ულმერთოობაზე იწუწუნონ. ესე იტყოდა „ზარატუსტრა“, რომაო „ნამდვილი პოეტები ნამდვილი შეშლილები არიან და უიმედოდ ეძებენ სამყაროს ფრესკაზე მოთავსებულ სიმშვიდის ფორმულასაო“...

-ხოლო კონკურსში თურმე გაიმარჯვებს ისმავანი ბრძენი და დაიკავებს იმ ვაკანტურ თანამდებობას, ვისაც ღმერთად მუშაობის ცამეტი წლის სტაჟი ექნებაო (ესეც რალაცნაირად კაბალისტური ნუმეროლოგიის სატანიზაციაზე მეტყველებს. რატომ მაინცა და მაინც 13 და 15 არა?).

- და აი, კომედია და ფარსი, უაზრობა და მკრეხელობა, უკბილო ღლაბუცი და სულელური გადაწყვეტილება (იმედია პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებულებისა და განკარგულების საფუძველზე, ან ისედაც რეპუტაციაშელახული ცესკოს გადაწყვეტილებით არაა მიღებული კონკურსის შედეგები), მომაქვს სიტყვა-სიტყვით:

**„P.S. ხოლო ჩემი მეზობლის დედა,**
**ვერც კი ხვდება, რომ ის სულ ახლახანს**
**ღმერთად აირჩიეს** (იქნებ გააყალბეს არჩევნები, ან იქნებ ხმის დამთვლელი კომისია მოისყიდეს, ან არადა „შეცდა“, როგორც ეს მირებულია წესად. - მ.კ.)
**და ვერც ვერასდროს გაიგებს ამას...**
**ვინაიდან მე არ გავუმხელ.“**

„გასრულდა ესე ამბავიო“, - ბოროტად ჩაიხითხითებს ეს ანტიქრისტე და რაღაცატომ ხელებსაც დაიბანს და რატომ, ეს მან არ იცის. მისთვის მთავარია ყურადღება მიიქციოს, თორემ იმ თავის მეზობლის ქალს ღმერთად კი არა მარტო, ამ გაღმერთებულ ქალს სატანასთანაც დააწვენს და მერე მესიჯებს დააგზავნის „წინ და უკან“ (ეს „წინ და უკან“ პრეზიდენტის საყვარელი ფრაზებია). ასეა, როცა სისულელე და ბოროტება ერთმანეთში გადაიხლართება. ამ ანტიპოეტმა ასეთი შავი ღლიცინით შეურაცხყო ღმერთიც, ის მეზობლის ქალიც, რომელსაც თურმე არ უმხელს გაღმერთებას... მე კი გავიგე, და... ალბათ ეს ქალი თავს არ იწუხებს ანტიპოეზიის კითხვით. მართალიცაა. ახლა აღარ მიკვირს ანტიპოეტ ანტიქრისტესი. იგი ღმერთზე ასე გაუაზრებლად ქილიკობს და რუსთველს და მის გმირებს რა დღეს დააყრიდა. ძალუმად შარლ ბოდლერი გამახსენდა თავისი „ბოროტების ყვავილებით“. თუ უარყოფის კულტურა უნდოდა ანტიპოეტს, ბოდლერიდან ესწავლა და თავი დასაცინი არ გაეხადა. აი, ბოდლერი:

„ქება და ხოტბა შენ, სატანავ, ცივ სივრცეებში,
სადაც მეფობდი, და ქვესკნელის ულრმეს შრეებში,
სადაც დუმილში აწ ოცნებობ, დამარცხებული!
ჰქმენ, რომ ცნობადის ხეზე შენთან ეს ჩემი სული
განისვენებდეს, როს მის რტოთა ამონაყარი
შუბლს დაგიქსელავს, ვით ახალი ღმერთის ტაძარი!“

**ძუძუები ასკდებოდა,**
**თეძოებს კი**
**ისე ჰაეროვნად**
**მიარწევდა ხოლმე,**
**რომ, მე მგონი,**
**ხეები და კედლები და**
**ქვებიც კი ერეგირდებოდნენ**
**და დამწველი**
**ვნებით დნებოდნენ.**

●

**მე ვაჟიშვილი ვიყავი**
**და ის კი ქალწული...**
**კი, საოცარი რამე იყო,**
**მაგრამ ეს იყო მხოლოდ ჟინი,**
**უნდა გამიგო,**
**გთხოვ, მომიტევო,**
**მაგრამ უკვე რაღა დროსია**
**და ნუ იფიქრებ წამითაც,**
**რომ ასმათ ბოზია,**
**ჩვენს ცხოვრებას ხომ**
**შემთხვევები მართავენ ხშირად.**

პაატა შამუგია, „ანტიტყაოსანი“



*(„სატანას ლიტანია“ ქვესათაურით „ლოცვა“)*

ბოდლერი ბოდვებს არ ბოდავდა. უარყოფას და აღიარებას თავისი შინაგანი კულტურა და პროფესიონალიზმი სჭირდება და არა პროფანობა. მე ერთი მიკვირს და გამკვირვებია ამ ანტიპოეტის - რატომ სცემს ანტიწიგნს!

მას ხომ შეუძლია თავისი ბინძური აზრები ფურცელზე გადაიტანოს და თვითონვე იკითხოს და თავისნაირებს წააკითხოს. მე რატომ მიბინძურებს გონებას. მეც თავი დამანებოს. ბოლოს და ბოლოს, ან არ წავიკითხავ და ან წაკითხვისთანავე გავანადგურებ იმ სატანისტურ კრებულს, მაგრამ ჩვენს ისედაც ფსიქიკაშერყეულ ბავშვებს კიდევ ასეთი წიგნი უნდა წააკითხოს???

ვინაა პასუხისმგებელი ამ ბავშვების მსოფმხედველობის ჩამოყალიბებაზე - მასწავლებელი, რომელიც მთელის მონდომებით ხსნის რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ (რა დონეზე, ეს მედლის მეორე მხარეა, ყოველ შემთხვევაში ამორალიზმს არ ჩააგონებს მოსწავლეებს, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული), თუ ეს არამზადა არაკაცი, რომელმაც თავი-ტყაოსნით აღვირახსნილობისაკენ მოუწოდა მოსწავლეებს. მერე ეს მასწავლებელი გალახავს ამ ტუტუც მოსწავლეს და სხვა პავლიკა მოროზოვივით არგასაზრდელი მობილურზე გადაუღებს ამ მასწავლებელს და საქვეყნო სკანდალში გაახვევს პედაგოგს. და გადაიღებს იმას, რაც მას აწყობს და არ გადაიღებს იმას, რის გამოც გალახა მასწავლებელმა მოსწავლე. მერე ეს მასწავლებელი საავადმყოფოში მოხვდება, ხოლო ამ სიბინძურის დამკვეთი სასწრაფოდ და საჯაროდ გაათავისუფლებს სამსახურიდან ამ მასწავლებელს.

აი, არმაგედონიც ესაა - ქალაქი, სადაც ღმერთი და ეშმაკი ერთმანეთს უკანასკნელად შეებრძოლებიან.

### V. ამ ანტიკრებულის ბედისწერა.

მაშასადამე, ქართულ და მსოფლიო მაკულატურას შეემატა კიდევ ერთი მაკულატურის ნიმუში - „ანტიტყაოსანი“.



●

**დე, იყოს ასე...**
**ვიყოთ ასე**
**საკუთარ განავალში**
**გამომწყვდეულნი,**
**მაგრამ მე მინდა**
**იცოდე, კარგო,**
**მე შენ გეკუთვნი**
**სულით სხეულით,**
**მაშინაც, როცა**
**ასმათს ვკოცნიდი,**
**შენზე ვფიქრობდი...**

●

**იქნებ, როგორმე**
**ნადირებმა დამფლითონ და**
**დაინაწილონ ჩემი სხეული,**
**რომელიც დედამიწას**
**ხელმეორედ დაუბრუნდება**
**ყველასათვის ნაცნობი**
**ხვრელის მეშვეობით.**

როდესაც საქართველოს პრეზიდენტი შემოვლაზე იქნება „პატრიოტთა“ ბანაკში და ახალგაზრდებს მიუთითებს, - იქით ტყეა და აქეთ ბუჩქიო, - და აქაფდება ქვეყნის წარმატებებით და მერე ამ „პატრიოტებთან“ ერთად დახლუპავს სუპს, ბორშჩს და ქაშს (აბა საცივსა და ელარჯს, ნიორწყალში ჩადებულ წიწილას და შემწვარ გოჭს, ხინკალს და მწვადებს დათხლუპვა არაფერში სჭირდება) და მერე საკუთარ თავზე იწვნევს ანტიპოეტის ანტიშედევრს („დე იყოს ასე, ვიყოთ ასე საკუთარ განავალში გამომწყვდეულნიო“...), გაიქცევა, სადაც მეფეები თავისი ფეხით დადიან. მერე იქნება, რაც იქნება... საქაღალდეში ვიღაც უმწიფარის მიერ საგანგებოდ შენახული და საჭიროების გამო ნაპოვნი წიგნის სათაურს წაიკითხავს - „ანტიტყაოსანიო“... გადაათვალიერებს, გადააქნევს თავს უცნაური ღიმილით, მერე ჯერ ერთ ფურცელს ამოხევს, მერე მეორეს, მესამეს ზედ მიაყოლებს „ღორი დაკლეს, მეც წამაკლეს“-ავით და ა.შ. სანამ არ დარწმუნდება სრულ სისუფთავეში. ჩაყრის ამ დასვრილ ქაღალდებს უნიტაზში. ადგება, გაიზმორება, ხელებს დაიბანს, ჰალსტუხს შეისწორებს სარკეში და რაც მთავარია არ დაავიწყდება ჩასარეცხი... და ჩარეცხავს...

ჩარეცხავს და კმაყოფილი გაიქცევა ბრიფინგზე და ყველას აუწყებს ჩარეცხვის პროცესის წარმატებით დასრულებას: „ჩასარეცხები ჩაირეცხაო!“ - დაიწყებს ტრაბახს.

დაბოლოს, რიტორიკული კითხვა მინდა დავუსვა არათუ ანტიქრისტეს, არამედ პაატა შამუგიას:

**თუ ცოლი გყავს, რას იზამდი „ანტიტყაოსანი“ რომ მოეტანა შენთან მზითვად?**

**ან შენ შვილს თუ გაატან მზითვად ამ წიგნს, ან რძალი რომ შემოგივიდეს ასეთივე მზითვით, რა ჭკუაზე დადგები?!**

**მანუჩარ კაჭახიძე**

**ძვირფასო მკითხველო, აქვე, კომენტარის გარეშე გთავაზობთ ინტერვიუს „ანტიტყაოსნის" ავტორ პაატა შამუგიასთან, რომელიც თავგამოდებით იცავს თავის ნაწარმოებს.**




# ხელშეუხებელი სიწმინდე კი არ გახლავს... „ანტიტყაოსანი" უკვდავი ქმნილებაა!

## პაატა შამუგია:

**- პაატამ პატივი აჰყარა დღეს „ვეფხისტყაოსანს"... ვერ ვიქნები დღეს შენთან პოზიტიურად განწყობილი და უხერხული კითხვების ნიაღვარსაც შეგიძლია, ელოდო...**

**„ანტიტყაოსანი" დაარქვი ამ ცოდვით სავსე წიგნს. რა არის ეს?**

- ეს არის „ვეფხისტყაოსნის" ანტივერსია. ოღონდ, „ვეფხისტყაოსნის", როგორც გმირის. ტარიელი არის ვეფხისტყაოსანი რეალურად. ვეფხისტყავიანი რაინდი. აი, ამას ნიშნავს „ვეფხისტყაოსანი". მე შევეცადე და ეს იყო მცდელობა, შემექმნა ანტიპოდი ტარიელისა, როგორც პერსონაჟისა, როგორც პიროვნებისა, როგორც, თუნდაც, ბიოლოგიური არსებისა... ეს იყო ყველაფერი. ეს არის, პრინციპში, გმირების მოგზაურობა მე-12-დან 21-ე საუკუნეში...

**- სადაც გალაკტიონიც გყავს მოხმობილი, ხომ?**

- გალაკტიონი - ეს არის პოსტმოდერნისტული ხერხი... და თამაში ამ ტექსტით. გალაკტიონიც შემოვიდა თავისდაუნებურად თუ ჩემდაუნებურად.

**- ისევე, როგორც რეზო ამაშუკელი, ხომ?!. „ადამიანი მაინც მარტოა" - მისი ლექსიდანაა... კარგი, კარგი... პაატა, დიდი ხანია, წერ... ხალხიც იცნობს შენს შემოქმედებას...**

- ხო, ადრე ვწერდი ტრადიციულ ლექსებს. ისინი შენც იცი.

**- კი, კი. და ნეტავ, ისევ ძველ პაატა შამუგიას ვიცნობდე და ეს შენი ახალი სიტყვა არ მომესმინა, ეს ღვთის გმობა და რუსთაველის წაბილწვა არ წამეკითხა, მერჩივნა...**

- მე ვერ დაგეთანხმები. ეს არის ხედვა კონკრეტული ავტორის, რომელსაც აქვს უფლება და მოვალეც არის, რომ ნებისმიერ ეპოქას, ფაქტს, სოციალურ მოვლენას გადახედოს სხვა თვალით... რეალურად, ეს არ შეურაცხყოფს არც რუსთაველს და არც მის მკითხველს! ჩემი აზრია ეს!

**- შენ, ფაქტობრივად, შოთა რუსთაველს დუელში იწვევ...**

- მე ეს არსად მიწერია.

**- მაგრამ, შენ გიწერია, რომ რუსთაველმა შეაცდინა და მოატყუა ხალხი...**

- არც ეს მიწერია. ეს არის ჟურნალისტების ინტერპრეტაცია.

**- ჰმ... შეიძლება, მერე ჩემზეც თქვა მასე და ვინმესთან თავი იმართლო ჩემზე გადმობრალებით...**

**მაგრამ შენს მიერ ნათქვამი ფრაზა ტელეეთერით გაჟღერდა - „რუსთაველს ბრალს ვდებ!".**

**აგერ, ერთ-ერთ გაზეთშიც წერია, რომ შენ დაადანაშაულე რუსთაველი, რომელმაც, თურმე, დაგვიმალა ტარიელისა და ასმათის რომანის ისტორია და შეცდომაში შეგვიყვანა...**

- ესეც არის ჟურნალისტის ინტერპრეტაცია.

**- კარგი, კარგი. მაშინ, გააბათილე ეს ბრალდება და მიპასუხე, შეგვიყვანა თუ არა რუსთაველმა შეცდომაში და დაგვიმალა თუ არა მათი რომანი?**

- მხატვრულ ნათქვამში რამის დამალვაზე ან არდამალვაზე საუბარი არ შეიძლება. იმ კაცს აქვს თავისი აზრი, მე მაქვს ჩემი აზრი ამ კონკრეტულ სიუჟეტთან დაკავშირებით. მე ვხედავ ასე, მე მესმის ასე და ჩემი ფანტაზია აღიქვამს ასე! არაფერი ცუდი ამაში არაა! მითუმეტეს, როცა წერენ, რომ ჩემი პოემა არის ეროტიკული... არაფერი ეროტიკული აქ არ არის. შეიძლება ერეტიკული იყოს...

**- სათქმელიც არ მაქვს, პაატა... ისეთ რაღაცებს ამბობ, რომ...**

- ჩემთვის ერეტიკულიც არაა...

აქ, საქართველოშიც დაიწყო ძვრები ლიტერატურაში. პოსტმოდერნისტული ძვრები შეინიშნება. მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც... ამან მოგვცა საშუალება ბევრი რამის...

**- ასმათს რომ ძუძუები ასკდებოდა ვნებისგან და თეძოებს არწევდა, ეს შენს წარმოდგენებში არის ასე?**

- ბუნებრივია.

აქ უკვე დავწერე ისე, როგორც მგონია, რომ იქნებოდა!

ვფიქრობ, რომ ზუსტად ასეთი და ასე იქნებოდა!

**- გეყოფა, პაატა! მკრეხელობასაც საზღვარი აქვს. შენ დღეს „ვეფხისტყაოსანი" შეურაცხყავი...**

- რაში გამოიხატება?

**- კიდევ მე მეკითხები?**

**თუნდაც იმით, რომ ამ ხელშეუხებელ სიწმინდეს ანტიპოდი დაუწერე და...**

- აქ ბილწსიტყვაობა არ არის. ეს არის ლიტერატურული ხერხი. თქვენ წაკითხული გექნებათ ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონი", და იქ რაც არის, იმასთან შედარებით ჩემი „ანტიტყაოსანი" უმანკო ქმნილებაა...

**- ბოკაჩოსაც ედრები? ყოჩაღ!(?)**

**მაგრამ, გავიწყდება, რომ შენ ქართველი ერისთვის მეორე ბიბლიას შეეხე!**

- მაშინ პირდაპირ გეტყვით! ჯიბრალ ხალიჯიბრალი - არის ასეთი მწერალი, რომელიც ინტელექტუალური პროზის უდიდეს წარმომადგენლად არის აღიარებული თანამედროვე ლიტერატურაში, რომელმაც დაწერა ბიბლიის ინტერპრეტაცია - „იესო, ძე კაცისა". საუკეთესო რომანი დაწერა ამ კაცმა.

პაოლოსაც ჰქონდა ელენე დარიანის თემა ლექსებში...

იდეოლოგიას რატომ ეძებთ ჩემს პოემაში?

**- პაატა, სულიერებასა და ეროვნულ იდეოლოგიაზე რომ აღარ ვფიქრობთ, იმიტომაც მიდის ჩვენი საქმე კარგად...**

**თან, ერთია, რომ შექმნა რაიმე ახალი, და სხვაა - როცა ლიტერატურული ბიბლიის ანტიპოდს ქმნი... თანაც, აქ საქმე ჩემს თანატოლს, პაატა შამუგიას ეხება, რომელიც სულსაც იწუმედს და ერსაც რყვნის...**

- ახლა ჩვენ ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ... ეს არის მხატვრული ნაწარმოები.

**- მაგრამ იმაშიც შევთანხმდეთ, რომ „ვეფხისტყაოსანი" არის ჩვენი ერის ლიტერატურული და ხელუხლებელი სიწმინდე.**

- აი, ეს არის სწორედ არასწორი აზრი, ჩემი აზრით! ნუ მიიღებ შეურაცხყოფად... 21-ე საუკუნეში ასეთი აზრი უკვე არ უნდა არსებობდეს, რომ რაღაც ხელუხლებელია და... ჩვენ ვართ კერპთაყვანისმცემელი ერი! ჩვენ გვიყვარს კერპების შექმნა! რატომ არის რუსთაველი ხელშეუხებელი? არ შეიძლება მისი ინტერპრეტაცია? და სხვათაშორის, დღეს ლევან ბრეგაძემ შეაქო ჩემი პოემა. ეს კაცი წამყვანი კრიტიკოსია, მოგეხსენებათ... ინტელექტუალთა წრეში ასეა მიღებული და...

**- ჰო. დღეს ინტელექტუალებად სულ სხვა კატეგორიის ხალხს მოიაზრებს ლომაია-ჯგერენაიას ტანდემი...**

- ნუ, ჩემი აზრით, ჯგერენაია ნამდვილად არის ინტელექტუალი და კარგი ადამიანი!..

**- რას მელაპარაკები?..**

**ემზარ ჯგერენაიამ ქართულ სუფრასა და ქეიფს „გეიფი" უწოდა და ქართული სუფრის გულშემატკივრებს, ფაქტობრივად, ჰომოსექსუალიზმში დასდო ბრალი.**

**ისე, შენ და ჯგერენაიას თუ „გიგეიფიათ" ერთად?**

- ეს მისი აზრია, თუმცა, არ გვქონია მასეთი ურთიერთობა. მე ემზარ ჯგერენაიას და მის შეხედულებებს პატივს ვცემ!

**- რაღა უნდა გითხრა... ისე, თანამედროვე ქართველი მწერლებიდან ვის სცემ პატივს?**

- ესენი არიან: ბესიკ ხარანაული, ტარიელ ჭანტურია, ზურა ჯიშკარიანი, ზურა რთველიაშვილი, რატი ამაღლობელი, ზვიად რატიანი... ზაზა ბურჭულაძეც მომწონს ძალიან!

**- ძალიან მოგწონს?**

- ძალიან მომწონს! კი! ნიჭიერი ბიჭია აშკარად! მწერლობა არ უნდა იქცეს სტანდარტულად! და არ უნდა ჩაჯდეს ჩარჩოებში!

**- და შენ მოგწონს, როცა ზაზა ბურჭულაძე ან მისი გმირი აგინებს ერისთვის წმინდა ადამიანებს და სასულიერო პირებს?**

- იცით, ეს მანერაა წერის. იდეოლოგიები მე არ მაინტერესებს მწერლობაში!

ჯიმი პეიჯიმ თქვა ლამაზად: „დღეს აღარ არის საჭირო პროფესიონალიზმი. დღეს საჭიროა ინდივიდუალიზმი".

**- ციცერონმაც თქვა: „ვაჰ, დრონი, ვაჰ, ზნეობანი" - და ეს შენზეა, მგონი, ნათქვამი...**

**პაატა, ამას როცა წერდი, მკითხველის რეზონანსს ითვალისწინებდი?**

- ძნელია მკითხველის აზრის წინასწარ განსაზღვრა. ძალიან ძნელია.

**- პაატა, რატომ გავიდა მამაშენი, ბატონი როსტომ შამუგია დარბაზიდან შუა პრეზენტაციისას?**

- ალბათ, ის განწყობა არ მოეწონა, რაც იქ იყო. ალბათ, იმიტომ. მე ვფიქრობ, მისი თაობისთვის ხშირად ასეთი რაღაცები მოულოდნელია, როგორც წესი...

**- და, უნდა მოსწონებოდა?**

- ყოველ შემთხვევაში, საშინელი რეაქცია არ უნდა ჰქონოდა.

**- შენ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ხარ და ჩვენი გაზეთის მთავარ რედაქტორს, ბატონ ლაშა ნადარეიშვილსაც იცნობ. მამაშენი მეგობრობს ჩვენს რედაქციასთან. როგორ ფიქრობ, ბატონ ლაშას „ანტიტყაოსანი" მოეწონება?**

- არ ვიცი! კიდევ ვიმეორებ, ჩემთვის არ არსებობენ ავტორიტეტები. ჩემთვის არსებობენ საყვარელი ადამიანები... მე, ნათაძეს თუ მოეწონებოდა, ისიც არ ვიცოდი.

**- გმადლობ ამ პასუხისთვის. შედარებამ მომხიბლა... და, ნათაძეს მოეწონა?**

- კი.

**- თავად გითხრა, მომეწონაო?**

- კი.

**- ცუდია, ჩემო პაატა, როცა შენ წერ „ვეფხისტყაოსანზე" „ანტიტყაოსანს" და ალბათ, საფუძვლიანად არც გაქვს ეს დიდებული ქმნილება წაკითხული...**

- დამიჯერე, რომ „ვეფხისტყაოსანი" დეტალ-დეტალ მაქვს განხილული. დამიჯერე! მე ვიყავი ერთ-ერთი წარმატებული სტუდენტი.

**- და მაინც, რისთვის დაწერე „ანტიტყაოსანი", სულიერი შიმშილი დაიკმაყოფილე?**

- ბუნებრივია. თუნდაც, ასე ვთქვათ...

**- შენ რუსთაველი ტყუილში დაადანაშაულე... და ამით დაიკმაყოფილე შენი „შიმშილი"?**

- არა. ეგ ტარიელმა თქვა მასე.

**- ანუ, შენ ტარიელის პირით დაადანაშაულე ავტორი სიცრუეში, ხომ?**

- კი ბატონო! პერსონაჟს აქვს ამის უფლება, რომ გაკიცხოს ავტორი.

**- ყოჩაღ, შენ! აიცილე თავიდან ყველაფერი და...**

- აი, ესეც, უკვე ინტერპრეტაციაა. გაიგეთ, ეს ნაწარმოები არ არის მკრეხელური! მე არ შევხებივარ „ვეფხისტყაოსანს" ცუდად! ეს ზნეობრივადაც გამართლებულად მიმაჩნია!

**- რატომ დაარქვი ამ წიგნს „ანტიტყაოსანი" და არა, მაგალითად, შენივე ერთ-ერთი ლექსის სათაური - „საყოველთაო პატიება", რაც გაცილებით უფრო მოუხდებოდა...**

- ეს სათაური არის მშვენიერი! პიარისთვის რომ დაწერილიყო, გაცილებით სხვანაირად დაიწერებოდა.

**- მეტი რაღა უნდა დაგეწერა, დალოცვილო...**

- სკანდალურად დაიწერებოდა, თორემ ეს არ არის სკანდალურად შექმნილი წიგნი. ეს არის მხატვრული ნაწარმოები! ეს არის უმანკო ქმნილება! „ვეფხისტყაოსანი" არის ისეთივე ხელშესახები, როგორც ბიბლია! ხელშეუხებელი სიწმიდე მე არ მესმის... დამერწმუნეთ, ამ პოეზიას ჰყავს ძალიან ბევრი მკითხველი და თაყვანისმცემელი!

*ესაუბრა*
**გიორგი მამაცაშვილი**




# „ვეფხისტყაოსნის" საწინააღმდეგო მოძრაობას ნოდარ ნათაძემ დაუდო სათავე!


ნოდარ ნათაძე

„ვეფხისტყაოსანი" და ეპოქის ზნე-ჩვეულებანი

ნოდარ ნათაძის სკანდალური წერილის თავფურცელი, რომელიც ტირაჟიდან ამოიღეს („მნათობი", 1966, №3)

**ზუსტად 41 წლის წინ, 1966 წლის გაზაფხულზე** თბილისში, ნათაძის გამოისობით ერთი ვაი-უშველებელი ატყდა! დიახ, - მაშინ დაიბეჭდა ჟურნალ **„მნათობის" მესამე ნომერი,** რომელშიც გამოქვეყნებული იყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცის - **ვინმე ნათაძის** წერილი **„ვეფხისტყაოსანი" და ეპოქის ზნე-ჩვეულებანი"...** მაშინ ინტელიგენციის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ფიგურას, **ბესო ჟღენტს** უნახავს ეს წერილი და გულზე შემოჰყრია... შემდეგ მისივე თაოსნობითა და ცეკადან გამოსული მითითების შედეგად, **„მნათობის"** ეს ნომერი საერთოდ ამოიღეს გაყიდვიდან და რამდენიმე დღის შემდეგ ხელახლა გამოცემულ ჟურნალში ბატონი **ნათაძის** წერილი აღარ შეუტანიათ! მის ადგილზე სულ სხვა მასალა იყო დაბეჭდილი!

თავის წერილს ბატონი **ნათაძე** იწყებს ასე: **„პოპულარულ წარმოდგენაში „ვეფხისტყაოსნის" სიყვარული შესულია, როგორც ამაღლებული, იდეალური სიყვარული",** და, რაც მთავარია, ავტორი, ანუ **ნათაძე**, კატეგორიულად არ იზიარებს ამ „პოპულარულ წარმოდგენას".

კიდევ, იყო ასეთი რუსთველოლოგი - **ზურაბ ავალიშვილი**, რომლის ე.წ. ნაშრომსაც ეყრდნობოდა **ნათაძე.** ამ **ავალიშვილს** 1931 წელს საფრანგეთში გამოუცია მეტად „საგულისხმო წერილი" და ამ „წერილზე" და საკუთარ „აღმოჩენებზე" დაყრდნობით **ნათაძე** განაგრძობს:

**„სრულიად უსაფუძვლო იდეალიზაცია იქნება, ამ მიჯნურობაში ისეთივე პლატონური კულტი დავუშვათ, როგორსაც პოპულარული შეხედულება „ვეფხისტყაოსანში" ხედავს".**

თურმე, **„როცა ავთანდილი უცხო ყმის პოვნის შემდეგ არაბეთს ბრუნდება, ხოლო თინათინი „საწადელს უსრულებს" და „სამახსოვროდ" მარგალიტს ჩუქნის, ამ სცენაში ავთანდილის ღვაწლის ჯილდოდ ინტიმური კავშირი უნდა ვიგულისხმოთ".** ამას რომ წერს, თან გახარებულია ნათაძე... და ისევ აგრძელებს:

**„მარგალიტი აქ ქალწულობის სიმბოლოა... არ არის სწორი, თითქოს მარგალიტი სიყვარულის, შეუღლების სიმბოლოა** *(როგორც მიაჩნია ყველა რუსთველოლოგს, გარდა ავალიშვილ-ნათაძისა)* **და არა კერძოდ და საკუთრად ქალწულობისა: იგი სწორედ ქალწულობის სიმბოლოა"**

ამას მანიაკის მეტი დაწერდა ვინმე? თან, ნახეთ: **„მარგალიტი უნდა გაიხვრიტოს და ამის შემდეგ აიცმება ძაფზე"** - იგივე კაცი წერს! თურმე, თინათინს ავთანდილი რომ გაუგზავნია უცხო მოყმის საძებრად, სიქალწულეს შეჰპირებია... აბა, ისე რატომ გაიქცეოდა ავთანდილი კისრისტეხითო?..

თან, მერე ნახეთ: **„ავთანდილმა თავის სატრფოს სრულიად არაორაზროვანი თხოვნით მიჰმართა და მისგან თავისი საწადელის სრულ-ქმნა მიიღო (მარგალიტი)".**

თურმე, მაშინ ასეთი ტრადიცია მთელ ქვეყანაში ყოფილა გავრცელებული.

**„ქართულ კარზე ეს ზნე-ჩვეულება გავრცელებული იქნებოდა". „სრულიად გაუმართლებელი და საეჭვო ღირებულების პურიტანული იდეალიზმი იქნებოდა, ამ ბრწყინვალე კარზე რომ არ დაგვეშვა იმ ზნის არსებობა, რომელიც ისტორიაში არსებულ ყველა ბრწყინვალე კარს ყველაზე დიდ მომხიბლაობას ანიჭებდა". „ეს ფლირტი „ვეფხისტყაოსანშიც" კარგად ჩანს. მას ქრისტიანული ასკეტიზმი და რიგორიზმი დაბრკოლებას ვერ უქმნის". „აქ რუსთველი მხოლოდ ქრისტიანული მორალის მიმართ კი არაა ორიგინალური, რომელიც შემთხვევით ხორციელ კავშირს და მასთან ერთად ყოველგვარ სიხარულს კრძალავს..."**

**მას იმავე წერილში გასაგებად უწერია, მაპატიეთ და, ავთანდილი და ტარიელი პედერასტები იყვნენო! როდესაც დიდმა შოთამ თქვა: „ავთანდილ და ტარიელი ერთად მიწვნენ ხისა ძირსა" - ნოდარ ნათაძემ ისე გაიგო, როგორც მისმა ვნებააშლილმა გონებამ უკარნახა.**

**თემურ მირიანაშვილი**



# ამ ბავშვზე სერიოზულად უნდა იფიქროს მისმა ოჯახმა!

**21-ე საუკუნის ახალგამომცხვარმა პოეტმა პაატა შამუგიამ მე-12 საუკუნეში შექმნილი უკვდავი პოემის - „ვეფხისტყაოსნის" ასევე უკვდავი ავტორი - შოთა რუსთაველი ფაქტების გაყალბებაში დაადანაშაულა და სანაცვლოდ, მკითხველს საკუთარი „გენიალური" ქმნილება, პოემის „გაუყალბებელი" ვარიანტი - „ანტიტყაოსანი" წარუდგინა. შამუგიას მინიპოემა - „ანტიტყაოსანი" - ერთგვარი მონანიებაა, მესიჯია ტარიელისა ნესტან-დარეჯანისთვის მიწერილი, სადაც ტარიელი სატრფოს, მასსა და ასმათს შორის არსებული ინტიმური ურთიერთობის შესახებ დაუფარავად მოუთხრობს. როგორც მინიპოემის ავტორი გვამცნობს, ამ ურთიერთობის შედეგად ასმათი კიდევაც დაორსულებულა. ვერ გეტყვით, საიდან მოიპოვა ახალგაზრდა პოეტმა ტარიელისა და ასმათის ინტიმური ურთიერთობების დამადასტურებელი ესოდენ „უტყუარი" ფაქტები, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის" და რუსთაველის შეურაცხყოფა გადააწყვეტინა, მაგრამ ერთი კი ცხადია - „ვეფხისტყაოსნის" მარადიულობას „ანტიტყაოსანი" ვერაფერს დააკლებს, პოეტმა შამუგიამ კი, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ უკვდავი პოემის იდეალებზე აღზრდილი მთელი ერი შეურაცხყო და ანაზდად ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მებრძოლთა ამალაში ამოყო თავი. ახალბედა პოეტის შემოქმედებას თავისებური შეფასება მისცა მეტაფიზიკოსმა მალხაზ გველუკაშვილმა:**

- შემაშფოთებელია ტენდენცია, რომ ასეთი ახალგაზრდა ადამიანი მსგავს თემებზე ასე დაძაბული ფიქრობს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ის კომპიუტერთან, კონკრეტულად კი პორნოსაიტებთან ძალიან დიდ დროს ატარებს და, შეიძლება ითქვას, რომ მისი „ანტიტყაოსანი", ეს არის მისივე ოცნებებისა და ავადმყოფური ცნობიერების რეალიზება.

**- ვფიქრობ, შემაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში „ვეფხისტყაოსნის" წინააღმდეგ ილაშქრებენ. ამჯერად კი, რუსთაველისთვის ბრალის წაყენება ახალგამომცხვარმა პოეტმაც გაბედა. თქვენი აზრით, რატომ ხდება ეს?**

- შამუგიას „ანტიტყაოსანი" ერთი ჩვეულებრივი გაგრძელებაა იმ უბედურებისა, რაც ქვეყანას სჭირს. ჩვენი ეროვნული ღირებულებები, ჩვენი თვითმყოფადობა ვიღაცას ძალიან აწუხებს. უძველესი კულტურის მქონე ერი ვართ და ვის მოსწონს ეს? - არავის. ნებისმიერი ღირსეული ერი, რომელსაც საკუთარი თავი უყვარს, „ვეფხისტყაოსნის" ავტორობას უყოყმანოდ მოაწერს ხელს. ჩვენთან კი ქართველი ერის წინააღმდეგ მთელი იდეოლოგია მუშაობს და, ჩვენდა სამწუხაროდ, ისევ უზნეო ქართველების დახმარებით. აშკარაა, რომ ეს პაატა შამუგია უღმერთო ტიპია, თუმცა, შეიძლება, უფრო ავადმყოფიც. ამ ბავშვის ფსიქიკა რომ ნორმაში არ არის, ცხადია და სხვათაშორის, შემიძლია გითხრათ, რომ მას, ასეთ ასაკში, უკვე ძალიან ბევრი ცუდის ჩადენა შეუძლია. ჩანს, რომ ის მარტო სექსუალურ გადახრებს არ უჩივის და მშობელმა თუ დროზე არ მიხედა, მისგან ძალიან ცუდ რამეს მიიღებს. ღმერთის ისე აგდებული მოხსენიება, როგორც შამუგიას პოემაშია, ნათელს ხდის, რომ ამ ბიჭს ღმერთი არ ესმის. თუმცა, მისი უზნეობა რა გასაკვირია, როცა სწორედ ასეთივე ავადმყოფებით არის დაკომპლექტებული დღევანდელი ხელისუფლება. გარდა ამისა, შამუგიას დანარჩენი ლექსებიდან ჩანს, რომ ეს ადამიანი ძალიან დიდი შიშის ქვეშ არის. „მოდი, აღარ მოვკვდეთ არასდროს და დავცინოთ სიკვდილს!" - ეს მისი სიტყვებია. არ შეიძლება, ასეთი ლაწირაკი 24 საათი სიკვდილზე ფიქრობდეს. ახსნა ერთია - ის ან სერიოზული ფსიქიკური ავადმყოფია, ან ჩვეულებრივი მანიაკი, ან მართლაც ძალიან ეშინია.



შუაგულში ჩამჯდარი მამაკაცების ტანდემი, რომელსაც ზოგიერთი ტვინგადაბრუნებული ჯვარცმის სახელით მოიხსენიებს, სატანურ დამღად აზის პაატა შამუგიას ლექსების ბოლოსწინა კრებულს

**- ჩვენ შეიძლება ავადმყოფი ვეძახოთ, მაგრამ ამ ავადმყოფის ნაბოდვარს, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი" შეურაცხყო, სატელევიზიო ეთერიც დაეთმო, წიგნის პრეზენტაციაც მოუწყვეს და მალე, ალბათ, „ანტიტყაოსანი" მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებშიც დაიდებს ბინას.**

- ეს ბავშვი უკვე დაუღუპავთ. რასაკვირველია, ყველაფერი გაკეთდა ისე, როგორც აწყობდა ვიღაცას და საინტერესო სწორედ ეს არის - ვის? არ გაგიკვირდეთ, რომ ხვალ პაატა შამუგიას ძეგლიც დაუდგან, როგორც „გმირს", რომელმაც გაბედა და რუსთაველს ბრალი დასდო ფაქტების გაყალბებაში.

- სამწუხაროდ, ამ ახალბედა პოეტის „მდიდარი" წარმოსახვის უნარმა მარტო „ანტიტყაოსანში" არ პოვა გამოხატულება. მისივე ლექსების ერთ-ერთი კრებულის გარეკანზე ჯვარცმის გამაოგნებელი ინტერპრეტაციაა გამოხატული.

**- ადამიანი, რომელსაც ჯვარცმა ამ ფორმით წარმოუდგენია, შეუძლებელია ჯანმრთელი იყოს.**

ამას ახსნა არა აქვს, ეს არის უზნეობა, სერიოზული სექსუალური გადახრის მაჩვენებელი, დიდი ფსიქიკური დაზიანება. ჩემსას კი არა, სხვის ღმერთს არ მივაყენებ ასეთ შეურაცხყოფას.

საუბედუროდ, შამუგიასეული „ანტიტყაოსანი", ჯვარცმა, სტურუას მიერ „ვეფხისტყაოსნის" წინააღმდეგ გალაშქრება, თამარ მეფის საწოლში შეძვრომა, ეს ყველაფერი ქართული ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი გეგმის სხვადასხვა ეტაპია. ამჯერად შამუგიას სახით ნახეს კიდევ ერთი ფსიქიკურად დაავადებული და მის მდგომარეობას იყენებენ.

**- გასაგებია, რომ შესაძლოა გამოიყენეს, მაგრამ, რამდენად შესაძლებელია, ვინმეს მითითება ასე ზედმიწევნით კარგად შეასრულო, თუ შენ თვითონაც ისე არ ფიქრობ, ნაწილობრივ მაინც.**

- რასაკვირველია. შეუძლებელია, ქრისტიანმა კაცმა ვინმეს მითითებით ღმერთი ასე შეურაცხყო, თუ ეს შენშიც არ ზის. თუმცა, დღევანდელობაში აღარც ეს არის გასაკვირი. სემინარიადამთავრებულმა ხალხმა ტაძარს დასანგრევად სატვირთო მანქანა დააჯახა. შეიძლება ის ადამიანი (სემინარიადამთავრებული) იმ სატვირთოს საჭესთან უშუალოდ არ იჯდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იმ ხელისუფლებაშია, რომელმაც ეს გააკეთა. ასეთია ეს ბავშვიც. საერთოდ, სერიოზულად დასაფიქრებელია ყველაფერი, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. ის, რომ მანიაკალური სინდრომი მძლავრდება, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბავშვები ერთმანეთს ასე დაუნდობლად ხოცავენ, ის, რომ უარყოფითი ენერგია პიკს აღწევს, ყოველდღიურ ცხოვრებაში იგრძნობა. ერი გადაგვარების გზაზე დგას, სახელმწიფოს სათავეში დაგვისვეს ხალხი, რომელთაც პირდაპირ კლდისკენ მივყავართ და ერთ დღესაც აუცილებლად გადავიჩეხებით. რაც შეეხება თავად შამუგიას, ის არის ფსიქიკურად დაზიანებული ეგოცენტრის მქონე პიროვნება, რომელსაც ჰგონია, რომ სამყაროს ცენტრში დგას და მთელი სამყარო მის გარშემო ტრიალებს. ამ დროს, სამყაროს ნებისმიერი მოლეკულა მასზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. ამ ბავშვზე სერიოზულად უნდა იფიქროს მისმა ოჯახმა!

*ესაუბრა*
***ნონა ბენდელიანი***

# ხმა ამოიღეთ!

# უფლის, გაბრიელ ბერისა და კათოლიკოს-პატრიარქის მაგინებლები გამოჩნდნენ!

ძვირფასო მკითხველო!

პარნასში“ ნანახი და „ლიტერატურულ კაფეში“ თუმნად შეძენილი წიგნი მაგიდაზე მიდევს და მასზე წერილის საწერად ხელი არ მემორჩილება. არადა, ვთვლი, რომ არდაწერა დანაშაულია! ამ წიგნის შესახებ ჩემი სათქმელის თქვენამდე არმოტანა დანაშაულია თქვენს წინაშე! დანაშაულია ერის წინაშე!



გაზეთის წინა გვერდებზე ახალგაზრდა ბიჭის, პაატა შამუგიას „ანტიტყაოსნის“ გამოცემა დავგმეთ და ვთვლი, რომ სრულიად საფუძვლიანად. მაგრამ, ეგრეთ წოდებული მწერლის, ვინმე ზაზა ბურჭულაძის მიერ დაწერილი ნაცოდვილარი რომ გადავშალე, გული თუ არ გამისკდებოდა, არ მეგონა.

ეს ის ზაზა ბურჭულაძეა, სამიოდე წლის წინათ, რომ გამოვაჭენეთ მორიგი ნაცოდვილარისთვის. „წერილი დედას“ - ასე ერქვა იმ პატარა გამოცემას, რომელშიც მაშინდელი თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის კვალდაკვალ - ამ ღმერთგამწყრალ ბურჭულაძესაც დაუგმია დედის მადლი. მაშინ რას ვიფიქრებდი, თუ სამი წლის თავზე უარესს იზამდა. იმ წიგნში დედას ერჩოდა, წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საკუთარს.

ამ წიგნში კი...

●

ძვირფასო მკითხველო!

დღეს ყველას უფლება დაცულია, მკითხველის უფლებათა გარდა!

დღეს ყველას უფლება დაცულია, მართლმადიდებლური მრევლის უფლებათა გარდა!

დღეს ყველას უფლება დაცულია, ქართველი ერის უფლებათა გარდა!

და ეს არის სწორედ უბედურება!

●

**„ხანდახან მავიწყდება სად მაქვს მუ..ლი.“**

- ასე იწყებს მკითხველი ამ წიგნის კითხვას, რომლის რედაქტორიც, „რუსთავი-2“-ის დღეს უკვე სახელოვანი შოუს ავტორი ნანიკო ხაზარაძეა, ხოლო გამომცემელი შპს „სიესტა“ გახლავთ.

„შემ...ცით თუ გინდათ, მაგრამ არ მახსოვს, ზაზამ ჩემი რამდენი ღერი წამწამი შეჭამა ზუსტად. 19? 264? 3857? შეიძლება უთვალავიც, ან ცოტა მეტიც, ხუ...ივოზნაეტ, ტოჩნა-თარმახსოვს, დამავიწყდა... მაგრამ ჩემი გულმავიწყობა საპატიებელია. ბოზიშ“... *(სკაბრეზული ტერმინების შემოკ-ლება ჩვენია. რედ.)* - მთავარი მოქმედი პირი ამ სიტყვებით იწყებს მკითხველის გულისმოგებას და ვაგლახ, რომ ეს ყველაზე კულტურული ნაწერია ამ წიგნში...

●

ჩემო ძვირფასებო!

მომიტევეთ ამ წერილში დანთხეული ბილწსიტყვაობა, რომელიც მე არ მეკუთვნის, თუმცა, მისი დაბეჭდვის გარეშე, მთავარ სათქმელს, ვფიქრობ, ვერ გეტყოდით. საუბედუროდ!

„რა უპრასვეტო პიზდ...ცში უნდა იყო, ოთო ჟღენტთან რომ წახვიდე! No comments! - წერს ავტორი და, ალბათ, მართლა აღარსად აქვს წასასვლელი ამ ღმერთგამწყრალს...

და აქვე რამდენიმე ამონარიდს უკომენტაროდ შემოგთავაზებთ წიგნიდან და შემდეგ ჩემს სათქმელსაც გეტყვით:

1. „ზაზა და კუკლა ისე გახურდნენ, ბათუმელ ბიჭუნას კი არა, რამე ყოფილიყო, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქსაც კი ააღელვებდნენ“. „ეს უკვე ზანუდურ-ჭუჭუოზური ფილოსოფიაა, იობ...ნივროტ“. „ბათუმელი ბიჭუნა მოდუნდა, და თან ისერო მზად იყო, იქ მყოფთა კი არა, თუნდაც სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ძუძუ მოეწოვა“.

2. „დროის გაყვანის თუ მოკვლის თუ მოტ...ნის მიზნით რაც რამე სამთან დაკავშირებული სირ...ბა მახსენდება, ჩემდაუნებურად გონებაში ვთვლი“.

3. „ხოპოლნიბრედია შენი ეს შეძახილები, მაგრამ სრაზუ ნიშადურივით მოქმედებს, ისე დასჭყივლებ ხოლმე, ღვთისმშობელსაც კი გააცოცხლებ. ტფუ, რა ყ...ეობაა!“

4. „შემ...ცით ნაწყ...ში თუ გინდათ, ვიცი, ბოლო ქალი ვარ, დუბაიში ქმარი და ცელკა Audi A6 მელოდება, ჯოჯოხეთის კართან - ვირგილი, ჩემი ტკბილი და გულხმიერი მამა ვირგილი, მე კიდევ რამდენიმე საათის წინ გაცნობილ ვიღაც მწერალთან ისე მივრბივარ, თითქოს ტრ...კის გასაღები მაქვს დაკარგული. Pizd...ccccc... ისე, ალაჰს მატლად რომ ვდომებოდი, მატლად გამაჩენდა, მაგრამ, ჩანს, ყლ...ქალად ვყავდი ჩაფიქრებული“.

5. „ნახ...ი, რა პოეტური ტ...აწი ამიტყდა“! - წერს და ეს ის შემთხვევაა, როცა ავტორიცა და მთავარი გმირიც სიმართლეს ღაღადებენ ... *(გ.მ.)*

6. „თან მთელი პიზ...ეცი ისაარო ასეთ ყ...ეურ რამეებს შენი ტვინი სიცოცხლის ბოლომდე ასეივებს, თუმცა ხუ...სნიმ...“

7. „სანამ მიმტანი არ წავიდა, ზაზა ჩემ ფეხებს იყო დაშტერებული. ცელკა მონაზონი არა ვარ, მაგრამ თავი უხერხულად ვიგრძენი. მერე მითხრა, ერთი წამით მოწიე ფეხიო. ვიცოდი, რაღაც სირ...ბას იზამდა და მაინც მივწიე. ისიც დაიხარა და ფეხში ხელი ჩამავლო. დავიბენი, ჭიდაობას და ფეხის წართმევას ხოარ დავიწყებდი? თან დილის ლობიომ თავისი ქნა - გაზის ბალონივით გამბერა, ისე მე...უებოდა, ყოველი ზედმეტი მოძრაობა შეიძლება მარცხით დამთავრებულიყო“.

●

ქვემოთ მოყვანილ ციტატაში კი ავტორისა და გმირის შეთანხმებითა და გადმოცემით ვიგებთ თავად ამ წიგნის დაწერის მიზეზსაც, მიზანსაც და „აზრსაც“...

„ერთი ნოველა მინდა დავწეროო, - მცირე პაუზის მერე თქვა და მთელი მონოლოგი მოაყოლა:

- ალბათ მესამე პირში იქნება მოთხრობილი. მოქმედება პრაღაში ხდება. მთავარი გმირი ერთ ღამით ოლშანსკის სასაფლაოზე იპარება, ჩუმად თხრის ფრანც კაფკას საფლავს, იღებს მის ძვლებს და ტომრით თავის ბინაში მიაქვს. მერე თავის ქალას, ყბებს, კბილებს, მალებს, ნეკნებს და ძვლებს ჯერ მიწისგან ასუფთავებს და რეცხავს... მერე ჩაქუჩით პატარ-პატარა ნამტვრევებად ამსხვრევს და ყავის საფქვავში ფქვავს - მტვრად აქცევს. მერე ამ მტვერს ყოველ დილით თითო კოვზს ყრის ჭიქაში, ამატებს ამდენივე შაქარს, ასხამს მდუღარე წყალს, ურევს და სვამს.

- როგორც ამბავი, დიდი არაფერი, - თვითონვე შეაფასა და იქვე დასძინა, - სათაური მომწონს. პრინციპში, სათაურის გამო ვაპირებ დაწერას. „ხსნადი კაფკა“, ასე ერქმევა. Instant Kafka.”.

„ჩემთვის ვფიქრობდი, ისეთ ვარდისფერ-ბურჟუაზიულ ჟურნალს, როგორიც „ცხელი შოკოლადია“, ზაზასნაირი ყ...ეამოგდებული ავტორი რაში ჭირდება-მეთქი.“

●

ამ ვნებასაყოლილ ცოდვისშვილს ისეთი რა ცოდვა უნდა ჩაედინა, რომ ასეთი რამ დაეწერა და თანაც, სიამაყით:

„ხანდახან კი მავიწყდება, სად მაქვს მუ...ელი, მაგრამ ხშირად მაინც ბევრი, წარმოუდგენლად ბევრი და ერთმანეთისგან ძირეულად განსხვავებული რამის გამო ამ...გომია და მი...გება... მი...გება, მაგალითად, როცა „მათეს ვნებას“ ვუსმენ, კერძოდ, არია „Erbarme dich, mein Gott“ რომ იწყება, უკვე ისეთ დღეში ვარ, საკმარისია, პარიკიანი და ლოყაწითელა ბახის იერი წარმოვიდგინო, როსრაზუ ვათ...ებ... ყოველთვის მი...გებოდა და მი...გება მასტიკის სუნზე... მი...გება, როცა ტუალეტში შევალ, საიდანაც ესესაა დედაჩემი გამოვიდა და იმის ბაყვებით შემთბარ უნიტაზზე ჩამოვჯდები... მი...გება, როცა ვიხსენებ ჩუმ საუბრებს ღმერთთან წარსული შეხვედრების შესახებ... მი...გება, როცა გაბრაზებული ბრუსლი მახსენდება. და, საკმარისია, ტუჩის კუთხიდან სალოკი თითით სისხლი შეიწმინდოს და თავისი საფირმო „იააა!“ შეჰკივლოს, როსრაზუ ვასველებ... ბარეოცდაათჯერ, მეტჯერ თუ არა, ამ...გომია ფიფქიასა და შვიდ ჯუჯაზე, და აქედან, მგონი ოცჯერ მარტო ჯუჯების გამო...“ „ამ მოთხრობის ყოველ წაკითხვაზე ისე ვასველებდი, სიარულისას სულ ჭყაპაჭყუპი გამდიოდა... ხოლო ტრუსი გასაწური რომ ხდებოდა, ამაზედაჟებაზარიარარი.“

„მაკდონალდსში მარხვის დღეებია. სვიტოი პონტია და რამე. ბოზიშ. ხომ ჩითავს ხოლმე რომელიმე ქვეყნის დღეები, ვთქვათ, მექსიკური ანდა ბერძნული... ასეა ესეც. საკითხავია, ვინ ყ...ეს მოუვიდა ასეთი პოშლი იდეა თავში? ხალხსაც მეტი რა უნდა, დიდიან-პატარიანა ყველა პირჯვარს ისახავს - გონებას იცავს ბოროტისაგან, თან „მამაო ჩვენოს“ ბუტბუტებს. ყველას სასწაულთმოქმედი ზეთით გაპოხილი შუბლი ულაპლაპებს“.

●

ღმერთო მაღალო! მე მომიტევე ქვემოთ-მოყვანილი, ბურჭულაძისეული ფრაზების გამეორებით ჩადენილი უმძიმესი ცოდვა, მაგრამ ამის არდაბეჭდვით უფრო მძიმე ცოდვას ჩავიდენ, მგონია! უნდა დავწერო, რომ ამის შემდეგ მაინც, აღარ გაუჩნდეს ყველა ულმერთოსა თუ ავადმყოფს მსგავსის სურვილი!

„თუმცა შევე...ი ყველას და ყველაფერს შევე...ი ყველა ყლ...ქალას ჩემი თამადობით და ყველა ყინულს და ფინალს და ყველა ჩემ წამწამს რომელიც ზაზამ შეჭამა და ყველა პირველ კამერას და კლეჩატ მუ...ელს და ოფოფივით თმააფოფრილ ბარიკელოს და no comment და ფიფქიას და 7 ჯუ-ჯას და სავარძელში ჩამჭკნარ ჟღენტს და ბათუმელ ბიჭუნას და მეორე კამერას და ორგაზმის 1001 ხერხს და ჩაბნელებული მაკდონალდსის გუმბათზე წითელ M-ს და მეტრო რუსთაველის თავზე ყვითელ M-ს და პირიქით და ადინხ...ი და ზამშის ყ...ეს და post industrial boys და ოფლიან მორისეის და გაბრიელ ბერის სასწაულთმოქმედ ზეთს და ექიმებს საზღვრებს გარეშე და pizd...ccccc და მესამე კამერას და გალაკტიონის ხიდიდან გადაყუდებულ პოეტს თუ გეომეტრს და უორგაზმო ქალების გალერეას და მსუქან ფრაერებს და კლიმატოლოგიურ მეცნიერებათა გურუებს და გოგოს ბოტასებში მოცეკვავე მესხს და წითელ ჯვარს და ილი ილი ლამა საბაქთანი და მოღიმარ ბარბის და ცელკა Audi A6 და ლანდების ლაციცს და ბომჟების ფერხულს და ბამბოლეიოს და ბამბოლეიას და გაკვირვებულ ვუდი ალენს და personal Jesus, უკოფეინო ყავას და სტიქიით დაზარალებულებს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ და... და მეოთხე კამერას და 3 და FUCK ME და კიდევ ძაღლს ღრმა მშვენიერი დიდი თვალებით და კაფკას ჩონჩხს და 100 პროცენტი და ვუფვ „Berlin“ და ყოველდღიურობის ნაგვით სავსე ზაზას და პარიკიან და ლოყაწითელ ბახს და ჩიკორეას და beautiful loosers და მეხუთე კამერას და გაბრაზებულ ბრუსლის და კაუჩუკის 12 მოციქულს და mens world და კუკურრუკუკუუუ და სამაიას და cycladol-party და კანჩალოვსკის ვარდით ხელში და ყ...ეზეც ბანტი და მარტო აფსუ და ცარიელ ფუტლარს და ბასკერვილების ძაღლს და პიდარასტებს ჩემი ჩათვლით და პიდარმონკებს და გეიქალებს და აშარაშკებს და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ძ...ძუს და 4000 ჩუჩას და სამ კაკალს კონკიასათვის და Mad Max და მეექვსე კამერას და ისევ თახვივით მოღიმარ კუკლას და ბესამე მუჩოს და საროკინს და მეშვიდე კამერას და ყინულს და ყინულს და ყინულს და fishburger რომელშიც კატლეტი კი არა ჟივოი თევზი დევს და კუდს აქნევს და კუკურრუკუკუუუ“.

●

ძვირფასო მკითხველო!

ღმერთმა არ ქნას, ცენზურისა და სუსლოვების დრო დაბრუნდეს, მაგრამ სინდისი აღარ გვაქვს? ასე რამ გადაგვრია და გადაგვაჯიშა?

რა ღმერთი გაგვიწყრა, რომ ამისთანებს თავისუფლად ვხვდებით „ლიტერატურულ კაფეში“, „პარნასში“, ნებისმიერ წიგნის მაღაზიაში!

ასეთი ავადმყოფური და სინდისდაკარგული ადამიანების ნაბოდვარი ასე თავისუფლად არ უნდა იყიდებოდეს! არა!

წიგნს დანატრებული ბავშვების თაობა ამ წიგნებს ასე თავისუფლად არ უნდა იძენდეს! არა!

ადრე ვთქვი და ახლაც ხმამაღლა გავიმეორებ:

ლაშა ბუღაძემ თამარ მეფეზე მკრეხელობა დაწერა და გავჩუმდით... ემზარ ჯგერენაიამ სულ ჰეტეროსექსუალები და მოგეიფეები გვეძახა და გავჩუმდით... „თავისუფლების ინსტიტუტის“ სოროსირებულმა ლიდერმა ლევან რამიშვილმა სინოდის კრება პოლიტბიუროს სხდომას შეადარა და... გავჩუმდით... ჭიაბერაშვილმა „ქართვლის დედა“ გვიგინა და გავჩუმდით... ვახუშტი კოტეტიშვილმა ვითომ ხალხური ზეპირსიტყვიერებით გუდანის ჯვარი შეურაცხყო და გავჩუმდით... „ანტიტყაოსანი“ შედევრად წარმოგვიჩინეს და თითქმის გავჩუმდით... ფერიის მთაზე ეკლესია დაანგრიეს ამ ღმერთგამწყრალებმა და გავჩუმდით!.. მართლამადიდებლური მრევლი ხელკეტებითა და წიხლებით სცემეს და გავჩუმდით... სასკოლო პროგრამებიდან რელიგიის გაკვეთილები ამოიღეს და გავჩუმდით...

ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შეიძლება, დემოკრატიის დროშის ფრიალს ამოვაფაროთ ყველა სიბინძურე და ბოლოს, მხოლოდ, დროშის ტარი შეგვრჩეს ხელში...

## 16 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ნუ წაიკითხავთ!

## P. S.

მივმართავ ერს, ბერს და სრულიად საქართველოს! მივმართავ მწერლებს (განურჩევლად „კავშირომანიისა“)! მივმართავ პოეტებს! მივმართავ წიგნის მაღაზია „პარნასის“ ხელმძღვანელს, სახელოვანი ქართველი მწერლის ჯუმბერ თითმერიას კარგ შვილს - ლევან თითმერიას! მივმართავ „ლიტერატურული კაფის“ მეპატრონეს, ზურაბ ჟვანიას მეუღლეს - ქალბატონ ნინო ჟვანია-ქადაგიძეს! მივმართავ ბატონებს: დათო ტურაშვილს! დათო მაღრაძეს! ჭაბუა ამირეჯიბს! მუხრან მაჭავარიანს! ოთარ და თამაზ ჭილაძეებს! გურამ დოჩანაშვილს! ჯანსუღ ჩარკვიანს! სხვებს! მივმართავ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს! მივმართავ ალტერნატიული პოეზიის სახელოვან წარმომადგენლებს! მივმართავ ლევან ბერძენიშვილს, მივმართავ კულტურის მინისტრ გოკა გაბაშვილს!

მოგმართავთ თქვენ - საქართველოს პრეზიდენტო და პარლამენტის თავმჯდომარევ!

შეუძლებელია, თქვენ ასეთი საქართველო მოგწონდეთ! არ შეიძლება, ჩვენ ასეთ საქართველოს ვაშენებდეთ! არ შეიძლება, ასეთი წიგნები იწერებოდეს, იბეჭდებოდეს და მერე, წიგნის თაროზე შემოიდოს და 17-18 წლის გოგო-ბიჭების ხელმისაწვდომად იყიდებოდეს! არ შეიძლება, ასეთ ავტორებს „ცხელი შოკოლადი“ ყავით უმასპინძლდებოდეს და „ანაბეჭდი“ ანაბეჭდს ატოვებინებდეს სამუდამო სახსოვრად!

ქართული მწერლობის კორიფეებო! ერისშვილებო! ქართვლის დედის გამოზრდილებო! სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ სულგრძელად დალოცვილებო! ალგეთის ლეკვებო და მგლებადქცეულებო! „დედაენით“ გაზრდილებო! „ძნელებო“ და „კანუდოსელებო“! დათა თუთაშხიებო! შორენა კოლონკელიძეებო! ცოტნე დადიანებო! ქეთევან დედოფლებო! ჯანდიერებო! მარაბდელებო! ხერხეულიძეებო! რწმენით-მაღლებო და ღმერთის შვილებო!

ხმა ამოიღეთ!

დედისა და დედაეკლესიის მაწყევართა კვალდაკვალ უკვე გამოჩნდნენ - უფლის, გაბრიელ ბერისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მაგინებლები! ხმა ამოიღეთ, თორემ...

**გიორგი მამაცაშვილი**



„იმედი" რე-აქცია", 2007 წლის 25 მაისი

# გიორგი შარაძე: მე არა მაქვს უფლება, მამაჩემის შვილმა, რომც იყოს გიორგი დამნაშავე, არ მოვითხოვო, როგორც უძღებ შვილს მას აპატიონ!

**ინგა გრიგოლია: - დღევანდელი გადაცემა უნდა გავხსნა თემით და ადამიანით, რომელიც დღეს თავად დამიკავშირდა და ეთერში გამოსვლა მთხოვა. დღეს დილით ჩემს პირად ტელეფონზე ასეთი შეტყობინება მივიღე - „თუ გაინტერესებს ნამდვილი სიმართლე, გთხოვთ, მიპასუხოთ. ახლა სახლთან პროვოკაციის მომზადება, მე კი ცოცხალი ამათ არ ჩავბარდები, სამედ წამებზე. გიორგი შარაძე", როდესაც მე გიორგის დავურეკე, მან მითხრა, რომ პირდაპირ ეთერში სურს საუბარი, სადაც იგი საკუთარ პოზიციას დააფიქსირებს. გიორგი შარაძე, რომელიც გურამ შარაძის შვილია, მკვლელობის პირველივე წუთებში გახდა კონკრეტული კითხვების და ვერსიების, ჯერ კომენტარი არსად გაუკეთებია. ამ კომენტარს და იმას, ვინ ემუქრება მას პროვოკაციით, ახლა მეც თქვენთან ერთად შევიტყობ. გიორგი შარაძე პირდაპირ ეთერში გვესტუმრა. მე მას მივესალმები. გიორგი, სალამი მშვიდობის...**

**გიორგი შარაძე:** - სალამი მშვიდობის.

**ინგა გრიგოლია: - აქვე კიდევ ერთხელ მეხსიერებას გამოვაჯერებ მომხდარის გამო. სალამი მშვიდობის. მაშ ასე, დავიწყოთ. დღეს დილით ჩემს ტელეფონზე მივიდა შეტყობინება, რომელმაც მე ძალიან შემაშფოთა, მე არ მქონდა უფლება, რომ ასეთი შემაშფოთებელი მესიჯი უყურადღებოდ დამეტოვებინა. რაზე საუბრობდა გიორგი შარაძე - „მე მათ ცოცხალი არ ჩავბარდები" - რაზე იყო საუბარი?**

**გიორგი შარაძე:** - სანამ ანონსი მიდიოდა, თქვენ აღნიშნეთ, რომ მემუქრებოდა. ვინ მემუქრებოდა, ეს რომ ვიცოდე კონკრეტულად, დამერწმუნეთ, რომ თქვენ აღარ შეგაწუხებდით ამის შესახებ, მაგრამ ეს მიზანმიმართულად გრძელდება უკვე 26 აპრილიდან, როდესაც მე დავუკავშირდი მონიტორში ერთ-ერთი ბოლო თაობის წარმომადგენელს **გიორგი ლაფერაშვილს,** მეტად ზრდილ, კეთილსინდისიერ და კარგ ჟურნალისტს და ზუსტად ეს ყველაფერი მე მას ვუამბე დაახლოებით ერთი თვის წინ. ასევე დავურეკე „ვრემიას" საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელს, ბატონ მიშა რობაქიძეს, რომელსაც ტელეფონზე ხმის ჩანაწერი აქვს გაკეთებული და ყველაფერი ეს ვიწინასწარმეტყველე, მხოლოდ ვერაფრით ვერ დავუშვი, ეს მამას წინააღმდეგ იქნებოდა. მე ვიფიქრე, რომ ეს იქნებოდა ჩემს წინააღმდეგ და რატომ? წელს, ორი-სამი თვის წინ, ქვეყანაში, სადაც გურამ შარაძეს ხულიგნობისთვის ორჯერ სვამენ ციხეში 15-15 დღით, მე, გიორგი შარაძე, თუ ქუჩის ბიჭებში არა, სატელევიზიო წრეებში მაინც ხულიგნად ცნობილი, ვუგებ პროცესს პატრულს. თავიდან, როდესაც შევამჩნიე ჩემს სახლთან მანქანების მიზანმიმართული სიგნალები...

**ინგა გრიგოლია: - თქვენ სახლთან იყო მანქანა, რომელიც გითვალთვალებდათ?**

**გიორგი შარაძე:** - ჩემს სახლთან დგას დაცვის სამსახურის მანქანა სტაფილოსფერი ზოლით, ნომერი არის „OAO 246", მაგრამ მთელი 40 დღის განმავლობაში მე მათთვის ხმა არ გამიცია და გუშინ, როდესაც უკვე მამა დაასაფლავეს, ჩავედი ქვემოთ და შევეკითხე - ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, შეეკითხოს პატრულს, მის წარმომადგენელს, გავეცანი, ვინ ვიყავი, მაგრამ მაინტერესებს, ვინ იყო ის და რას იცავს ჩემს მოპირდაპირე შენობასთან. ჩემი მოპირდაპირე შენობა არ არის არც გასტრონომი, არც მარკეტი, არც სუპერმარკეტი, ჩემს წინ მდებარეობს სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტი. რას იცავდნენ ისინი აქ 40 დღის განმავლობაში, მაინტერესებს...

**ინგა გრიგოლია: - თქვენ რას ფიქრობთ?**

**გიორგი შარაძე:** - მე არაფერს არ ვფიქრობ, ვფიქრობ კი არა, პირდაპირ ვაცხადებ - **ჰიჩკოკის ცნობილი ფილმია, სახელი არ მახსოვს, როგორ ხდება ხმებით ადამიანის უმძიმეს ფსიქოლოგიურ სტრესამდე მიყვანა და მე თქვენ პირობას გაძლევთ, რომ არა ის 10 წელი, რომლის განმავლობაშიც მე ჩემი ძმის, ასევე ტრაგიკულად, ლოგინში ტყვიით მოკლული ძმის შემდეგ, მე იმდენი სტრესი...** შარშან დედა 3 თვე აპარატზე იყო შეერთებული, ამდენი სტრესისგან... უბრალოდ, ამის რეჟისორს ორი გამორჩა - ის, რომ მე თვითონ რეჟისორი ვარ და მასზე არანაკლები და მეორე ის, რომ მე კამერა მქონდა სახლში და ყველაფერ ამას ვიღებდი და „ტაიმკოდით" მაქვს გადაღებული თითქმის ყველაფერი.

**ინგა გრიგოლია: - გიორგი, ვინ არიან ეს ადამიანები, თქვენ როგორ ფიქრობთ და რატომ დაუკავშირეთ ეს ყველაფერი...**

**გიორგი შარაძე:** - იმიტომ დავუკავშირე, ქალბატონო ინგა, რომ სანამ ჩემი სახლიდან მივალ იქამდე, უნდა გავირბინო 100 მეტრი მინიმუმ და როგორც გავიგებდი მამას ამბავს, გავიქცეოდი ძველი, ახალგაზრდული ცხელსისხლიანობით, ასე ვთქვათ, გავიქცეოდი მათკენ, ერთი თვე ხომ ვუყურებდი მათ... ყველას და კიდევ ერთხელ ვამბობ, ხმებით, მიზანმიმართულად...

**ინგა გრიგოლია: - გიორგი, ერთი კითხვა მინდა, დაგისვათ. აი, თქვენ ბრძანეთ, რომ მე ვიტყვი, რატომ არ ვჩანდით მამის დაკრძალვაზე.**

**გიორგი შარაძე:** - ახლავე, ახლავე, ახლავე გაგცემთ პასუხს...

**ინგა გრიგოლია: - პირველივე წუთებიდან, სხვათაშორის მკვლელობის ვერსიიდან, თქვენ დაგიკავშირეს ეს ყველაფერი, საუბარი იყო იმაზე, რომ გიორგი შარაძემ წაიყვანა ბარათელი შვეიცარიაში, სადაც მას თირკმელების გაყიდვის... და შემდეგ ფული არ მისცეს.**

**გიორგი შარაძე:** - ქალბატონო ინგა, მე ვიცი, ვიცი, აი, ახლავე გეტყვით ყველაფერს, ესე იგი, აქ არის, ჩემს მოპირდაპირედ თქვენი ოპერატორი **გია ჭელიძე,** რომელიც ამავე დროს ჩემი სკოლელი არის. ჰკითხეთ მას ან ნებისმიერ ოპერატორს, გიორგი შარაძეს ვინმესთვის, საერთოდ, როდესმე ვალი მოუთხოვია, ან გახსენებია საერთოდ, ვინმეს, რა ვალი აქვს მისი? ნამდვილად ვერ იტყვის ვერავინ, პირიქით, მე ამას ქველმოქმედებად არ ვთვლიდი, მაგრამ არც ფულის ფლანგვად მიმაჩნდა არასდროს, ვინაიდან ტელევიზიის მუშაკები იმ დროს, როდესაც მე ტელევიზიაში ვმუშაობდი ძალიან, ძალიან დაბალი ხელფასით ცხოვრობდნენ, მე კიდევ ამ დროს ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად კლიპმეიკერად ვითვლებოდი. რაც შეეხება, რატომ არ ვჩანდი? როდესაც ჩემი ძმის ცხედარი მიიყვანეს პროზექტურაში, მინდოდა შევსულიყავი და მენახა იგი. ჯერ იქ არ შემიშვეს, სახლში უკნიდან გააპარეს. იქ რომ მივედი, ქალბატონი თამარ დეკანოსიძე - აკადემიკოსი, გენიოსი ქალბატონი, რომელმაც ისეთი სიტყვები მითხრა, რომელიც მე მთელი ცხოვრება დამრჩა - **„ნუ ნახავ, ცოცხალი დაგამახსოვრდეს, ცოცხლის სუნი აგდიოდეს, არ გირჩევნიაო?",** - ასე მითხრა. და ამის შემდეგ მე არ ვყოფილვარ არავის პანაშვიდზე. აი, ჩემი მეგობარი **ვასიკო ექსეულიძე,** რომელსაც ვერის სინდისს და ნამუსს ეძახდნენ, ახლახანს გარდაიცვალა, ძალიან მძიმე დაავადებით, იქაც ვერ ავედი, ავირბინე, მის ძმას ბოდიში მოვუხადე და გამოვიქეცი. მამაც, იმ დილას, როდესაც... იცით, კიდევ, ქალბატონო ინგა, თითქმის, 40 დღის განმავლობაში, მამა, რომელსაც უსაზღვროდ სჯეროდა ჩემი ყოველთვის, მთელი ცხოვრება, ვერ დავარწმუნე მამაჩემი, მთელი სპეცლიტერატურების, „ოგონიოკებში", სადაც იბეჭდებოდა ვადიმ ბაკატინის და სხვა ათასი სპეცსამსახურების... ზოგის უბედურება და ბედნიერება არის გაუნათლებლობა და ჩემთვის ნაკითხობა იქცა ტრაგედიად, ალბათ, და ვერ დავუმტკიცე მამას. ვუმტკიცებდი, უფრო სწორედ, საღამოს დამტკიცებული იყო, დილით ისევ გრძელდებოდა.

**ინგა გრიგოლია: - აი, თქვენ რას უკავშირებთ, გიორგი, მაინც ამ ტრაგედიას, თუკი თქვენ, ვთქვათ, გამორიცხავთ ბარათელთან ან რაღაც მსგავს ვერსიას, თუკი... მივყვეთ იმ დაპირისპირებას?**

**გიორგი შარაძე:** - ბარათელისთვის მე ვინ ვარ, ჰკითხეთ კოკა ყანდიაშვილს, მის ძმას მამუკას, ბიძამისს, რომელიც პერიოდულად მიკავშირდებოდა. მამას მეძახდა მე, ვინაიდან ბავშვს მამა არ ახსოვს და იმ 16 ბავშვიდან, რომელიც მაშინ გამოვიყვანეთ ციხიდან, მე ბარათელი ავარჩიე რა პრინციპით, იცით, ბარათელი მონაწილეობას ღებულობდა მცირეწლოვანთა ჯანყში 1992 წელს კოლონიაში. როდესაც ხელმძღვანელობამ გამოააშკარავა, ერთ-ერთი მეთაური იყო ამ აჯანყების, 12 წლის განმავლობაში ატარებდნენ იმდროინდელი პრესის ქვეშ. ამდროინდელი არ ვიცი, მაგრამ იმდროინდელის წარმოდგენა მაქვს. და იმ ნიშნით ავიყვანე, რომ არავინ არ გაუთქვია, სიტყვა არ უთქვამს არავისზე.

**ინგა გრიგოლია: - მაშ, ახლა რა მოხდა, გიორგი, ერთი კითხვა, თუ შეიძლება, რატომ მოკლა მან გურამ შარაძე?**

**გიორგი შარაძე:** - გიორგი ბარათელს გურამ შარაძე, ჩემი აზრით... როდესაც დედამ პირველ წამს მითხრა, რომ მოკლა გიორგი ბარათელმაო, მიუხედავად იმისა, რაც მოხდა შვეიცარიაში, მე ძალიან ნაწყენი ვიყავი თავის დროზე, მაგრამ...

**ინგა გრიგოლია: - რა მოხდა?**

**გიორგი შარაძე:** - შვეიცარიაში საქართველოს წამოსვლის წინა დღეს გიორგი წავიდა და დარჩა, თან მაღაზიაში, რომელზეც სპეციალურად მივიყვანე და ვუთხარი, აქ ქურდობა არ გაბედო-მეთქი და განსაკუთრებით იმ მაღაზიაში-მეთქი. აი, იმ მაღაზიაში შევიდა ზუსტად, რაც უკვე დარჩენას ჰგავდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაშინდელ კონსულს, ქალბატონ ხათუნას შეიძლება დაუკავშირდეთ, ახლაც შვეიცარიაშია, ერთი ჩანთა ტანსაცმელი დავუტოვე გიორგისთვის...

**ინგა გრიგოლია: - ანუ თქვენ ამბობთ, რომ თირკმელები არაფერ შუაშია?**

**გიორგი შარაძე:** - რა თირკმელი, რის თირკმელი...

**ინგა გრიგოლია: - არა, ეს უბრალოდ, ერთ-ერთი ვერსიაა, რომელიც უცებ...**

**გიორგი შარაძე:** - დაუკავშირდით ყოფილ „ვიდეოპატრულის" ხელმძღვანელს **ზიზი ჩანტლაძეს,** დაუკავშირდით მიშა ჟღენტს, დაუკავშირდით კიდევ ვისაც გნებავთ ან „აუდიენციაში"...

**ინგა გრიგოლია: - მე უბრალოდ მაინტერესებდა, თქვენი მოსაზრება, რატომ მოკლა, თქვენი აზრით, გიორგი ბარათელმა გურამ შარაძე?**

**გიორგი შარაძე:** - გიორგი ბარათელს, რომც მოეკლა მამაჩემი, რომელმაც 20 წელი თუ 5 წელი თავისი ცხოვრებისა მიუძღვნა ილია ჭავჭავაძეს, მოგეხსენებათ, ოღონდ გურამიშვილმა თავში ბერდენკას ჩარტყმისთვის და მისი ქმრის ილია ჭავჭავაძის მკვლელობისთვის ნამდვილად დამტკიცებულ მკვლელებს - ლაბაურს, მოძღვრიშვილს და ა. შ. შეუნდო, მთავარმართებელს სთხოვა მათი შეწყალება, **მე არა მაქვს უფლება, მამაჩემის შვილმა გიორგი შარაძემ, რომც იყოს გიორგი დამნაშავე, არ მოვითხოვო უფლება, რომ როგორც უძღებ შვილს, მას აპატიონ.**

**ინგა გრიგოლია: - ბოლო კითხვა მინდა, დაგისვათ, იმავე მესიჯში, რომელიც დილით მე თქვენგან მივიღე, თქვენ საუბრობდით იმაზე, რომ თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, რატომ არ ვრცელდება მისი ჩვენება და რა შეგიძლიათ თქვათ ახლა პირდაპირ ეთერში?**

**გიორგი შარაძე:** - იმიტომ არ ვრცელდება, რომ გიორგი თვითონ მუშაობდა სამი წელი „ვიდეოპატრულში", ძალიან კარგად იცის, სად შეიძლება დააყენონ ფარული კამერა, სად შეიძლება პირდაპირ გადაუღონ, სად შეიძლება არ გადაუღონ და კიდევ ერთხელ გეუბნებით, მე ამ ბოლო დღეებში სპეციალურად არ მინდოდა ინფორმაციის გაგება, რომ არ ვყოფილიყავი სუბიექტური. მაქსიმალურად მყავდა წრე შემოფარგლული რამდენიმე ადამიანით - ჩემი მეუღლით, ჩემი ერთი მეგობრით და მეტი არავინ არ ამოდიოდა და არ ვიგებდი არავითარ ინფორმაციას, მაგრამ, რომ მითხრეს, რომ არის ნაცემი, ეტყობა სახეზეო, მე პირდაპირ განვაცხადე... კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დედაჩემმა რომ მითხრა, გიორგი ბარათელმა მოკლაო, ინსტინქტურად წამომცდა, - რომელმა, ჩემმა, დედა-მეთქი. ამის მომსწრე ბევრი არის.

**ინგა გრიგოლია: - გიორგი, და სულ ბოლოს, მაშ, რატომ მოკლეს, შენი აზრით, როგორ ფიქრობ...**

**გიორგი შარაძე:** - რატომ მოკლეს? დღეს თქვენი სტუმრები რომ ჩამოთვალეთ, ძალიან ბევრი, სერიოზული სახით იტყვის, რომ, ასეთი ცუდი ამბავი მოხდა... ჩვენ ხომ ნეკროფილების ქვეყანა ვართ. ილია მოუკლეს ქართველ ერს და მამაჩემი... მამაჩემთან ერთად მე უნდა მოვეკალით, ეგ არის ყველაზე კარგი... ან მე უნდა მომეკლა თავი.

**ინგა გრიგოლია: - ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს იყო თქვენს წინააღმდეგ დაგეგმილი...**

**გიორგი შარაძე:** - მამაჩემი 30 წელი ეძებდა... მე არ მიყვარდა არასოდეს კვეხნა, ჩემს გადაცემებს არ ვაწერდი ჩემს სახელს და გვარს, ეგეც შეგიძლიათ სატელევიზიო წრეებში გაიკითხოთ... 30 წელი რასაც ეძებდა, შვეიცარიაში არათუ ვიპოვნე, არამედ ჩამოვიტანე, ეს არის ის ხუთი ძირითადი ნიშანი საქართველოს დამოუკიდებლობისა, რაზეც შეუძლია საქართველომ საერთაშორისო სამართლის ნორმებით განაცხადოს პრეტენზია. ეს არის 26 მაისის (შეგიძლიათ მიბრძანდეთ პარლამენტში, იქ ნახოთ მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში), 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტი, მთავრობის შტანდარტი, ორიგინალი პარლამენტის ღერბი, შემდგომ მესამე პირი ნაბეჭდი, 1919 წლის 12 მარტს რომ ხელმეორედ მიიღო და კონსტიტუცია. ეს ხუთი დედანი ჩამოვიტანე მე საქართველოში და 2001 წლის 26 მაისს გადავეცით ბატონ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და ცხონებულ ზურაბ ჟვანიას და მინდა დამემატებინა, ჩემმა სიჩუმემ, ქალბატონო ინგა, ისეთ საგონებელში ჩააგდო ამ სცენარის „ავტორ-რეჟისორი"...

**ინგა გრიგოლია: - ვინ არიან ამ სცენარის ავტორ-რეჟისორი, იქნებ მითხრათ, გიორგი? აი, თქვენ რომ პროვოკაციაზე საუბრობთ თქვენს წინააღმდეგ... ვინ, ვინ?**

**გიორგი შარაძე:** - პროვოკაციაზე ვსაუბრობდი, რატომ, იცით, ქალბატონო ინგა... მე ჩამითვალეს დანაშაულად ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის სახლში გაცილება. როგორ მოგწონთ? ქართველ კაცს, ბოლოს-ბოლოს, სულ რომ არაფერი, ჩემი მინისტრი ყოფილიყო, რომელსაც მოუხსნეს დაცვა, რომელსაც მისცეს 20 წუთი, რომ თავისი ნივთები მოეგროვებინა... მანქანა ჩამოართვეს და ფეხით წავიდა და არავინ არ მიჰყვებოდა, გავყევი... ქალბატონი სალომე კი იკავებდა თავს, მაგრამ ძალიან ცუდად იყო და გავყევი, მე ჩავთვალე, როგორც მამაკაცმა... არანაირი თანამდებობა ქალბატონ სალომეს ჩემთვის არ მოუცია, ბურკინა-ფასოში ვიყავით მხოლოდ, ვაგადუგუში, არის ასეთი დედაქალაქი, მე-10 სამიტზე. ეს იყო სულ ჩვენი ასეთი უმაღლესი წერტილი ჩვენი ურთიერთობისა. ქალბატონი სალომე იყო პროფესიონალი. ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა.

**ინგა გრიგოლია: - გიორგი, ანუ თქვენ ახლა ვერ დაასახელებთ ვერსიას, რის გამოც ეს ყველაფერი მოხდა...**

**გიორგი შარაძე:** - ვერსია, ქალბატონი ინგა, როგორც არის, იცით, მანდ კი არიან სიძველეების ზოგი მოყვარული, ზოგი ნაკლებ მოყვარული ხალხი მოწვეული თქვენთან სტუდიაში, მაგრამ, მართლმადიდებლობა, გვიყვარს ქართველებს ეს, ქართული ენა ძნელია და არა რეკლამური ... ძალიან კარგი ენა გვაქვს, მინდა მერწმუნოთ, როგორც ენების სპეციალისტი მე, თვითონ პირადად, მართლმადიდებლობა... ორთოდოქსი ევროპულად, ორთოდოქსი ნიშნავს ერთმორწმუნეს, ნამდვილად სიმართლის დიდებას, ნახეთ, რა ლამაზი სიტყვა გვაქვს. დღეს, აი, ამიტომ მინდა, რომ სიმართლე მედიდებინა, იმიტომ, რომ გავიგე, დღეს, თურმე, ჩემი ძმის მკვლელობა ჩემი ორგანიზებულია და ჩადენილია ბარათელის მიერ, აი, წარმოუდგენელი სისულელე, რომ მამაჩემის მემკვიდრეობა დამრჩენოდა. ვფიცავარ ჩემს ორ შვილს, რომ ერთი თეთრიც კი არ ვიცი და არასდროს მცოდნია მისი სამოღვაწეო საქმიანობიდან. მე თვითონ ასე ვიყავი და არავინ არ ველოდებოდით, ხომ გითხარით, 40 დღის წინ მე, მიშა რობაქიძეს და გიორგი ლაფერაშვილს განვუცხადე ეს ყველაფერი, რომ ასე მოხდებოდა, მხოლოდ ჩემს თავზე.

**ინგა გრიგოლია: - ძალიან დიდი მადლობა, გიორგი, იმისთვის, რომ მიიღეთ მონაწილეობა ამ გადაცემაში.**

**მე მინდა, გისურვო მშვიდობა, დიდი მადლობა იმისთვის, რომ მიიღე მონაწილეობა ეთერში.**

**მაშ ასე, გიორგი შარაძე ამბობს, რომ მას არ სჯერა, რომ გურამ შარაძის მკვლელი არის გიორგი ბარათელი, თუმცა, როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, მან აღიარა ეს მკვლელობა.**

**გიორგი შარაძე: - რომც მჯეროდეს, ქალბატონო ინგა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე მამაჩემის როგორც ხორციელ, ისე სულიერ შვილს, არა მაქვს უფლება, როგორც მოიქცა, ოლღა გურამიშვილი... არ ვიძახი მე ახლა, როგორც მისი მეუღლე მოიქცა და მოითხოვა, მე ჩემი მხრიდან, როგორც ქრისტიანი და მართლმადიდებელი, ვალდებული ვარ, მას მივუტევო, როგორც უძღებ შვილს!**

**ბოლო სამი კვირის განმავლობაში ბევრი დაიწერა გურამ შარაძის ვერაგულ მკვლელობაზე, მაგრამ, რასაც დღეს მისი შვილი, რუსუდან შარაძე აცხადებს, ალბათ, სწორედაც რომ სიახლეა გამოძიებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც... „გურამ შარაძე გიორგი ბარათელს არ მოუკლავს", - აცხადებს გარდაცვლილი პროფესორის შვილი და დღემდე იდუმალებით მოცულ ბრალდებულს ხმამაღლა ექომაგება. და, აქვე, რამდენიმე, ფრიად საყურადღებო და სკანდალურ განცხადებასაც აკეთებს...**

# რუსუდან შარაძე:



# მამაჩემი გიორგი ბარათელს არ მოუკლავს

**- რუსო, მინდა, რომ აბსოლუტურად გულწრფელი იყო დღეს... მესმის, ძნელია მაგრამ მაინც... ინფორმაციები ვრცელდებოდა მთელი კვირის განმავლობაში, თითქოს გიორგი ბარათელმა უარყო მკვლელობა...**

- ახლა რასაც შენთან ვიტყვი, ჯერ არავისთვის მითქვამს! არსებობენ ნაცნობი და უცნობი მოწმეები, რომლებსაც შევხვდი და რომლებსაც ჩემი ინიციატივით ჯერ არ ვაჩენ... მათი და მათი ოჯახების უსაფრთხოება არ არის დაცული და არ მინდა, მსხვერპლს კიდევ მსხვერპლი მოჰყვეს. მაგრამ, მოვა დრო და ეს ხალხი აუცილებლად გამოჩნდება! ოფიციალურად გამოჩნდებიან და მოუწევთ მოწმეებად წარდგენაც! ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყველა მოწმე აცხადებს ერთი და იმავეს! ამბობენ, რომ, უშუალოდ მკვლელი არის მაღალი, ჭაღარათმიანი, შემელოტებული, უწვერო, ბარათელისნაირად ჩაცმული ჯინსის პერანგსა და შარვალში და ხელში „მაკაროვის" სისტემის იარაღით და არა „ტეტეთი"...

ესე იგი, გურამი მოდიოდა ფეხით... მას უკან მოჰყვებოდა გამდვილი მკვლელი ან მკვლელები და არა ბარათელი... პირველი ტყვია აქვს უკნიდან ნასროლი, მომენტალურად არის მამა დავარდნილი, მარჯვენა მხარეს... და უკვე წაქცეულზე, მარცხნიდან აქვს დახლილი დანარჩენი 2 ტყვია... ესე იგი, პირველი ტყვია ესროლეს კეფაში, წაქცეულს უკვე საკონტროლო ტყვიები დაახალეს! - ზუსტად საფეთქელში და არტერიაში!

მამა პირველი ტყვიით არის მოკლული. პირველივე ტყვია, უკნიდან ნასროლი, იყო სასიკვდილო!

ამის მერე, მკვლელი გარბის შანიძის ქუჩაზე, შუა ქუჩაზე... მას უკან, ტროტუარზე მოსდევს „პატრულის" თანამშრომელი. შეიძლება, დაცვის სამსახურის თანამშრომელიც... ამას სხვადასხვაგვარად ამბობენ მოწმეები... ანუ, ფორმაში ჩაცმული, რაციითა და იარაღით.

ამ დროს ეს მკვლელი ტრიალდება და ისვრის ამ თანამშრომლის მიმართულებით რამდენიმე ტყვიას. ამასობაში ტყვიები უთავდება... მათ თან მოსდევს „პატრულის" მანქანა. მძღოლი, შესაძლოა, ზემოდასახებულის მეწყვილეა... მკვლელი გარბის შანიძისა და ხორავას ქუჩების გადაკვეთაზე, ბარნოვის ქუჩისკენ.

თან, ნუ დაგავიწყდებათ, რომ კილერის დაკავება ამდენი ხნის განმავლობაში ვერ შეძლეს „პატრულის" თანამშრომლებმა...

ერთ-ერთ თვითმხილველს შთაბეჭდილებაც კი დარჩენია, თითქოს ეს თანამშრომლები ხალხისგან იცავდნენ გაქცეულ მკვლელს და, ფაქტობრივად, გზას უთავისუფლებდნენ მას.

შემდეგ, მკვლელი ხორავას ქუჩიდან უხვევს მარცხნივ, ჯანაშიას ქუჩისკენ, შერბის ერთ-ერთ ეზოში და...

გამოუცდელი თვალისთვის, ის დაიბნა, მაგრამ... ჩემი აზრით, ამ ეზოში მოხდა გაცვლა! მკვლელი და ბარათელი ერთმანეთს შეენაცვლნენ! შემდეგ, ეზოდან, სავარაუდოდ, უკვე ბარათელი გამორბის და გარბის პეტრიაშვილის ქუჩისკენ და რაც მთავარია, პეტრიაშვილზე უკვე ხდება სროლა, რათა ბარათელი დააკავონ... ეს ხომ აბსურდია!

მრგვალ ბაღამდე სდიეს ბარათელს? კარგით, რა... მკვლელობის ადგილზე რომ მივიდა ჩემი მეუღლე, ერთ-ერთმა პატრულმა უთხრა - მკვლელები დაკავებულები არიან, ორნი იყვნენო! სად არის მეორე? ვინმემ გამცეს ამ კითხვაზე პასუხი! სავარაუდოდ, რადგან „ტეტეს" იარაღიც ფიგურირებს - მეორე მკვლელი არსებობს და ამის აღიარება არ უნდათ!

**- რუსო, ტყვიები სად არის ახლა? გაჩვენეს თქვენ?**

- რას მელაპარაკები, კაციშვილი არ გამოჩენილა ჩვენს ოჯახში! რა ტყვია, რის ექსპერტიზა...

**- „ალდაგის" ოფისთან დამაგრებულმა კამერამ რომ დააფიქსირა გურამ შარაძის უკანასკნელი წუთები, ის კასეტა სად არის? ვისთან ინახება?**

- სხვათაშორის, ერთ-ერთი მოწმე „ალდაგიდანაა", რომლის მიერ მოცემული მკვლელის აღწერილობაც ემთხვევა სხვა მოწმეთა ჩვენებებს. ბარათელი კი არის დაბალი, თმაგადაპარსული, წვერმოშვებული... სად არის ლოგიკა? სხვას რომ თავი დავანებოთ, წვერი ერთ ღამეში ხომ არ ამოუვიდოდა კაცს!

ჩვენი ოჯახი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე კატეგორიულ უარს აცხადებს!

რაც შეეხება კასეტას...

თუმცა, რა აზრი აქვს ამ ფირის ნახვას...

**- როგორ, თქვენ არ დაინტერესებულხართ ამ ფირით? მოითხოვეთ და უარი გითხრეს?**

- არ დავინტერესებულვართ! იმიტომ, რომ აზრი არა აქვს! ერთი პროცენტითაც არ მჯერა, რომ ვინმე „ალდაგის" კასეტას მაჩვენებს! გამოდის, რომ მე უნდა ვნახო მკვლელი, რომელიც ბარათელი არ არის და ამის მე ვინ მაჩვენებს?! დიახ, ბარათელი მკვლელი არ არის!

**- მიგემართათ მაინც...**

- ამ ფირის გადმოცემის საკითხს არ დავაყენებ. ბავშვიც ხვდება, რომ ბარათელი არ არის მკვლელი, რადგან, არც ფირია და არც აღიარებითი ჩვენება. მკვლელი არის სულ სხვა! პირველი ტყვია ვინც გაისროლა, ის სადაა? ვინაა? ყველაფერი ვიცი, მაგრამ ჯერ მოწმეებს ვმალავ, რადგან არ მინდა, მამაჩემის მკვლელობის გამო ვიღაცას, თუნდაც, თმის ღერი ჩამოუვარდეს! მეც მყავს ოჯახი და მათი მესმის!

**- შთაბეჭდილება მრჩება, რომ ძალით იქმნით პრობლემებს და აჩენთ კითხვის ნიშნებს იქ, სადაც ისედაც ყველაფერი ნათელია...**

- ერთი მოსამართლე, რომლის სახელს შეგნებულად არ გასახელებ, ძალიან ცნობილი [illegible] ეს მის სინდისზე იყოს!

იმდენად უმსგავსო ჭორი იყო, რომ ვერ გავიმეორებ!

**- დღეს საკმაოდ ხმამაღალი განცხადებები გააკეთე...**

- მთავარი არ დამავიწყდეს: ეჭვი მაქვს, რომ ბარათელს, ამ უბედურს, იქიდან ცოცხალს არავინ გამოუშვებს! და ძალიან გული მტკივა, იმიტომ, რომ ბარათელი არაფერ შუაშია! რაც უნდა კრიმინალური წარსული ჰქონდეს, გიორგი ბარათელი მამაჩემს არ მოკლავდა! ვერც ფიზიკურად გააკეთებდა! ასეთ პროფესიონალად ის ვერც ჩამოყალიბდებოდა... ისედაც ძალიან დაბნეული იყო... ან, რატომ იყო ნაცემი, მეტყვის ვინმე?

**- რუსო, უხერხული შეკითხვა მინდა, დაგისვა... გურამ შარაძე კომუნისტების ზეობის ხანაშიც კი, ძალიან თავისუფლად დადიოდა უცხოეთში... ბევრმა ჭორებიც მოუგონა, თითქოს საბჭოთა სპეცსამსახურებთან იყო შეკრული... ზოგმა სხვა ვერსიები მოიგონა...**

- დიდი მადლობა ამ შეკითხვისთვის! ამაზე მაქვს ერთადერთი პასუხი. და, ყველაზე ძლიერი! КГБ-ს არქივები ზვიად გამსახურდიამ პრეზიდენტობამდეც ზეპირად იცოდა და ასევე ნამდვილ აგენტთა ვინაობა. შემდეგ, პრეზიდენტობისას, საკუთარი თვალითაც ნახა - როგორ ფიქრობთ, დევნილობაში ყოფნისას ერთადერთ კაცს მთელ საქართველოში, გურამ შარაძეს, გადასცემდა ნოტარიუსით დამოწმებულ რწმუნებას და ჩააბარებდა იმ უძვირფასესეს სულიერ თუ კულტურულ განძეულობას, რასაც კოლხური კოშკი და დიდოსტატის არქივი ჰქვია? ეს ჩააბა- [illegible] სიმართლე და მისი ბიოგრაფია!

ესაუბრა
გიორგი მამაცაშვილი



გვირგვინი წარწერით „გურამ შარაძეს ქართველი მეცნიერებისაგან და გაზეთ „მამულის" რედაქციისაგან" კაშვეთის ტაძარში

**აკადემიკოს გურამ შარაძის პირადი იურისტი – ნინო ნიშნიანიძე ჩვენს გაზეთს სენსაციურ ინფორმაციას უმჟღავნებს და აცხადებს, რომ 20 მაისს მელიქიშვილის გამზირისა და შანიძის ქუჩის გადაკვეთასთან აკადემიკოსს არა ვინმე გიორგი ბარათელმა, არამედ ორმა სპორტული აღნაგობის მამაკაცმა ესროლა, რომლებიც სწრაფად გადმოხტნენ მუქი ფერის უცხოური მარკის მანქანიდან და სწრაფადვე გაუჩინარდნენ. მკვლელობას უშუალოდ შესწრებია რამდენიმე ადამიანი... მოწმეები, რომლებიც საერთოდ არ იცნობენ ერთმანეთს, მკვლელობის სურათსა და მკვლელებს აბსოლუტურად იდენტურად აღწერენ... განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი ქილერის აღწერილობა, – იგი ორმოცდახუთ წელს არის გადაცილებული, სპორტული აღნაგობისაა და არა ბარათელივით ჩოფურა და „ჩამჯდარი"; ამასთანავე, ჭაღარა თმა აქვს, რომელიც შუბლთან საგრძნობლად შეთხელებულია, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ჭაღარათმიანი მკვლელი შესამჩნევად მელოტია... ქალბატონ ნინო ნიშნიანიძის განცხადებით, თვითმხილველთა მონათხრობი უტყუარ ჭეშმარიტებად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთსა და იმავეს აცხადებენ!..**

# არსებობს 5 კაცი, რომლებმაც გურამ შარაძის 2 მკვლელი დაინახეს



ნინო ნიშნიანიძე:



**– ქალბატონო ნინო, ის, რაც თქვენ კერძო საუბარში მიამბეთ, გასაოცარია და ფრიად სკანდალური... ნუთუ მართალია ეს ყველაფერი და ნუთუ მსგავსი თვითმხილველები ნამდვილად არსებობენ?**

- არსებობენ, ნამდვილად არსებობენ!..

**– მაინც რამდენი კაცია მკვლელობის თვითმხილველი?**

- არსებობს ხუთი თვითმხილველი, რომლებმაც გურამ შარაძის ორი მკვლელი დაინახეს!..

**– იცით ამ ადამიანების გვარ-სახელი?**

- დიახ, ვიცით!..

**– მისამართებიც?**

- ვიცით!..

**– ქალბატონო ნინო, რას ამბობენ ეს ადამიანები?**

- ეს ადამიანები მკვლელობის უნებლიე მოწმენი გახდნენ, ანუ ყველაფერი მათ თვალწინ მოხდა. კატეგორიულად ვაცხადებ: **თვითმხილველები ბატონი გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში გიორგი ბარათელის გარეგნობის მსგავსი ადამიანის მონაწილეობას გამორიცხავენ.** ბარათელი, როგორც ვიცი, „ჩამჯდარია", ტანდაბალი და არც სპორტული გარეგნობით გამოირჩევა. თვითმხილველები ამბობენ, რომ მკვლელები ათლეტური აღნაგობის, სპორტული, ნავარჯიშები ხალხი იყო, რაც მოძრაობაზეც ეტყობოდათ.

**– ხუთივე ადამიანი ერთსა და იმავეს ამბობს?**

- **დიახ, ეს ადამიანები ერთსა და იმავეს იმეორებენ და კატეგორიულად აცხადებენ, რომ მათი ყურადღება, უპირველესად, მანქანის მუხრუჭების ხმამ მიიპყრო... მელიქიშვილის გამზირზე მანქანამ მოულოდნელად დაამუხრუჭა, თვითმხილველებმა მიიხედეს და დაინახეს, რომ მანქანიდან გადმოხტა ორი ადამიანი... – როცა გასროლის ხმა გავიგონეთ, ბატონი გურამი უკვე მიწაზე იყო წაქცეული! – იხსენებენ მოწმეები...**

**– რა მარკის მანქანა იყო, საიდანაც მკვლელები გადმოხტნენ, ამაზე რას ამბობენ?**

- ასახელებენ მომწვანო ფერის უცხოური წარმოების მანქანას... ყოველ შემთხვევაში, ეს მანქანა ღია ფერის არ ყოფილა.

**– ეს მანქანა „ჯიპი" იყო თუ?..**

- არა, „ჯიპი" ნამდვილად არ ყოფილა... იცით, ვერ ამბობენ, რა მარკის მანქანით იყვნენ მკვლელები!..

**– და ვინც მანქანიდან გადმოხტნენ, სწორედ ისინი ისროდნენო?**

- დიახ!..

**– ორივენიო?**

- დიახ, ორივენი ისროდნენო!.. სხვათაშორის, ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც უშუალოდ შეესწრო ამ ამბავს და ყველაზე უფრო ახლოს იყო მკვლელობის ადგილთან, დღემდე შოკირებულია და მდგომარეობიდან ვერ გამოდის. მე მგონი, ის აუცილებლად მისცემს გამოძიებას ჩვენებას...

**– ქალბატონო ნინო, რა ასაკისანი იყვნენ მკვლელები და რას ამბობენ ამის შესახებ თვითმხილველები?**

- ძალიან ახალგაზრდები არ ყოფილან, სავარაუდოდ, ორმოცდახუთ წელს ზემოთ უნდა ყოფილიყვნენ.

**– რაიმე განსაკუთრებული, დამახასიათებელი ნიშანი ხომ არ ჰქონდათ?**

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ერთ-ერთს თმაში ჭაღარა ერია და შუბლთან მელოტი იყო... სწორედ ეს ჭაღარა და მელოტი ადგა თავზე ბატონ გურამს და საკონტროლო გასროლას ასრულებდაო! - აცხადებენ თვითმხილველები...

**– ამის მერე რა მოხდაო, ქალბატონო ნინო?**

- არც არაფერი, ჩამსხდარან მანქანაში და წასულან!.. ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად, წამებში მომხდარა!.. იმდენად შოკირებულნი არიან თვითმხილველები, რომ ვერ წარმოიდგენთ!.. სხვათაშორის, **მინდა გითხრათ, რომ, ბატონი გურამის ჩანთა, რომელიც შემთხვევის ადგილზე ეგდო, მაპატიეთ ამ სიტყვისთვის, მაგრამ თვითმხილველთა მტკიცებით „გაძეძგილი" ყოფილა. ხალხს უნდოდა, თურმე, ამ ჩანთის აღება, მაგრამ პატრულს არ მიუცია ამის საშუალება. მე როდესაც დაბრუნებული ჩანთა ვნახე, ის ძალიან ხალვათად გამოიყურებოდა.** ფაქტია, რომ ჩანთიდან რაღაც დოკუმენტები გამქრალია. ბატონი გურამი ბოლო დროს ძალიან სერიოზულ დოკუმენტებზე მუშაობდა, ეს მე ვიცი... როცა ის მოკლეს და მე ჭირისუფლებთან ერთად სამძიმარს ვღებულობდი, ჩემთან მოვიდა საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელი და შეხვედრა მთხოვა, - დოკუმენტებთან დაკავშირებით ძალიან სერიოზული რამ უნდა გითხრათო!.. ფაქტია, რომ **მკვლელობის დღეს საჯარო ბიბლიოთეკაში ბატონმა გურამმა დოკუმენტებით სავსე საქაღალდე დაკარგა.**

**– ქალბატონო ნინო, თვითმხილველები ერთად მოინახულეთ თუ ცალ-ცალკე?**

- საქმე მაგაშია, რომ ცალ-ცალკე ველაპარაკე და ყველა ერთსა და იმავეს აცხადებს!.. სხვათაშორის, ვთხოვე, რომ მათი ნაამბობი ჩამეწერა და ვიდეოფირზე აღმებეჭდა, მაგრამ ამ ეტაპზე თავს იკავებენ!..

**– რატომ?**

**- ეშინიათ და ამბობენ, - იქ, სადაც ბატონი გურამ შარაძე დღისით-მზისით ქუჩაში დემონსტრაციულად დახვრიტეს, ჩვენ რა გარანტია გვაქვს, რომ ცოცხლებს დაგვტოვებს ვინმეო!.. მიზანი მიღწეულია და ხალხი შეშინებულია, მაგრამ მოვა დრო და, ეს თვითმხილველები ალაპარაკდებიან!.. ეს ძალიან, ძალიან მალე მოხდება!**

*ესაუბრა*

**დიტო ჩუბინიძე**

**უკვე ალაპარაკდნენ აკადემიკოსის მიერ სამშობლოსთვის დაბრუნებული ემიგრაციის მუზეუმის უნივერსიტეტის მე-8 კორპუსიდან შესაძლო გამოძევების შესახებ. ამ და სხვა თემებზე გვესაუბრება გურამ შარაძის ერთ-ერთი აქტიური თანამოაზრე და თანამებრძოლი, პროფესორი ნესტან კირთაძე:**



ნესტან კირთაძე:

# გურამ შარაძემ ჩემს სახლში თქვა: მე მომკლავენო!

- ბატონი გურამ შარაძე გახლდათ პოლიტიკური მოძრაობა **„ენა, მამული, სარწმუნოების"** ლიდერი, ეს იყო ოფიციალურად რეგისტრირებული ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაცია. **როდესაც პოლიტიკური მოძრაობის ლიდერს კლავენ, ეს ავტომატურად პოლიტიკური მკვლელობაა.**

შეგახსენებთ, რომ აკადემიკოსი გურამ შარაძე ორგზის გახდა ამ ხელისუფლების პირადი ტუსაღი და ორჯერვე იმის გამო, რომ იგი თავგამოდებით იცავდა ეროვნულ ღირებულებებს. გარდა ამისა, როცა მისი შვილის, **ლაშა შარაძის ცინიკური მკვლელობის შემდეგ გაჩნდა საფრთხე, რომ შეიძლებოდა ბატონი გურამის წინააღმდეგ ვინმეს ხელი აღემართა, შევარდნაძის ხელისუფლებამ მას სამთავრობო დაცვა დაუნიშნა. სააკაშვილის ანტიეროვნულმა, სექტანტურმა რეჟიმმა მას ეს დაცვა ხელისუფლებაში მოსვლიდან ორი კვირის თავზე მოუხსნა და, ფაქტობრივად, გზა გაუხსნა მკვლელებს.**

**– როცა 100 წლის წინ წიწამურთან ილია მოკლეს, გალაკტიონმა თქვა: „... ეპოქა დამთავრდა დიდი". ახლა, 21-ე საუკუნის საქართველოში გურამ შარაძის მკვლელობაც ხომ არ არის რაღაც გარკვეული ეპოქის, პერიოდის დასასრული?**

- როცა ვამბობთ, რომ ეპოქა დამთავრდა, იქვე უნდა ვთქვათ, რომ ეპოქა იწყება. **ერთის მხრივ, იწყება სააკაშვილის ხელისუფლების ტოტალური, ძალიან სახიფათო ბრძოლა ეროვნული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.** უფრო სწორად, იწყება ამ ბრძოლის ახალი ფაზა, რომელიც ძალიან საშიშია. **ამავდროულად კი უნდა დაიწყოს დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.** სიტყვა **„განმათავისუფლებელი"** შემთხვევით არ მითქვამს. **ვერ წარმომიდგენია, რატომ იზეიმა ამ ხელისუფლებამ 26 მაისი, როცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგულია, სუვერენობა კი წართმეული და დელიგირებულია.**

**– ქალბატონო ნესტან, არის თუ არა გიორგი ბარათელი გურამ შარაძის მკვლელი? თუ არის, რა მიზეზი ჰქონდა მას აკადემიკოსის მოსაკლავად?**

- როგორი მოტივაციაც უნდა გააჩნდეს ვინმე გიორგი ბარათელს, რომელმაც თავის თავზე აიღო ეს უმძიმესი დანაშაული, ის მკვლელი არ არის. **მკვლელი არსებობს ერთი, რომელიც არის იდეის, საქართველოს მკვლელი. როცა ასეთი მკვლელობა იგეგმება, მას თავისი იდეოლოგიური მომზადება სჭირდება. დიდი ხანია, კლავდნენ გურამ შარაძეს, როცა მისი იმიჯის შელახვაზე მუშაობდნენ, როცა საქილიკოდ ხდიდნენ ხოლმე მის მიერ წარმოთქმულ ყველა სიტყვას და ფრაზას, ანუ მას იდეოლოგიურად კლავდნენ და ამზადებდნენ მის ფიზიკურ მკვლელობას.** დღეს არცთუ იშვიათად გაიგონებთ ასეთ შეკითხვას, განსაკუთრებით ცნობილი ტელევიზიების ცნობილი წამყვანებისგან: **რატომ მოკლეს გურამ შარაძე, ის ამ ბოლო დროს ვერანაირ ხიფათს ვერ უქმნიდა ხელისუფლებასო.** ილია ჭავჭავაძე თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში სახლიდანაც კი არ გამოდიოდა, იმიტომ რომ მან ზუსტად იცოდა, რომ მზადდებოდა მისი მკვლელობა, მაგრამ ეს იმას ნიშნავდა, რომ სახლში ჩაკეტილი ილია ჭავჭავაძე ანტიეროვნულ ძალებს ხიფათს არ უქმნიდა?

**– თქვით, ილია ჭავჭავაძემ იცოდა, მისი მკვლელობა რომ მზადდებოდაო. ხომ არ იცოდა წინასწარ ან რამეს ხომ არ გრძნობდა, რამეს ხომ არ ელოდებოდა ბატონი გურამიც?**

- ერთხელ ბატონმა გურამმა მითხრა, წუხელ უცნაური სიზმარი მესიზმრა და უნდა გითხრათო. დაუძახა ჩემს დას, რომელიც არის ანტონ მარტყოფელის ეკლესიის მედავითნე და სთხოვა, რომ მას ეს მოესმინა, იმდენად შეძრული იყო კაცი. მე ვუთხარი: ბატონო გურამ, რას ბრძანებთ, სიზმრების გჯერათ-მეთქი? მითხრა: არა, მათქმევინეთ ჩემი სათქმელიო და მოჰყვა: **მე წავედი ილია ჭავჭავაძესთან საგურამოშიო. როცა კიბეებზე დავიწყე ასვლა, ორი საფეხურის შემდეგ დანაცრული და დამწვარი მესამე საფეხური შემხვდა და დავდგი თუ არა ფეხი, კიბე ჩავარდა და თან ჩამიტანაო.** რას ნიშნავს-მეთქი ეს, - ვკითხე. **ბატონმა გურამმა თქვა: მე მომკლავენო.** თავდახრილი და თავჩაქინდრული გურამ შარაძე ოდესმე ვინმეს უნახავს? იმ წუთში მან თავი დახარა და მე და ჩემს დას ისეთი განცდა გვქონდა, რომ იგი უკვე დასტიროდა და დანაღვლიანებული დასცქეროდა თავის მოკლულ სხეულს! **მას შემდეგ ხშირად ამბობდა ბატონი გურამი, - მე მომკლავენ.** სხვათაშორის, ეს ამ დღეებში მისმა მეუღლემ, ქალბატონმა სვეტლანამაც გაიხსენა, - რამდენიმეჯერ კიდევაც ვუთხარი, ნუ ამბობ ამას, ჩვენ შვილიშვილები გვყავს გასაზრდელიო! მაგრამ ის ამბობდა: **მერე რა, თუ მომკლავენ, მე ჩემს ლაშიკოს შევხვდებიო! მას ჰქონდა რაღაც საოცარი ინტუიცია, რომ მოკლავდნენ.**

**– გურამ შარაძის შვილმა, რუსუდან შარაძემ თავის სატელევიზიო გამოსვლაში თქვა, რომ აპირებენ საფრანგეთში ლევილის მამულის გაყიდვას და შესაძლოა, ბატონი გურამის მკვლელობა ამასაც უკავშირდებოდეს. ამასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციას ხომ არ ფლობთ?**

- სანამ ამაზე კომენტარს გავაკეთებ, ჩემი სათქმელი უნდა ვთქვა რუსო შარაძის მისამართით. **რუსო, ბარაქალა შენს ქალობასა და ვაჟკაცობას!** მე იმ უბედურების დღეებში ბატონი გურამის ოჯახში ვტრიალებდი და ზუსტად ვიცი, რომ **ოჯახის წევრებზე იყო ზეწოლა, რათა მათ გაეკეთებინათ განცხადება, გიორგი ბარათელის დამნაშავეობისა და ბატონი გურამის მკვლელობის საყოფაცხოვრებო მოტივის შესახებ.**

**– ვისგან მოდიოდა ეს ზეწოლა?**

- ამას ვერ გეტყვით, მაგრამ **იყო უალრესად დიდი ზეწოლა.** უფრო მეტსაც გეტყვით: **რუსუდან შარაძის ის მღელვარე გამოსვლა, მხოლოდ შოკით არ ყოფილა გამოწვეული, არამედ, პრაქტიკულად, მას უნდა მოესწრო იმ განაცხადების გაკეთება, იმდენად დიდი იყო ზეწოლა.** უფრო კონკრეტულად ამ ეტაპზე ვერაფერს ვიტყვი, ისევ ბატონი გურამის ოჯახის უსაფრთხოების გამო!

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, გიპასუხებთ: **ალბათ, ლევილიც**. მაგრამ მე მაინც იმ აზრისა გახლავართ, რომ ბატონი გურამის მკვლელობა რაიმე კონკრეტულ მიზეზს არ გამოუწვევია. **ვიმეორებ: მათ ზუსტად იცოდნენ, რომ ტყვიას ესროდნენ იდეას. მათ აჩვენეს თავიანთ ხელდამსხმელებს, რომ იდეას უკვე ტყვია ესროლეს, ეკლესია უკვე დაანგრიეს, ჯვარი შეურაცხყვეს, „ვეფხისტყაოსანი" შებილწეს და ყველაფერზე წამსვლელები არიან.**

**– ქალბატონო ნესტან, მოდით, დავუშვათ სხვა ლოგიკაც! როცა ქვეყანაში ასეთი კრიტიკული ვითარებაა, როცა ხელისუფლების მოქმედებებმა გამოიწვია ასეთი საზოგადოებრივი მღელვარება, ასეთი ხმაურიანი მკვლელობა ყველაზე ნაკლებად, წესით, ხელისუფლებას უნდა აწყობდეს, არა?**

- ეს ტყვია გასროლილი იყო საზოგადოების დასაშინებლადაც და ამან თავისი შედეგი გამოიღო. **უნივერსიტეტში, გურამ შარაძის ცხედართან მხოლოდ რამდენიმე პროფესორი მოვიდა და არა იმიტომ, რომ ისინი პატივს არ სცემდნენ ან არ თანაუგრძნობდნენ გურამ შარაძეს. არა, მათ შეეშინდათ. უნივერსიტეტიდან პროფესურა არ გამოვიდა თავისი ერთ-ერთი რჩეული კოლეგისთვის პატივის მისაგებად.** უფრო მეტიც, როცა პრაქტიკულად, 5 ათასი კაცი მიაცილებდა გურამ შარაძის ცხედარს, საქართველოს ტელევიზიებმა წამითაც კი არ გააელვეს ეს კადრები, გარდა ტელეკომპანია „კავკასიისა", რომელიც ეროვნული პოლიტიკის ერთგული რჩება.

**– თქვენ საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვენით იმ ფაქტს, რომ გურამ შარაძის მიერ დაფუძნებულ ემიგრაციის მუზეუმს სერიოზული საფრთხე ემუქრება. რაშია საქმე?**

- ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ დიდი ხანია დაწყებულია, მაგრამ დღეს იგი ძალიან სახიფათო ფაზაში შევიდა და მისი ერთ-ერთი ეპიზოდი გახლავთ ბრძოლა ისტორიული მეხსიერების წინააღმდეგ. **ისინი უკვე ებრძვიან ქართული ემიგრაციის მუზეუმს, რომელიც შეიძლება ხვალ-ზეგ გამოძევებულ იქნას თსუ-ს მე-8 კორპუსიდან. შეიძლება ქუჩაში გამოიყაროს არაჩვეულებრივი ექსპოზიცია და კიდევ უფრო უნიკალური ფონდები, რომელიც არის საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ნაწილი.** ამ მუზეუმის შესაძლო გამოძევების შესახებ აკადემიკოსი გურამ შარაძე საგანგებო პრესკონფერენციებით და საგაზეთო პუბლიკაციებით აუწყებდა ქართველ საზოგადოებას. ეს საფრთხე რეალურია დღეს, როცა მოკლულია მისი დამფუძნებელი გურამ შარაძე. მინდა შეგახსენოთ, რომ ემიგრაციის მუზეუმი დაფუძნდა 1994 წლის 10 ოქტომბერს, მსოფლიოს ყოველთა ქართველთა პირველი კონგრესის გახსნის დღეს. მისი პრეზიდენტი იყო ბატონი **რეზო ჩხეიძე**, თანაპრეზიდენტი კი ბატონი **გურამ შარაძე**. მას ძალიან ბევრი დარდი გაჰყვა იმ ქვეყნად და ერთ-ერთი მათგანი იყო მუზეუმის ბედი, რომელიც დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

გარდა ამისა, თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა გავაკეთო კიდევ ერთი ოფიციალური განცხადება: გახსოვთ ის ბობოქარი დღე, ბატონმა გურამ შარაძემ ათასობით ადამიანს უნივერსიტეტის წინ მუხლი რომ მოაყრევინა? ეს გაკეთდა სწორედ იმისთვის, რათა ქართველობას ვიზუალურად დაენახა, რომ **უნივერსიტეტის ბალი კი არ ჰქვია მას, არამედ ის არის მისი დამაარსებლების პანთეონი. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ, რომ ის ოფიციალურად გამოცხადდეს პანთეონად, რათა უნივერსიტეტის კორპუსების გაყიდვის შემთხვევაში, შეუძლებელი გახდეს ამ პანთეონის გასხვისება და იქიდან ჩვენი სახელოვანი წინაპრების ძვლების ამოთხრა!**

*ესაუბრა*

**ჯაბა ხუბუა**

**გურამ შარაძის მიერ მოძღვნილი „აკაკის" სამი ტომის შემდეგ „მამულის" რედაქციამ მეოთხე ტომიც მიიღო - ამჯერად მისი მეუღლის ავტოგრაფით**





ქვემძლი



# ერთი მწერლის, ვახტანგ ხარჩილავას ოთხი ამოხვნეშა ქართულ ტკივილზე




**- თქვე მნგრევლებო! - მიაძახა ხელისუფლებას ერთმა გამოსულმა ვეტერანმა მიტინგზე. სხვა, უფრო უხერხული ეპითეტებიც თქვა იმავე მიტინგზე, მაგრამ მე მაინც სიტყვა მნგრევლებმა უფრო მომხვდა გულზე. იქნებ იმიტომ, რომ ჩემი თაობა ნანგრევების ქვეშ მოყოლილი თაობაა და ამდენად, სიტყვა ნგრევა ჩემშიც და ჩემს თანატოლებშიც უარყოფით ემოციებს იწვევს.**

- რა ნგრევა, რის ნგრევა, რას მიედ-მოედებით, ვერ ხედავთ, დღედღამ ვაშენებთ სასტუმროებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, სკვერებს, შადრევნებს, გზებს, პარკებს, თქვენ კი მნგრევლებს გვეძახით? - შემოგვეკამათებიან, ხელისუფალნი.

მართლაც ბევრი რამ შენდება დღეს, მაგრამ უცნაური ის არის, რომ ამ მშენებლობის ჟამს მაინც ნგრევის სუნი დგას გარშემო, ნგრევის სულისკვეთება, ნგრევის ჟინი, ნგრევის ექსტაზი სჭარბობს შენების მოგვრილ სიხარულს.

ეტყობა, ისეთ რაღაც მთავარს და მნიშვნელოვანს ვანგრევთ, ამ ნგრევის ფონზე შენება აზრს და ფუნქციას კარგავს.

ალბათ, ამიტომაც თქვა იმ ორატორმა - თქვე მნგრევლებო!

თქვა და ხალხმა ტაში დაუკრა.

ხალხი გუმანით ხვდება ხოლმე, რა შინაარსი და ქვეტექსტი დევს ამა თუ იმ სიტყვაში.

ხალხს კარგი სმენა აქვს!

●

დღეს მიმდინარე ნგრევის პროცესს თავისი წინა ისტორია, თავისი დასაწყისი და დასასრული აქვს. ამ წინა ისტორიის მოკლე და ლაკონური სახელი ჰქვია - საბჭოთა კავშირის ნგრევა.

კარგად მახსოვს, საბჭოთა კავშირის ნგრევის პარალელურად რა ხალისით და ენთუზიაზმით ვანგრევდით საქართველოსაც.

საქართველოს ნგრევა მას შემდეგაც ენთუზიაზმით გაგვრძელდა, რაც საბჭოთა იმპერია დაიშალა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში არავის, არცერთ რესპუბლიკას, არცერთ ერს არ უნგრევია თავისი ქვეყანა ისეთი თავგამოდებით, როგორც ჩვენ.

შარაგზის ყაჩაღებივით და მოროდიორებივით მივესიეთ საკუთარ სამშობლოს და კუდის როკამდე გავძარცვეთ.

- კომუნისტების შენებული ქვეყანა რად გვინდაო! - ამბობდნენ ბევრნი და ყოველ ნაბიჯზე ვანგრევდით ყველაფერს, რისი დანგრევაც შეგვეძლო, ვძარცვავდით ყველაფერს, რისი მოპარვაც შეიძლებოდა, ვითვისებდით, ვისაკუთრებდით ყველაფერს, რისი დათრევა და დასაკუთრებაც შეიძლებოდა.

ამ საყოველთაო სახალხო ძარცვა-გლეჯაში მაინც კომუნისტებმა და კომკავშირლებმა იხეირეს და იმარჯვეს ყველაზე მეტად. **ისინი ახლა კომუნიზმის ნაცვლად ახალ კომუნიზმს - კაპიტალიზმს უშენებდნენ „გათავისუფლებულ" ქვეყანას და აქამდე საერთო სახალხო ქონებად წოდებულ სიმდიდრეს საკუთრებად მიითვისებდნენ.**

**- დემოკრატია გინდოდათ? ამათ უნდათ!** - კაპიტალიზმთან ერთად დემოკრატიაც გვპირდებოდნენ და გავიხარეთ, მაგრამ გახარება დიდხანს არ გაგვყოლია.

სულ მალე ხალხმა კუპონებად ამოტრიალებულ „კაპიტალიზმის" სუფრიდან მოიღო დარდი ლუკმა, დემოკრატიამ კი სისხლის ამოსაბურთ ყველაფერი...

...

# ჯოჯოხეთის სამზადი

# იელოველთა რესპუბლიკა

**ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა და ხელყოფა, რა თქმა უნდა, დიდი დანაშაულია, მაგრამ, განა ნაკლები დანაშაულია ქვეყნის სულიერი მთლიანობის რღვევა და ხელყოფა? ქვეყნის ტერიტორიის მიტაცება, რა თქმა უნდა, დიდი დანაშაულია, მაგრამ, განა ნაკლები დანაშაულია ადამიანთა სულების მიტაცება, სულების პარვა, სულების ქურდობა? სულებზე მონადირე ჭურჭლაცეები მოედნენ მთელ საქართველოს და მოსვენებას არ გვაძლევენ. აფხაზურ და ოსურ „კვაზირესპუბლიკებზე" ვლაპარაკობთ აღშფოთებით და ამ დროის „შოთალიზმი", „ჩამხარული" სეპარატისტი ქართველები გვავიწყდება იელოველების, ორმოცდაათიანელების, მუნისტების, ბაპტისტების და სხვათა და სხვათა სახელით რუკაზე და შენიდად რომ შეიიან საქართველოს. მიტაცებულ მიწებს ადრე თუ გვიან დავიბრუნებთ, მაგრამ დავიბრუნებთ კი ოდესმე მიტაცებულ სულებს?**

საქართველოში დღეს ოფიციალურად არსებული ორი სეპარატისტული „რესპუბლიკის" გარდა, კიდევ რამდენიმე სეპარატისტული „რესპუბლიკა" არსებობს - იელოველთა, ორმოცდაათიანელთა, მუნიტთა და ა.შ.

...

### ახალი რეკვიემიდან

## არ გვინდოდა?

არ გვინდოდა მაცხოვრისგან სარქველები განაღები? -
ჰა, მიიღეთ საცხოვრისად მახე, მეფის დანაგები!

არ გვინდოდა საქართველოს უფლის ქვართით გაბრწყინება? -
ჰა, მიიღეთ საბარძელო და კაცების დაწყვილება!

არ გვინდოდა არც ერეკლე?
არცა - ქართველი?
არცა - რუსი?
ჰა, მიიღეთ მაშინ მეკვლედ
წოლენჯინის ავტოუსი!

ლაშა ნადარეიშვილი

...




ჩვენ თავდადებული ერი ვართ, ბოლოზე დადებული ერი... ხან ბოლოზე გვიდევს თავი, ხან საჭალათო კუნძზე...

# უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ისტორიული ქადაგება, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს!




**სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!**
**ქრისტე აღსდგა!**
**ჩვენთან არს ღმერთი!**

ყოველ ერს, ყოველ ქვეყანას გააჩნია ადგილი, ტერიტორია, სადაც იგი ცხოვრობს. ამასთანავე, ყოველ ერს გააჩნია თავისი იდეა, რომელსაც იგი ემსახურება, განახორციელებს და მით სულდგმულობს. ეს არის მთავარი აზრი მისი არსებობისა, მისი უპირველესი დანიშნულება.

**ხშირად გვიფიქრია, თუ რა არის ქართული იდეა, რა არის მთავარი აზრი ჩვენი ერის არსებობისა, რა არის ჩვენი უმთავრესი საუნჯე?! წმინდა ილია მართალმა ეს შესანიშნავად გაიაზრა და გამოთქვა: „მამული, ენა სარწმუნოება“.** აი, რა არის ჩვენი უმთავრესი საუნჯე! ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ ყოველი ადამიანი რაღაცას აგროვებს, სიმდიდრეს იუნჯებს. მაგრამ ვისთვის რა არის საუნჯე, - ეს არის საკითხავი. ჩვენი დრო - XX-XXI საუკუნეები გამოირჩევა იმით, რომ კაცობრიობა იუნჯებს მატერიალურ, მიწიერ სიმდიდრეს. მაგრამ მიწიერი სიმდიდრე ადამიანს მხოლოდ სამარის კარამდე მიაცილებს და შემდეგ ამქვეყნიდან იგი უკვე განძარცვული გადის.

მინდა შეგახსენოთ მსოფლიოში უდიდესი დამპყრობელი ალექსანდრე მაკედონელი. როცა იგი მორიგ ქვეყანას იპყრობდა, მის ჯარს თან მიჰქონდა ოქრო და სიმდიდრე. მეფე ყოველივეს ისევ ჯარს ურიგებდა. ჯარისკაცები ეკითხებოდნენ მას: „მეფეო, შენთვის რაღას იტოვებო?“ და ეს დიდი მეფე პასუხობდა: „ჩემთვის მომავლის იმედს ვიტოვებო“. როცა **ალექსანდრე მაკედონელი** უკვე სასიკვდილო სარეცელზე იყო, - მან სულ 33 წელი იცოცხლა, - თავის ახლობლებს ასე დაუბარა: **„როდესაც გამასვენებთ, კუბოდან ჩემი ხელი ჩამოუშვით, რათა ხალხმა დაინახოს, რომ მე საიქიოს არაფერი მიმაქვსო“.**

ეს ისტორიული მაგალითები, სამწუხაროდ, ჩვენ გვავიწყდება და ხშირად მაინც ზედმეტად ვფიქრობთ მატერიალურზე, - ვივიწყებთ, რომ უმთავრესი სულიერი საუნჯეა.

**ჩვენი ერის უდიდესი სულიერი საუნჯეა მართლმადიდებელი სარწმუნოება,** ქართველ ადამიანს რომ არ ჰქონოდა რწმენა, არ ჰქონოდა ეკლესია და ჩვენს ქვეყანაში ეკლესიის ძალა რომ არ არსებულიყო, - დღეს საქართველო არ იარსებებდა. ჩვენზე უფრო ძლიერი ქვეყნები ყოფილა და აღგვილა პირისაგან მიწისა და ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება! ეს არის უდიდესი საუნჯე და ძალიან სამწუხაროა, როცა იმდენად დაბნელებული აქვს ზოგიერთ ქართველს სულიერი თვალი, რომ ვერ ხედავს ნამდვილ საუნჯეს.

დიდი მეცნიერი და ფიზიოლოგი პავლოვი ამბობდა, რომ ადამიანს გააჩნია ორი გონება: დიდი და მცირე. დიდი არის ჩვენი გული და მცირე - ჩვენი გონება. ხშირად ჩვენ მხოლოდ ცივი გონებით ვცხოვრობთ და ჩვენი გონება მარტო მიწიერზე ფიქრობს და გული ამ შემთხვევაში უმოქმედოა.

როცა საქართველოს მტერი შემოესეოდა, ქართველი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, იცავდა სულიერ საუნჯეს - ხატებს, სიწმინდეებს. და **თუკი უცხო ქვეყანაში მოხვდებოდა ქართველი ადამიანი, სამშობლოში სიმდიდრე კი არა, სიწმინდეები ჩამოჰქონდა.** გავიხსენოთ ჩვენი დიდი ღირსი მამა დავით გარეჯელი. იგი იერუსალიმში რომ გაემგზავრა წმინდა ადგილების თაყვანის საცემად, წმინდა ქალაქის გალავნის კედელს მიუახლოვდა და თავი უღირსად მიიჩნია, რომ იერუსალიმში ფეხი შეედგა და იქ ევლო, სადაც დადიოდა თავად უფალი ჩვენი იესო ქრისტე! ამიტომ ღირსმა მამამ დავით გარეჯელმა ქალაქის კედელთან, იქვე სამი ქვა აირჩია და ამ სიწმინდით უკანვე გამობრუნდა. იერუსალიმის პატრიარქს ჰქონდა გამოცხადება, რომ საქართველოდან ჩასულმა ბერმა მთელი მადლი თან წაიღოო. პატრიარქმა სასწრაფოდ უკან დაადევნა მას თავისი ხალხი, რომ ეხილათ, რა მიჰქონდა ამ უცნაურ ბერს იერუსალიმიდან. და როცა სამი ქვის მეტი ვერა უპოვეს რა, ორი ქვა წაართვეს და მხოლოდ ერთი გამოატანეს. ეს წმინდა ქვა - მადლის ქვად წოდებული, აქ, ჩვენთან, წმინდა სამების ტაძარში ინახება. აი, ასეთი ადამიანები იყვნენ ჩვენი წინაპრები, ასეთი რწმენა იყო მათში! როდესაც ჩვენს ქვეყანას მტერი შემოესეოდა და ხალხი ტყეში გაიხიზნებოდა, უპირველეს ყოვლისა, სიწმინდეებს მალავდნენ, მიწაში ფლავდნენ. მერე კი, **იმდენად გადაგვარდა ზოგიერთი ქართველი, რომ დადგა დრო, როდესაც ქართველმა ადამიანმა საკუთარი ხელით დაანგრია თავისი ერის სიამაყე - ტაძრები და მონასტრები,** - მე, რა თქმა უნდა, კომუნისტური მმართველობის პერიოდს ვგულისხმობ. მაგრამ ღვთის წყალობით, „არის ჟამი ნგრევისა და არის ჟამი შენებისა“ და კვლავ დადგა დრო და ღვთის მადლი ისევ გადმოვიდა ჩვენს ქვეყანაზე და ქართველმა ხალხმა ისევ დაიწყო ტაძრების შენება. ეს არის ისეთი საუნჯე, რომელსაც თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს ქართველი ადამიანი. ზოგიერთს ეს არ ესმის, მაგრამ უნდა გაიგოს! **თუ ადამიანში ქართული სულია, თუ მასში ქართული სისხლი ჩქეფს და მას ქართველი წინაპრები ჰყავდა, - იგი მოვალეა დაიცვას ჭეშმარიტი სარწმუნოება, - სარწმუნოება, რომელმაც გადაარჩინა საქართველო.**

მეორე დიდი ძალა, დიდი საუნჯე - ეს არის ქართული ენა. ენა არის ის საშუალება, რითაც ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ესაუბრება უფალს, წარმოთქვამს ლოცვებს. ენა არის უდიდესი ძალა და ჩვენ მუდამ ვიცავდით ამ ჩვენს უდიდეს საუნჯეს და კვლავაც დავიცავთ. მრავალი უძველესი ხელნაწერი შექმნილა ქართულ ენაზე, მათმა ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია. დღეს კი ჩვენს შორის არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ქართულ ენას მეგრული და სვანური დიალექტები ჩამოაშორონ და ისინი დამოუკიდებელ ენებად გამოაცხადონ. უფრო მეტიც, მათ განზრახული აქვთ, ბიბლია და ლოცვები მეგრულად და სვანურად თარგმნონ. ეს არის უდიდესი დანაშაული ერის წინაშე! ამ საკითხთან დაკავშირებით განხეთქილებაა თვითონ სამეცნიერო წრეებშიც. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამბობს, რომ ქართული, მეგრული და სვანური - ქართველური ენებია. ერთხელ ჩემთან მოსულები იყვნენ ორივე ჯგუფის წარმომადგენლები. მეცნიერთა მეორე ჯგუფი ამტკიცებს, რომ თავიდანვე განსხვავებული იყო ქართული ენისაგან მეგრულ-სვანური და ასე პარალელურად ვითარდებოდა. მე ვკითხე მათ: ერთი ხელნაწერი მაინც თუ არსებობს მეგრულად ან სვანურად დაწერილი? ცხადია, არ არსებობს. მათ სხვა მეცნიერები უმტკიცებენ, რომ არსებობს ერთი ქართული ენა და შემდგომში მისგან წარმოიშვა განსხვავებული დიალექტები. მე მეცნიერებს შევთავაზე, იქნებ ვთქვათ ასე - ქართული ენა თავისი განშტოებებით. მსგავსად იმისა, როგორც შტო ამოუვა ხეს, - ასეა ეს დიალექტებიც, მაგრამ მათი საერთო ძირი და ფუძე არის ქართული ენა. უძველესი დროიდან არც ერთ მეგრელს ან სვანს თავში აზრად არ მოსვლია, რომ თავისი დიალექტისთვის ცალკე დამწერლობა შეექმნა, რადგან თავს მუდამ ქართველად მოიაზრებდა და მისი მშობლიური ენა ქართული იყო. განა დღეს რამე შეიცვალა? ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმის შესახებ, რომ ჩვენ ძალიან ფხიზლად უნდა ვიყოთ. ამიტომ ჩვენ ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ და სხვებსაც დავუმტკიცოთ, რომ ქართული ენა არის ერთი, მეგრული და სვანური დიალექტები კი მისგან გამომდინარე განშტოებებია. განსაკუთრებით უნდა მოვუფრთხილდეთ ჩვენს სიამაყეს - უძველეს და მშვენიერ ქართულ ენას.

უწინ მოგეცით დავალება, დაგეწერათ თემა ქართული ენის შესახებ: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. მრავალმა თქვენგანმა დაწერა ეს და ზოგი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა და მალე გამოვა წიგნად და თქვენ ნახავთ თქვენს ნაშრომს წიგნად. იქ, რა თქმა უნდა, რედაქტირება გაკეთდა და ძალიან საინტერესო და საყურადღებო იქნება თქვენთვის. მამული. **ღმერთმა მოგვცა ეს მამული, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და ამის გარდა ეს მამული და ეს ერი არის წილხვედრი ყოვლადწმინდისა ღვთისმშობელისა და ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს მამულს.** აი, იქამდე მივიდა, რომ გვედავებიან დავით გარეჯის მონასტრის ტერიტორიას და მადლობა უფალს, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა მიაღწია იმას, რომ ეს მონასტერი უდიდესი სიწმინდეა საქართველოსი და საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იყოს. აი, ასეთი კულტურის უდიდესი ნიმუშები - ეს ყველაფერი ჩვენი საუნჯე, ჩვენი კულტურა, ჩვენი ტაძრები, ჩვენი არქიტექტურა, ჩვენი ხელნაწერები და მრავალი სხვა - ამას უნდა გავუფრთხილდეთ... ჩვენი გალობა, იქამდეც მივედით ჩვენ, რომ ქართული გალობა არ არის კანონიერი და ბერძნული არის კანონიერიო. არცერთ ჩვენს წინაპარს არ მოსვლია ასეთი მზაკვრული აზრი და იმდენად დაეცა ქართველი ადამიანი, რომ ასეთი აზრი ზოგიერთ სასულიერო პირსაც გაუჩნდა და დაგვჭირდა ჩვენ, გამოტანილი ყოფილიყო სინოდის დადგენილება, რომ ქართული გალობა უძველესი კულტურისაა და სულიერი ნიმუშია ჩვენი.

**დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესები. სხვა ამ პროცესებში მცირე სახელმწიფოების ფასეულობები კნინდება, უფასურდება და ის, რასაც ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ, თითქოსდა, აღარ არის საჭირო. ეს მცდარი შეხედულებაა.**

ჩვენ არ უნდა დაგვაბნიოს უცხო ქვეყნებისა და მათი ცივილიზაციების შემოჭრამ. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ უმდიდრესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანა ვართ. ნაკლებად თუ შეედრება სხვა ქვეყანა საქართველოს თავისი ისტორიით, დამწერლობით, უძველესი კულტურით. უდიდესი მადლით დააჯილდოვა უფალმა ჩვენი ქვეყანა და მოვალენი ვართ, რომ ეს კულტურა, ეს სულიერი და მატერიალური თუ მეცნიერული საუნჯე შევინარჩუნოთ და გავუფრთხილდეთ.

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ჩვენ ასევე გვმართებს, ვიზრუნოთ განათლების დონეზე, ხელი შევუწყოთ მეცნიერების განვითარებას. ჩვენი დიდი მეცნიერები დღესა და ღამეს ასწორებდნენ იმისათვის, რათა უდიდესი მნიშვნელობის წიგნები შეექმნათ. გავიხსენოთ, თუნდაც დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია“. დღემდე ჩვენ არ გვაქვს გამოყენებული ეს უდიდესი აღმოჩენა. დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია“ ყველაფერში შეიძლება გამოვიყენოთ - შრომის ორგანიზებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ოჯახში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ამას არ იყენებს და უფრო მეტიც, ჩვენი ფსიქოლოგები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ამ უდიდეს აღმოჩენას. დიმიტრი უზნაძის პიროვნებასა და მის უდიდეს აღმოჩენაზე მე საუბარი მქონდა ჩემი ვიზიტის დროს არაბულ ქვეყნებში. ქუვეითის ხელისუფლება ამ საკითხით იმდენად დაინტერესდა, რომ დიდი სურვილი გამოთქვა ეთარგმნათ არაბულ ენაზე დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია“.

**ჩვენი წინაპრები აგროვებდნენ სულიერ და ეროვნულ ფასეულობებს და ჩვენც უნდა გავაგრძელოთ ეს მამულიშვილური საქმე.**

ღმერთმა მოგვანიჭოს ამისთვის ძალა!

ღმერთმა გვიბოძოს დიდი გონება - გულის გონება! და ღმერთმა მოგვანიჭოს სიბრძნე და გული გონიერი, რათა სწორად განვსაჯოთ: სად არის ჭეშმარიტება და სად არ უნდა ვეძიოთ იგი.

**ჩვენთან არს ღმერთი!**

**დალოცვილი და გახარებული გამყოფოთ ღმერთმა!**

**ქრისტე აღსდგა!**

# ქართული სახელმწიფო ქართული ეკლესიის გარეშემო უნდა შენდებოდეს!




დიდგორის ომში უკან დასახევი გზა ჩაუხერგა ქართველებს დავით აღმაშენებელმა...

აღმაშენებელმა იცოდა, რასაც აკეთებდა...

ღმერთმაც იცოდა, რასაც აკეთებდა, როდესაც ოთხივე მხრიდან ჩახერგილი სივრცე გვარგუნა ასპარეზად...

**და მაინც, რამ გადაგვარჩინა?**

ვერ ვინარჩუნებდით ტერიტორიებს, ვერ ვინარჩუნებდით სახელმწიფოებრიობას, ვერ ვინარჩუნებდით დამოუკიდებლობას, მაგრამ ერი მაინც ინარჩუნებდა მეობას, ერი ერად რჩებოდა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერს გააჩნდა საყრდენი, რომელიც მატერიალური კი არა, **სულიერი** იყო და, ამდენად, მიუწვდომელი განადგურებისთვის.

ყველაფერი შეიძლება დაანგრიო, რაც მატერიალურია - აუღებელი ციხე-კოშკი, მიუდგომელი ციტადელი, დუღაბით შეკრული გალავანი, მაგრამ **სულიერ საყრდენს ვერ დაანგრევ, რადგან სულიერი საყრდენი სულშია, სული კი ქვემეხისთვის, ხმლისთვის, ბომბისთვის, დინამიტისთვის მიუწვდომელია.**

ქართველი ერი სულიერმა „ციხე-კოშკმა“, სულიერმა ციტადელმა, სულიერმა გალავანმა, ანუ **მართლმადიდებლობამ** იხსნა განადგურებისაგან.

ქრისტიანული რელიგია, კერძოდ, მართლმადიდებლობა, ქართველი ხალხის ისტორიის და კულტურის ნაწილი კი არ არის, არამედ თავად გახლავთ ამ ისტორიის და კულტურის შემქმნელი.

ეს არის ის უიშვიათესი შემთხვევა, როდესაც რელიგია ისე ჩაეზრდება ერის გენეტიკურ კოდს, ისე გაიშლება ერის ხასიათსა და ცხოვრების წესში, რომ ამ ერისა და რელიგიის ერთმანეთისგან გაცალკევება შეუძლებელია.

●

**„ქართული ეროვნული მოძრაობა თავისი საწყისებით მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან და ეკლესიურ წიაღთან, თავისი შინაგანი არსით ეს რელიგიურ-ეროვნული მოძრაობაა, რამდენადაც იგი გულისხმობს არამარტო განკერძოებული ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას რელიგიურ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით“,** - ეს სიტყვები **ზვიად გამსახურდიას** საარჩევნო პროგრამიდანაა.

მოგვიანებით, 1991 წლის 7 ივნისს, უკვე პრეზიდენტი გამსახურდია იტყვის: **„სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს“.**

**ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი 17 წელია მიმდინარეობს, მაგრამ არც ქართული სახელმწიფოს განვითარება წარმართულა ზნეობრივ აღორძინებაზე, რელიგიურ რწმენაზე და ცნობიერებაზე დაყრდნობით და არც მართლმადიდებლობა გამოცხადებულა სახელმწიფო რელიგიად!**

კონცეფცია, რომელიც 1991 წელს გაჟღერდა, არ გახლავთ მხოლოდ ერთი კერძო პოლიტიკური პირის, გნებავთ, პოლიტიკური ორგანიზაციის კონცეფცია. **ეს არის მთელი ქართველი ერის საერთო კონცეფცია, საერთო პლატფორმა, საერთო შეხედულება ქართული სახელმწიფოს მოდელზე, მის ფორმასა და შინაარსზე, მის იდეოლოგიურ საყრდენსა და საძირკველზე.**

არა მხოლოდ პიროვნულად ერთ პოლიტიკურ ლიდერს, არამედ, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ კონცეფციას დაუჭირა მხარი ქართველმა ხალხმა.

ჩემი აზრით, **სწორედ ეს კონცეფცია გახდა მიზეზთა მიზეზი იმ რეპლიკისა, რომელიც მსოფლიოს გლობალისტურ იმპერიად გარდაქმნის ცენტრალური შტაბიდან გაისმა: - თქვენ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავთ!**

როგორც ჩანს, იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომელშიც საქართველო იმყოფება, გლობალიზმის იდეოლოგთა ინტერესებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რელიგიურ-ეროვნულ ღირებულებებზე, ზნეობრივ ფასეულობებზე დამყარებული ქართული სახელმწიფოს არსებობა.

●

**ვინ არიან მთავარი არქიტექტორები იმ სახელმწიფო შენობისა, რომელსაც დღეს ვაშენებთ?**

**ქართველები?**

**იქნებ ქართველები მხოლოდ შემკვეთის შემსრულებლები ვართ, საპროექტო ნახაზები კი სხვებს ეკუთვნით და ისინი გვკარნახობენ, როგორ ამოვიყვანოთ კედლები, რა მივახატოთ ზედ, სად ჩავსვათ ფანჯარა, სად ჩავატანოთ კარი?**

**უცხოელი „პრარაბების“** დიდი ფუსფუსი და ფაციფუცია ქართული სახელმწიფოს სამშენებლო პოლიგონზე, მათი მითითებები და დირექტივები ისმის წამდაუწუმ.

**შენებაო, კი ვამბობთ, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, ნგრევას უფრო ჰგავს, ვიდრე შენებას.**

თუ შევთანხმდებით, რომ სახელმწიფოს შენება არ არის მხოლოდ გზების გაყვანა, ინფრასტრუქტურების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, არამედ სახელმწიფო, პირველ ყოვლისა, გახლავთ **სულიერ, კულტურულ, რელიგიურ ფასეულობათა დაცვისა** და განვითარების გარანტი, **ერის სულიერ ფასეულობათა საცავი,** მაშინ ჩვენ სახელმწიფოს კი არა, ერთ დიდ სავაჭრო და საცხოვრებელ კომპლექსს ვაშენებთ, რომლის მკვიდრებისთვის სულაც არ იქნება მთავარი, შეინარჩუნებენ თუ არა ეროვნულ სახეს და თვითმყოფადობას.

**დღეს ამ მრავალფეროვანი ქართული ცივილიზაციის საძირკველზე აშენებული ქართული სახელმწიფოებრიობის დემონტაჟი მიმდინარეობს ისე, როგორც მიმდინარეობს საერთოდ ზოგადქრისტიანული კულტურის დემონტაჟი და ამ კულტურის ფსევდოკულტურით და ფსევდოღირებულებებით ჩანაცვლება.**

●

**„ქართული სამყარო მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ განაპირობა და დაიცვა. მართლმადიდებლობა არის ჩვენი ისტორიული არჩევანი“,** - ვკითხულობთ 2007 წლის სააღდგომო ეპისტოლეში.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა მართლმადიდებელია, მაგრამ რამდენად არის მართლმადიდებლური ის პრინციპები, რომლითაც დღეს ხორციელდება ქვეყნის მართვა?

**რამდენად არის მართლმადიდებლური ხელისუფლების დამოკიდებულება მოსახლეობისადმი, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობისადმი, რელიგიურ-ეროვნული ღირებულებებისადმი?**

**პასუხი ამ კითხვაზე, სამწუხაროდ, უარყოფითია...**

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, თავის ხელისუფლებიან-ოპოზიციანად, მართლაც რომ მოქმედებდეს ჭეშმარიტად ქრისტიანული ღირებულებებით, მაშინ ბევრი პრობლემატური საკითხი, რომელზეც მწვავე დისკუსიები და დებატები იმართება ხოლმე, თავისთავად მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან, რადგან ამ საკითხებზე **მართლმადიდებლობას გააჩნია ზუსტად ჩამოყალიბებული ფორმულირებები,** რომლებიც, წესით და რიგით, საერთო უნდა იყოს **მართლმადიდებელი ხელისუფლებისთვისაც** და **მართლმადიდებელი ოპოზიციონერებისთვისაც.**

ის ერთადერთი საერთო ღირებულება, რომელიც არ ექვემდებარება კორექტირებას და რევიზიას და რომელიც ქართულ სინამდვილეში უნდა აერთიანებდეს ყველას - ცენტრისტსაც და მემარცხენესაც - რადიკალსაც და მემარჯვენესაც, კონსერვატორსაც და სოციალისტსაც, **არის მართლმადიდებლობა.**

**ქართული რეალობისთვის სხვა საერთო და გამაერთიანებელი ძალა, გარდა მართლმადიდებლობისა, გარდა ეკლესიისა, არ არსებობს.**

მეტსაც ვიტყვი, ქართული სახელმწიფო, თავისი შინაარსით, ღირებულებათა სისტემით, საერთოდ, ვერ აშენდება, თუ მას **მართლმადიდებლობა** არ დაედო საძირკვლად.

**„ქართულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას და განვითარდეს, საჭიროა გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოების და ეკლესიის ძალისხმევა“,** - ბრძანა ილია მეორემ.

თუ მკრეხელობად არ ჩამეთვლება, ამ მოსაზრებას ოდნავ პერიფრაზით ვიტყვი: **ქართულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას და განვითარდეს, საჭიროა ქართული ეკლესიის გარშემო გაერთიანდეს სახელმწიფოს და საზოგადოების ძალისხმევა.**

ეკლესიაა ცენტრი, ეკლესიაა ორიენტირთა მთავარი განმსაზღვრელი, ხელისუფალთა თუ ჩვეულებრივ მოქალაქეთა ცხოვრების საერთო წესის დამდგენი.

**ეკლესიაა ყველაზე მაღალი ინსტანცია და არა კანცელარია, არა პარლამენტი, არა უშიშროების კომიტეტი, არა სამართალდამცავი სტრუქტურები.**

ღვთისა და ერის სახელით, **სწორედ ეკლესია** უნდა სთხოვდეს პასუხს ძალაუფლებით გაამპარტავნებულ და გაზულუქებულ ხელისუფალს, რომელიც მის მრევლს ავიწროებს, ჩაგრავს, აშინებს, ამდაბლებს, შეურაცხყოფს.

**ასე იყო დასაბამიდან, ასე უნდა იყოს დღესაც: ქართული სახელმწიფო ქართული ეკლესიის გარშემო უნდა შენდებოდეს.**

●

არ მეგულება მსოფლიოში სხვა ერი, რომელსაც ქრისტიანობისთვის წამებული ამდენი მეფე-წმინდანი ჰყავდეს.

ქართველი მეფეები ერის ხსოვნას შემორჩნენ არა მხოლოდ მოგებული ომებით, არამედ, პირველყოვლისა, ღვთისმოსაობით, თავმდაბლობით, მოყვასისადმი სიყვარულით, მიმტევებლობით, შემწყნარებლობით, სამართლიანობით.

**სიყვარულის დეფიციტია დღევანდელ საქართველოში, სიყვარულის, კეთილგანწყობის, ლმობიერების, თანაგრძნობის დეფიციტია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო, რომელსაც დღეს ვაშენებთ, ნაკლებად არის ქართული სახელმწიფო.**

არანაირად არ შეესაბამება ქართულ ხასიათს, როცა 16 000 პატიმრიდან მხოლოდ თვრამეტი შეგებრალება და მათ შორის არცერთი არ იქნება ქალი და ბავშვი.

უმნიშვნელო დეტალია ეს თითქოს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით არის იგი უმნიშვნელო და მეორადი. სინამდვილეში **ამ დეტალში მთელი სისრულით ჩანს, თუ როგორ მკვეთრად გადავუხვიეთ ქართული მენტალიტეტის ისტორიული გზიდან.**

**აღმაშენებელმა უკან დასახევი გზა ჩახერგაო, - ვთქვით ზემოთ.**

**ჩახერგილი გზები გაიხსნა და ქართველები თავქუდმოგლეჯილნი გარბიან საკუთარი სამშობლოდან ანუ ბრძოლის ველიდან.**

**საერთო პასუხისმგებლობის გრძნობა სამშობლოს წინაშე ეგოიზმმა შეცვალა.**

საქართველოდან ქართველთა დიდი გაქცევის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ქართველები გუმანით გრძნობენ, რომ **ეს არ არის მათი სახელმწიფო, ეს არ არის ქართველების სახელმწიფო,** ხოლო, როცა ამას ხვდები, მოვალეობის და პასუხისმგებლობის ტვირთი გეხსნება მხრებიდან და გაქცევა გიადვილდება.

გაქცეულთა უკან დასაბრუნებელი გზაც **ეკლესიაზე** გადის და მადლით გასხივოსნებული ის გზაც, რომელმაც მომავლისკენ უნდა წაგვიყვანოს...

●

**ვილაცებს ჰგონიათ, რომ უწარსულოდ, უფესვოდ და უნიადაგოდ შეიძლება დარგონ და გაახარონ ერის ცნობიერების ახალი ხე, გაახარონ და გარშემო კი ახალი ჯიშის და ჯილაგის ქართული სახელმწიფო შემოუშენონ.**

**შეცდომაა ეს! მსგავსი ექსპერიმენტები ყველგან და ყველა დროში მარცხით მთავრდებოდა.**

შორს ნუ წავალთ - კომუნისტების სამოცდაათწლიანი ეპოქა გავიხსენოთ, რომელიც სრული კრახით დასრულდა.

**არ შეიძლება, სახელმწიფო რობოტების გამომშვებ საამქროს დაემსგავსოს და ამ მორჩილი რობოტების იმედით სცადოს სახელმწიფო შენობის აგება.**

სახელმწიფოს უსულო, უწარსულო რობოტები არ ქმნიან, სახელმწიფოებს ქმნიან მაღალი ზნეობის და სულიერების ადამიანები. მაგრამ თუ ერი ან სახელმწიფო თავის ფესვებს, ძირებს, ჭეშმარიტ იდეას არ დაუბრუნდება, წინსვლისა და, თამამად შეიძლება ითქვას, გადარჩენის არავითარი შანსი, უბრალოდ, არ არსებობს!

მანუჩარ კაკახიძე

# ქუთაისი ჩემი ინფარქტია!

## მოკრძალებული რეცეპტი ჩემი ქალაქისათვის

მე ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე მეცხრე წელია ვიმყოფები. თვალი ვიზუალურად გადაჩვია ჩემი ქალაქის პანორამის მზერას. მაგრამ მეხსიერებაში ჩემდა უნებურად, ჩემდა ბედად თუ ჩემდა უბედობით მაინც დარჩა ის ქუთაისი, რასაც უბრალოდ და კონკრეტულად, ყველასათვის გასაგებად და ლაკონურად რომ ვთქვათ, ნაქალაქარი ჰქვია.

ქუთაისი ჩემი ინფარქტია - მოურჩენელი ავადმყოფობა. ამიტომ ყოველთვის როცა კი დავდივარ ამ ახალი სამყაროს ქუჩებში, ბაღებში, სანაპიროებზე, მას ჩემს ქუთაისს ვადარებ, გეგმებში ვაწყობ და ვალაგებ ჩემს საფიქრალს და ნაფიქრალი გადმომაქვს ფურცლებზე. ვადარებ და ვფიქრობ, თუ როგორ მოუხდება ჩემს ქალაქს ესა თუ ის არქიტექტურული წყობა; ქალაქის რომელ ნაწილს, რომელ უბანს თავისი არსებითი თვითმყობადობის გათვალისწინებით რა დეტალი და დიზაინური წყობა დაშვენდება, რათა პირველყოვლისა გარეგნული ფორმით უკვე შეგნებაში წაიშალოს მენტალიტეტი ნაქალაქარისა. მე და ჩემი მეგობრები ქუთაისს ხუმრობით ვუწოდებდით „ქალაქის მოვალეობის შემსრულებელს“. იქნებ ჩემმა ამერიკულმა შთაბეჭდილებებმა, გამოცდილებამ და განსწავლამ ამ ავადსახსენებელი მოვალეობის შემსრულებლის ეპოქას დაუსვას ერთხელ და სამუდამოდ წერტილი და ქალაქმა, ჩემმა კუტაიამ, აიეტის ნაცრემლარსა და მედეას ნაწყევარზე ერთხელ და სამუდამოდ გამოიდაროს და დავითიანი ქუთათისის სულიერი მისია დაიბრუნოს.

იქნებ ჩემი ეს განცხადება მეტისმეტად ხმამაღლაა ნათქვამი, მაგრამ ყველაფერ ამას უდიდესი მონატრება მაბედვინებს, რასაც საფუძვლად უდევს ის სიყვარული, რაც ძალას და ენერგიას მაძლევს ცხოვრებისას, ჩემი ქალაქისა და სამშობლოს საკურთხეველთან ერთი ქვა მეც რომ მივიტანო.

ფიქრები მრავალია, ოცნებები კიდევ მეტი... ამერიკული გადასახედიდან ვგრძნობ, თუ რაოდენ სჭირდება ქუთაისს კეთილი და კეთილგონიერი პატრონი.

რატომ გამოვყოფ კეთილსა და კეთილგონიერს ერთმანეთისგან?!

ნუთუ კეთილგონიერი არ შეიძლება ამავდროულად იყოს კეთილიც ან პირიქით?!

გონიერება ღვთით გასხივოსნებული მართლად გააზრებული კეთილია. იგივე გონიერება თუ ღვთიურ ნიშს არ ატარებს, ის არ არის კეთილი. თუ გონი შეიძლება არ იყოს კეთილი, კაცი - ანუ გონის პატრონი კეთილი ვერ იქნება. ასევე კეთილი კაცი ყოველთვის კეთილგონიერი ვერ იქნება თუ მას ასევე ღვთიურმა განგებამ მადლად არ მისცა გონების აზროვნება.

ჩემი ქალაქის დღევანდელ მესვეურებში არ არის კეთილისა და კეთილგონიერების თანხვედრა! ჩვენ საბჭოური მენტალიტეტი ჯერაც არ ჩამოგვცილებია არც დიდსა და არც პატარას. ჰომო-სოვიეტიკუსის ფსიქიური დაავადება თაობათა ცვლამ უნდა აღმოფხვრას. ეს ისაა, დაბინძურებული ზღვა რომ დაიწმინდავს თავის თავს. და რაში მდგომარეობს საბჭოეთის ავადმყოფობა ჩვენში?! - პატრონის მიმართ მიდგომაში. ავია თუ კარგი, მისი ბრალია თუ სხვისი, ჩვენი მიზეზითაა თუ მათი, ყველაფერს პატრონს ვკითხებით, საშველად მასთან გავრბივართ, მეზობელმა მეზობელს ვარია რომ მოპაროს, მთავრობას ვლანძღავთ. ვაიძულებთ იმ უფროსს ჩვენს ნაცვლად იფიქროს მაშინ, როცა ეს მას არ შეუძლია და მითუმეტეს მაშინ, როცა ეს მასზე კარგად ჩვენ შეგვიძლია. ჰოდა, ჩვენ თუ შეგვიძლია, ჩვენვე მივხედავთ ჩვენს მრავალტანჯულს ქალაქს!

როგორ? — აი, ასე:

### 1. კულტურის ცენტრი სრულიად საქართველოსი

იმისათვის, რომ ქუთაისმა თავისი სულიერი მისია დაიბრუნოს ერის წინაშე, პირველყოვლისა უნდა გაკეთდეს ერთი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმე - ან კანონმდებლობის, ან კანონმდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე: ქუთაისში უნდა გადმოვიდეს თეატრალური ინსტიტუტი, ან უკიდურეს შემთხვევაში შეიქმნას ალტერნატიული, თავისი ბაზით არსებულ ინსტიტუტზე არათუ ნაკლები, აღმატებულიც კი.

ქალაქს არც სასამართლოების და არც ბანკების გადმოტანა არაფერში წაადგება, მითუმეტეს თუ არც არავინ აპირებს ამას. ქუთაისს სჭირდება მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიბრუნოს კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია. ისტორიულადაც თუ დავაკვირდებით და განსაკუთრებით გავითვალისწინებთ მის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, ეს ადგილმდებარეობა ყოველთვის იყო მშვიდობიანობის დროს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, ომიანობის დროს კი ქუთაისი აუცილებლად გადაიქცეოდა ხოლმე საომარ პოლიგონად, არც მეტი, არც ნაკლები. ამიტომაც არ შემორჩა ქალაქს მე-18 საუკუნის დროინდელი არც ერთი საერო შენობა. აბსოლუტურად მთელი ქალაქი იავარქმნილი იყო, ნაქალაქარად ჩაიბარეს რუსებმა და ხატოვნად რომ ვთქვათ, ნაქალაქარადვე დატოვეს კიდეც.

ამიტომ მისი ახალი სიცოცხლე, ასე ვთქვათ, სისხლის გადასხმა, განახლება სწორედ რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საქმის დასაწყისით დაიწყება. ამით ერთგვარი გადამტვრეული ხერხემალი აღდგება აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოს შორის. ქუთაისის ფეხზე დაყენებით ალმაცერად არ შეხედავენ დედაქალაქელები ქუთათურებს. დაყოფა პროვინციელებად და დედაქალაქელებად აღარ იქნება.

შეიძლება ყველა ინსტიტუტი გადმოიტანო ქუთაისში, მაგრამ მათი გადმოტანა და გახსნა ასე ზედმიწევნით



საჭირო არ იქნება არც ქუთაისისთვის და არც მთლიანი საქართველოსათვის ისე, როგორც ეს თეატრალური ინსტიტუტის გადმოტანით მოხდება. ვერც სხვა ქალაქი მოირგებს ისე ამ სასწავლებელს თავის თავზე და ამით უამრავ სარგებელს ვერ ნახავს ვერც იგი და ვერც დანარჩენი საქართველო, როგორც ეს ქუთაისს დაშვენდება.

და რატომ?

მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თავის ოდით და ოდით ფუნქციას დაიბრუნებს ქუთაისი, ბუნებრივ კალაპოტში ჩადგება. თეატრალური ინსტიტუტის გადმოტანა ან თბილისში არსებულზე უმჯობესის დაფუძნება გამოიწვევს უამრავი ახალგაზრდის მოზიდვას ქუთაისში. გაჩნდება მრავალი კულტურული კერა როგორც თეატრალური, ასევე მუსიკალური; აღარაფერს ვამბობ სამწერლო სალონებზე, ეს იმთავითვე მომენტალურად მოხდება ამ სასწავლებლის ქუთაისში გადმოტანით. დაიხვეწება და გამდიდრდება ლიტერატურული ცხოვრება და რაც მთავარია, მოსახლეობის სულიერებაზე უდიდეს როლს ითამაშებს ეს ეროვნული ღონისძიება. პარალელურად თეატრალური ინსტიტუტისა უნდა დაარსდეს ВГИК-ის მსგავსი უმაღლესი სასწავლებელი ქუთაისში და ამ ერთიანმა სასწავლო ცენტრმა რაღაც ეტაპის გასვლის შემდეგ უნდა მიიღოს კინოსა და თეატრის ეროვნული აკადემიის სტატუსი.

სწორედ რომ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ბაზაზე უნდა შეიქმნას ქუთაისში არათუ მხოლოდ პატარ-პატარა კინოსტუდიები, არამედ ქუთაისი უნდა გადაიქცეს კინოინდუსტრიის სრულიად ეროვნულ ცენტრად, ჩამოყალიბდება რა ეროვნული კინოკონცერნი ჰოლივუდის მსგავსად. ამით სატახტო ქალაქიდან განზიდვა მოხდება მოსახლეობის და თბილისიც აღარ დაემგვანება ერთ უშველებელ თავკომბალას და იგი დედაქალაქის სტატუსით განაგრძობს არსებობას.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ თავისთავად იარსებებს, თავისთავად იარსებებენ თბილისური თეატრებიც, მაგრამ მათთან ერთად იარსებებს კინოსა და თეატრის ქუთაისური სკოლაც, როგორც ყოფილა ოდითგანვე, მზა კადრებით თბილისს მაინც დასავლეთ საქართველო მოამარაგებს დაწმენდილსა და განსწავლულს და არა სპონტანურად და უწესრიგოდ თბილისში შეყრილ ყველას, ვისაც კი გზა აბნევია.

### 2. უნიკალური როქი

ამისათვის პირველი და დიდმნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადაწყდეს: ქალაქის ცენტრალური შენობები უნდა გათავისუფლდეს ჩინოვნიკურ-სამოხელეო ფუნქციური დატვირთვისაგან (მხედველობაში მაქვს მერიის, საგადასახადო ინსპექციის და ყოფილი არქიტექტურის სამსახურის შენობები). აღნიშნულ შენობებში განთავსდება თეატრისა და კინოს აკადემია. პირველყოვლისა ამ გადაწყვეტილებას ექნება სულიერების პრიორიტეტზე ხაზგასმის მნიშვნელობა. სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი იქნება ეს გადაწყვეტილება, ქალაქის თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოს საშტატო ერთეულების მაქსიმალურად შემცირებით ის უფრო ეფექტურად წარმართავს თავის საქმიანობას და გადაწყვეტს ქალაქისათვის ყველა საჭირბოროტო საკითხებს, სადღეისოდ რომ რომელიღაც სართულის ჩინოვნიკის საკუჭნაო-კაბინეტებშია შემალული. ამისათვის შეირჩევა მისადგომად ხელსაყრელი, მოვლა-პატრონობისათვის იოლად გასამკლავებელი, უფრო მომცრო და საქმიანი შენობა (მაგალითისათვის სადგურის მოედანზე ყოფილი ჰუმანიტარული ლიცეუმის შენობა). ეს მაშინ, როცა მონაცემთა ბაზა არათუ ქაღალდებით გადატვირთული, არამედ კომპიუტერიზებული იქნება.

ამით ქალაქის მერია შეიძენს თავის რეალურ ფუნქციას, - ყველა თავის საქმეს გააკეთებს და შეუქმნის მოსახლეობას საარსებო პირობებს. ყველა თავისი საფიქრალითა და სამუშაოთი იქნება დატვირთული, რათა შექმნას რეალური (და არა მირაჟულ-მოჩვენებითი) პირობები იმისა, რომ მოსახლეობა უპირველეს ყოვლისა შვებით შეუდგეს საკუთარი ყოფითი საქმიანობის განხორციელებას და აღარ იჩენს სურვილი ქუთაისიდან მიგრაციისა.

ხალხთან ერთად ხელისუფლებამაც უნდა იფიქროს ახლებურად. არ არის სავალდებულო და აუცილებელი მთავრობის იერარქიული კიბის პომპეზური მრავალფეროვნება და მრავალსახოვნება. პირიქით, გაბერილი შტატები ლოქოსავით მოუქნელს ხდის ნებისმიერ დაწესებულებას. თუ მაგალითისთვის, მრავალმილიონიან ნიუ-იორკსა და ჩიკაგოს განაგებს 20-კაციანი ჯგუფი, ასიათასიანი (დიახაც!) ქუთაისის მართვა რად ვერ უნდა შეძლოს 12-კაციანმა ჯგუფმა?!

ჩვენ ცუდად გვაქვს გაგებული გუნდური პრინციპით ხელისუფლებაში მოსვლის ფენომენი და ბოროტად ვიყენებთ ხალხის ნდობის ფაქტორს. გუნდური პრინციპით ხელისუფლებაში მოსვლა არ ნიშნავს ჯუნგლის კანონს, რომელსაც აფთრები და ტურები იყენებენ. დღევანდელი ხელისუფლება თავისი არსებობის გასახანგრძლივებლად ამ კანონს იყენებს, ხვალინდელი ხელისუფლება კი ყველაფერს სხვანაირად გადაწყვეტს.

10-12 კაცი, რომელიც არათუ პარტიულობის პრინციპით,არამედ უმთავრესად პროფესიონალიზმის პრინციპით შეიკრიბება და ყველა მათგანს ჩაბარებული ექნება თავისი პროფესიისდამიხედვით სფერო, რომელსაც განაგებს და საკუთარი თავით აგებს პასუხს თავის საქმიანობაზე.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ყველაფერი იქნება მერიაში თვითმომსახურეობის დონეზე. ქალაქის ხელმძღვანელობას არ უნდა სჭირდებოდეს და ისიც სამსახურში მოკლე-კაბიანი მდივან-რეფერანტები და არაფრის-არამკითხე მრჩეველები. უნდა ეთხოვოს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოყოს სპეციალისტთა ჯგუფი მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან, რომელიც პირუთვნელ (ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას - მ.კ.) და ობიექტურ რჩევას მისცემს ქალაქის ხელმძღვანელობას შესწავლილი საკითხის ირგვლივ.

### 3. არაჩვეულებრივი გამოფენა

ქუთაისის შინაარსობრივ ფერიცვალებასთან ერთად უკვე აუცილებელი მოთხოვნა გაჩნდება მისი გარეგნული ფერიცვალებისა. როდესაც ქალაქში ესოდენ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული მოძრაობა წარიმართება, წარმოუდგენელი იქნება ქუთაისის იერსახის განახლებაზე, გალამაზებაზე, დროსთან შესაბამისობაზე არ ვიზრუნოთ.

უპირველეს ყოვლისა ქალაქის ცენტრი უნდა იქცეს „არაჩვეულებრივ გამოფენად“ ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. „პიკასოს ბიჭი“ ამ გალერეის პირველი მერცხალი უნდა იყოს. მეფეთუბანში თემატურად გაიბნევა პიპინიას და ბონავენტურის,აგულისა და გლაფირასი, ხუთივე ბავშვის აკიმის მეთაურობით ძეგლები. სამხატვრო გალერეის სკვერში უნდა დაიდგეს პოროსის მარმარილო და ევგენის, ტოესტ ზაურის, ზეაღმართული ძეგლი. საგანგებოდ უნდა იქნეს შერჩეული კოხტა ადგილი რამაზ ჩხიკვაძისა და მიშიკო მესხის ძეგლისთვის (ლუკა ოდილავაძისა და პატარა კახას განსახიერებით კ/ფ-იდან „ნერგები“), რომელიღაც გამოსაჩენ აივანზე უნდა დაიდგას ან სულაც მემორიალისმაგვარი უნდა გაკეთდეს აივანზე მოვარჯიშე შავლეგის (დოდო აბაშიძის მიერ განსახიერებული გმირის კ/ფ-იდან „არაჩვეულებრივი გამოფენა“.

სადაც ამჟამად შრომის დიდების მემორიალია (მერიის გვერდით), მის ნაცვლად უნდა აიგოს ცისფერყანწელთა მემორიალი მიწიდან ამომართული თორმეტი ცისფერი ყანწით, თითოეული ცისფერყანწელის სახელითა და ბარელიეფური გამოსახულებით. ამასთანავე ეს ყანწები სიმბოლურად უნდა განასახიერებდეს თითოეულის ბედს და ბედისწერას. ყანწების მეორე მხარეს თითოეული მათგანის ლექსებიდან თითო სტროფი უნდა დაიწეროს საკუთარივე ავტოგრაფის გამოსახულებით. ეს პატივისგება იქნება იმ დიდი თაობის, რომელმაც მხრებით ზიდა მეოცე საუკუნის პოეტური მაჯისცემა, ფილოსოფიური აზროვნება და დაამკვიდრა ევროპა საქართველოს ცნობიერებაში და პირიქით. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს მემორიალი უნდა იქნეს შექმნილი ან ცისფერი მეტალისგან ან ცისფერი ქვისგან. ამ შემთხვევაში წარმოსახვა ცისფერისა მემორიალისათვის მომგებიანი არ იქნება. გასაოცარი ეფექტი ექნება მას თუ ვიზუალური მხარე რეალურად დაუკავშირდება წარმოსახვითს (ეს მემორიალის ტექნიკური მხარეა).

ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე დადგმული დავით აღმაშენებლის ძეგლი, რომლის თაობაზეც არაერთი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა თვით ძეგლის დადგმამდეც, ყურადსაღები ყურადღებული იქნება და იგი გადატანილი იქნება სადგურის მოედანზე ყოფილი ლენინის ძეგლის ნაცვლად. აქედან მთელ ქალაქის პანორამას გადახედავს დავითი, პანორამის სიგრძივ გაყოლებული იქნება ასსაფეხურიანი კიბეებიდან თვით დავით აღმაშენებლის გამზირი. აგრეთვე ძეგლმა უნდა შეიძინოს ცეცხლოვანი ენერგიის შინაგანი მუხტი, მაგალითისათვის იმდაგვარი, როგორიც პეტრე პირველის ძეგლია აღმართული სანკტ პეტერბურგში (მოქანდაკე ეტიენ მორის ფალკონე). დავითის ძეგლი დამცხრალი ენერგიით ვერ წარმომიდგენია, იგი მარადმგზნებარე ჭაბუკად დარჩა საქართველოს ისტორიაში.

ხოლო ცენტრალურ მოედანზე დავითის ძეგლის ნაცვლად ამ შემოგარენის ფარგლებში გამოგრძელდება ბულვარი დეკორატიული ხეებით, რომელიც ანტიკურ ეპოქას მოგვაგონებს. ამ დეკორატულ პავილიონებში ჩაიდგმება ოქრის ვერძის (ოქროს საწმისის) ჩანჩქერი. პავილიონის სკვერებში დაიდგმება აიეტის, მედეას, იაზონის, აფსირტეს, არგოს ქანდაკება-ილუსტრაციები.

მაგრამ უმთავრესი, რაც ამ გამოგრძელებულ პავილიონში დაიდგმება, ეს იქნება სობოროს ტაძრის ობელისკი, რომელიც მაუწყებელი იქნება იმ ავადმოსაგონარი წლებისა. ჩვენ მაინც მოედანი შევქმენით სობოროს ტაძრის დანგრევის ხარჯზე. ეს ცოდვა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოვიცილოთ ქუთათურებმა და უარი უნდა ვთქვათ მოედანზე, რომელიც ინახავს ამ დიდებული ტაძრის ბალავერს და რამდენჯერაც ხდებოდა მოედნის რეკონსტრუქცია (ხან სტალინ-ლენინის ძეგლები იგებოდა, ხან ევას ბაღი და ბოლოს დავითის ძეგლი), მშენებლები ყოველთვის აწყდებოდნენ სობოროს ტაძრის ბალავერს, როგორც ხილვასავით წამომართულ დიდებულ ტაძარს.

მთელს ამ რეკონსტრუქციას დააგვირგვინებს თვით ბაგრატ მესამის გრანდიოზული ძეგლი ბაგრატის ტაძრის გალავანში, საიდანაც ხელისგულივით ჩანს მთელი კუტაია-ქალაქი.

და კიდევ ერთიც: ქუთაისის ერთ-ერთ ძველ უბანში, ან სულაც ბულვარის რომელიღაც სკვერში უნდა დაიდგას იპოლიტე ხვიჩიას ძეგლი,იპოლიტე ხვიჩიასი, რომელიც თავისი ხალასი გამომეტყველებით თამაშობს ნარდს მთელი აზარტით (ზუსტად ისე, როგორც ახსოვს იგი ძველ თაობას). ამავე დროს რეკონსტრუქციის შედეგად უნდა შეიქმნას ერთი პატარა მოედანი, რომელსაც დიდი მსახიობის სახელი ეწოდება (სავარაუდოდ, ეს მოედანი დააკავშირებს ერთმანეთთან აღმაშენებლის, რუსთაველის, ირაკლი აბაშიძის გამზირებსა და ბუხაიძის ქუჩას).

### 4. სულიერების აკვანი

სადღეისოდ აღარ გამხდარა ქუთათურთათვის საპოლემიკო საგნად უნდა გადაიხუროს თუ არა ბაგრატის ტაძარი. დიახ, უნდა გადაიხუროს თავისი პირვანდელი დიდებულებით და თანამედროვე ტექნიკის საშუალებით - ელექტროგაყვანილობითა და გარეგანათებით. ოღონდ ერთი რომელიმე კუთხე ისე უნდა დარჩეს, როგორც ის დღესაა, ერთის სიტყვით, დაკონსერვდეს, როგორც ისტორიის სამსაუკუნოვანი დაღი. ტაძარში უნდა გაგრძელდეს არქეოლოგიური გათხრები და გათხრების შედეგად ნაპოვნი ნივთებიდან უნდა შეიქმნას ბაგრატის ტაძრის მუზეუმი, სადაც თავმოყრილი იქნება ამ დიდებული ტაძრის საგანძური - ხელნაწერები იქნება ეს თუ უნიკალური ხატები. ამ მუზეუმის ბაზაზე უნდა შეიქმნას ხატწერის სკოლა, აგრეთვე სპეციალური სახელოსნოები, რომელთა ნახელავებით იმოსება წმიდა ეკლესიები. აგრეთვე უნდა გაიხსნას საბაგირო გზა ბაგრატის ტაძრიდან მოწამეთისა და გელათის მიმართულებით, რომელიც იმუშავებს ზამთარ-ზაფხულ ნებისმიერ ამინდში.

ყველა ქალაქს თავისებური მომხიბვლელობა აქვს და განსაკუთრებით რომანტიულად მიმზიდველია ღამის ქალაქები. ასევეა ქუთაისიც. ღამის ქუთაისი უნდა განათდეს რამპებით და უარი უნდა ვთქვათ ელექტრობოძებზე (ეს გარკვეულ ელფერს მისცემს ქალაქს თეატრალურისას). უნდა აღვადგინოთ ლეგენდარული სასტუმრო „იალტა“ შესაძლებისდაგვარად თავისი შიდაინტერიერის აღდგენით (ეს რამდენადაც შესაძლებელი იქნება). რუსთაველის ხიდის ქვემოთ ე.წ. ტიტანიკის სკვერში უნდა დაიდგას მინის სცენა რიონზე (მდინარის ადიდების შემთხვევაში ამ სცენის დაზიანებისაგან სრული დაცვის მექანიზმებით). ამ ღია სცენაზე გაიმართება კონცერტები და საზაფხულო წარმოდგენა-ფესტივალები. ხოლო მაყურებელთა ამფითეატრი მოეწყობა ახლანდელი უნივერსიტეტის სტამბის ადგილას (უნივერსიტეტის სტამბა მხოლოდ იმისთვის აშენეს, რომ დაემალათ გიმნაზიის შესანიშნავი ნაგებობა და შიდა ეზო).

ჯაჭვის ხიდიდან ვიდრე თეთრ ხიდამდე, რიონის კლდოვან სანაპიროზე უნდა გაკეთდეს ფეხით მოსიარულეთა ხეივანი, ხოლო რუსთაველის ხიდიდან ვიდრე ჭავჭავაძის ხიდამდე უნდა გაიჭრას სამანქანო გზა. ამით ჭავჭავაძის გამზირი და ნიკეას ქუჩის დასაწყისი უმოკლესი გზით დაუკავშირდება ქალაქის ცენტრს. ქალაქში მოთხოვნილება უნდა გაჩნდეს ღამის სეირნობებისა. ოქროს ჩარდახის მხცოვანი ჭადრის ყველა ტოტი ყოველ ღამით ისე უნდა იყოს განათებული, როგორც ზღაპრიდან გადმოსული ცქრიალა ციცინათელების განასვენარი და ეს ჭადარი უნდა იქცეს ქალაქის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად. ყოფილი წულუკიძის ბაღში კი უნდა დაიდგას პეტრე ჭაბუკიანის ძეგლი.

### 5. ძეგლები მიწას არ ამძიმებენ

და მაინც, შემეკითხებით, რა საჭიროა ამდენი ძეგლი?

მე კიდევ რიტორიკულად ვუპასუხებ კითხვას კითხვითვე - ძეგლები მიწას ამძიმებენ?

გააჩნია ვის ძეგლზეა საუბარი და გააჩნია იმასაც, თუ როგორი ძეგლია. თავი და თავი აქ ესთეტიკური გემოვნებაა, მხატვრული აზროვნების ჩამოყალიბება ქუთათურებში, რადგან იგი არათუ მხოლოდ თეატრალურია, იგი სრულიად ხელოვნების საფუძვლია მთელი საქართველოსი და ვაგლახ, რომ დღეს მეორეხარისხოვან (ახლა უკვე „ჩარეცხილ“, „ჩასარეცხები“ ალბათ სატახტო ქალაქში არიან) მწერლებად, პოეტებად, მხატვრებად, მსახიობებად, რეჟისორებად არიან წარმოჩენილნი საქართველოს ფონზე.

ვითომ ძეგლები უშველის რაფინირებული ინტელიგენციის მიძინებას?

დიდ საქმეს გააკეთებს! ქუჩაში რომ გაივლის ნებისმიერი ქუთაისელი, თვალი შეეჩვევა და დაიხვეწება გემოვნება, შემდეგ იმ დიდი პიროვნების მაგალითზე თავადაც გაკეთილშობილდებიან.

დღეს ცხვირი მოტეხეს ილო-ფოტოგრაფის ძეგლს?! ხვალ ათ მასეთს დავდგამთ!!!

ზეგ ფეხი მოამტვრიეს დები იშხნელების ძეგლს?! მაზეგ ათჯერ უკეთესად და ათასჯერ მეტს დავდგამთ, რადგან ნებით თუ არა, ძალით ამოვაგდებთ ახალგაზრდობაში ტლუ ბუნებასა და სრულ სიჩლუნგეს. ძეგლებზე უკეთ ამას ვერავინ გააკეთებს. და ერთიც, ძეგლი პოსტამენტებზე არ უნდა იდგეს, ისინი ნატურალური ზომით ადამიანისთვის ხელმისაწვდომად უნდა იყოს, რადგან ძეგლიც და კაციც რაღაცნაირ სულიერ ურთიერთკავშირში მოხვდნენ ერთმანეთთან, ქანდაკება თავად უნდა ამბობდეს თავის სათქმელს და არა პიედესტალზე საგანგებოდ გაკეთებული წარწერა. ესეც მოქანდაკის ხელოვნებასა და ტექნიკურ მხარეზეა დამოკიდებული.

და ოცნება - გასტონ ბორგლამს შექმნილი აქვს რაშმორის კლდოვან პლატოზე კლდეში ნაკვეთი მემორიალი - ამერიკის მამები (სამხრეთ დაკოტას შტატი). ეს მემორიალი შექმნილია 1927-1941 წლებში. ანალოგიური მემორიალი დაშვენდებოდა საქართველოს ქართველი მეფეების გამოსახულებით ხვამლის ასევე კლდოვან პლატოზე, მთელი კოლხეთის დაბლობისთვის რომ ხელმისაწვდომია სამზერლად.

ოცნებას წლები არა აქვს. ეს წლები და თარიღები განხორციელებულ ოცნებას უნდა ახლდეს თან.

### 6. თეატრისა და ბაზრის გასაოცარი შერწყმა

უცნაური ქალაქია ქუთაისი - თავისი სარკაზმითა და იუმორით. თვით ძველი დროიდან ქალაქის განაშენიანებაშიც არის რაღაც ირონიისმაგვარი: ქალაქის ცენტრში გვერდიგვერდ განლაგებულიყვნენ (და დღემდე ასეა) ადამიანთა სულიერი და მატერიალური საზრდოს წყარო - თეატრი და ბაზარი.

ასეთ უნიკუმს იშვიათად რომ სადმე შეხვდე რომელიმე ქალაქში - გინდ ევროპაში, გინდაც აზიაში, ან სულაც ამერიკაში - რომ ქუჩის ერთ მხარეს ოპერის სახელმწიფო თეატრი იყოს და ქუჩის მეორე მხარეზე საკოლმეურნეო ბაზარი. ასეთი რამ მხოლოდ ქუთაისში შეიძლება მოხდეს! და ეს მისი თვითმყოფადობა რაღაც ფორმით, მაგრამ მაინც უნდა იქნეს შენარჩუნებული, რადგან ეს მისეულია, მხოლოდ ქუთაისურია და მოფრთხილება სჭირდება ასეთ ფენომენალურ გამოვლინებას. მაგრამ აქაც ზომიერება და კულტურაა საჭირო. ამისათვის ბაზრის ტერიტორიის რაღაც ნაწილში უნდა აშენდეს საზაფხულო ამფითეატრი, რათა მეტად გაესვეს ხაზი ზემოთქმულს. რა თქმა უნდა ბაზრობის დღეებში წარმოდგენებს არავინ გამართავს, მაგრამ მოსაფიქრებელია ფორმა, თუ რა დატვირთვა მიეცემა მას, რათა ყოველდღიურობა გალამაზდეს. რუსეთში კარნავალის დონეზეა აყვანილი ბაზრობები და ზეიმით ელოდებიან „იარმარკას“. ჩვენც ანალოგიურად რომელიღაც ბაზრობის დღეს რაღაც სპეციფიკური საკარნავალო წარმოდგენა უნდა შევქმნათ ერთგვარი რეკლამის ფორმით.

### 7. დაბოლოს...

ერთი ასეთი იდეოლოგიური ნიუანსი უნდა ჩაიდოს ქუთათურთა პატრიოტულ აღზრდა-გამოწვრთნის საქმეში. ქალაქში თითოეულ საერთო საცხოვრებლის გამოსაჩენ კედლებზე უნდა წაეწეროს თითო სტროფი ლექსი ქუთაისზე ასე მაგალითად:

***„მშვენიერო ქუთაისო,***
***სავარდო და სამაისო,***
***ვინ ყოფილა შენი მავნე,***
***გულს ეკალი რომ დაგისო..!“***

აკაკი

ან კიდევ წყალტუბოდან ქუთაისის შემოსასვლელის რომელიმე საცხოვრებელ კორპუსზე:

***„წყალტუბოდან ქუთაისში***
***მიმავალო ქარო,***
***თუ მაისის ქუთაისმა***
***გკითხოს ვინა ხარო,***
***უპასუხე რომ სუნთქვა ხარ,***
***არ კი უთხრა ვისი,***
***ამას თვითონ მიგიხვდება***
***ჩემი ქუთაისი“*** გალაკტიონი

ან სულაც:

***„ავმაღლებულვარ ოცნებად,***
***და სიყვარულში ვბერდები***
***მე ქუთაისში ვცხოვრობ და***
***ჩემი სამოთხეც ეს არის...“***

ლილი ნუცუბიძე.

ამით რომც არ უნდოდეთ, მაინც წაიკითხავენ და გონებაში მკაფიოდ გაჯდება საკუთარი ქალაქის სიყვარული, პოეზიის სიყვარული და დროთა განმავლობაში ყველანი სათუთად გაუფრთხილდებიან ქუთაისს, საამაყო იქნება ყველასათვის ქუთაისის მოქალაქეობა;

- ესეც მაშინ, როცა მსოფლიო ავტოიმპერიები უნდა დავაინტერესოთ და შევუქმნათ ყველა პირობა, რათა ქუთაისის წარმოების მსუბუქმა ავტომობილმა „კუტაიამ“ თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს ავტოინდუსტრიაში;

- და ეს მაშინაც, როცა ქალაქის განაპირას უნდა აშენდეს ხელოვნური წყალსაცავი თბილისის ზღვისმაგვარი, სადაც რა თქმა უნდა, ტურისტული ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო შეიქმნება;

- და ეს იმ დროს, როცა გაბაშვილის გორაზე საქართველოში საუკეთესო დისნეი-ლენდისმაგვარი დასასვენებელი პარკი გვექნება საუცხოო ატრაქციონებით;

და ეს მაშინ, როცა ქალაქში ახალი ტიპის ტრამვაი „ლაით-რეალი“ ივლის, რომელსაც მატარებლის ხმა არ გააჩნია და იგი სწრაფმავალია, ქალაქის ერთი თავიდან მეორეში დროის უმოკლეს მონაკვეთში გადაადგილდები და თანაც კომფორტულად (უნდა ითქვას, რომ ასეთ ტრამვაის მრავალი ამერიკული ქალაქი, მათ შორის ჯერსი სიტიც იყენებს).

და ბოლოს, მსურს ჩემი წერილი დავასრულო იმით, რითაც დავიწყე:

ქუთაისში დღეს-დღეობით იმართება იუმორის ფესტივალები, მაგრამ ისინი ლოკალურ ხასიათს ატარებენ. ამ ფესტივალებს უნდა მიეცეს საერთაშორისო მნიშვნელობა და ეს მაშინ, როცა ქუთაისში გვექნება კინო-კონცერნი, თეატრისა და კინოს აკადემია, დაარსდება მრავალი თეატრი, ბულვარში ღია ცის ქვეშ გვექნება კინოდარბაზი, საესტრადო სცენა რიონზე, სადაც გაიმართება ხსენებული კინოსა და თეატრის, ან თუნდაც იუმორის საერთაშორისო ფესტივალი მთელი თავისი პომპეზურობით. ამ ფესტივალში გამარჯვებულთა ვარსკვლავები ჰოლივუდის დარად ქვაფენილებად დაიგება ბულვარის გაყოლებაზე.

იუმორის ფესტივალის სიმბოლიკის „ჭიჭიკო და ბიჭიკო“ ძეგლი დაიდგმება ქალაქის ერთ-ერთ შემოსასვლელში, რომლის მცირე ასლიც იქნება ამ ფესტივალის ჯილდოც. ორგანიზებას და აკადემიურობას უზრუნველყოფს თვით თეატრისა და კინოს აკადემია.

ამდენად ქუთაისში ახალი სიცოცხლის სიო დაუბერავს. ქუთაისში ცხოვრება საამაყო იქნება და რაც მთავარია შინაარსიანი, რადგან ქუთაისი აღადგენს თავის კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციას და იგი ნამდვილად გადაიქცევა ლიტერატურის, თეატრის, კინოს, ავტო „ინდუსტრიის მშენებელ“ ქალაქად და მოსახლეობაც ამდენი ეკონომიკური სიდუხჭირისაგან ერთხელ და სამუდამოდ ამოისუნთქებს. ■

# იმგზავრეთ ჩვენთან ერთად

PANORAMA TRAVEL

ჩვენი ოფიციალური წარმომადგენელია: Georgian Airways

ორი გზა: ნიუ-იორკი-თბილისი 400 $-დან + Tax



MANHATTAN
156 Fifth Avenue, Suite 934, New York, NY 10010, USA
(212) 741-0033

ვსაუბრობთ ქართულად

BROOKLYN
1035 Brighton Beach Ave. Office #2, Brooklyn, N Y 11235, USA
(718) 615-0088

www.panoramatravel.com



## მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობის უახლოესი და ყველაზე შედეგიანი მეთოდი




ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!

ექიმ მერაბ ბოთერის
# VEIN & LASER CENTER

ექიმი მერაბ ბოთერი - ქირურგი, 35 წლიანი მუშაობის გამოცდილებით ყოფილ საბჭოთა კავშირსა და და აშშ-ში. ქირურგიის ამერიკული საბჭოს დიპლომირებული. აგრეთვე ატარებს თიაქარის, ბუასილის, სწორი ნაწლავის დაავადებების და კანის წარმონაქმნების ოპერაციებს.

**მსხვილი ვარიკოზული ვენების ლაზერულ ცენტრში ვიყენებთ ყველაზე ეფექტურ, უახლეს მსოფლიო კლასის ტექნოლოგიას და მკურნალობის მეთოდებს, ვატარებთ კომპლექსურ მკურნალობას უკანასკნელი თაობის ლაზერის საშუალებით.**

- მიკროქირურგია ულტრაბგერის გამოყენებით;
- თანამედროვე სკლეროთერაპია.
- პროცედურის ხანგრძლივობა – 30-90 წუთი
- პროცედურის დროს შემოგთავაზებთ კინოფილმების ნახვას

პროცედურის შემდეგ შეიძლება სახლში ან სამსახურში წასვლა.

***მსხვილი ვარიკოზული ვენების მკურნალობა საჭიროა დროულად, ვიდრე არ წარმოიქმნა:***

ყავისფერი ლაქები კანზე; ფეხის კანის გამსხვილება და შემჭიდროება; სისხლდენა დაზიანებული ვენებიდან; წყლულები;

**660 92nd Street, Bay Ridge, Brooklyn, NY 11228**
(კონსულტაცია, გამოკვლევა და მკურნალობა)
**102-51 Queens Blvd, Forest Hills, Queens, NY 11375**
(კონსულტაცია და გამოკვლევა); **1-718-238-1555**

ვსაუბრობთ ქართულად!

**იმკურნალეთ, ვიდრე არ გახდა განუკურნავი!**

წვრილ ვარიკოზულ კაპილარებს „ქსელებს" წარმატებით განვკურნავთ ლაზერით და სკლეროტირებით. მსხვილი და წვრილი ვარიკოზული ვენების ამ მეთოდით მკურნალობას ანაზღაურებს უმეტესი სადაზღვევო კომპანია.








## იყიდება

ვაკეში, მრგვალ ბაღთან, მცხეთის ქუჩაზე დუპლექსი, პენთ-ჰაუზი მე-9-10 სართულებზე. საერთო ფართი 250მ2, თეთრი კარკასით, კომუნიკაციებით, ესაჭიროება მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი. ფასი შეთანხმებით. დაგვიკავშირდით: (99)50-59-00 გია, (99)62-29-69 მაკა, (99532)23-29-69



POSTAL TELEGRAPH – COMMERCIAL CABLES
CLARENCE H. MACKAY, PRESIDENT
TELEGRAM
CLASS OF SERVICE DESIRED: Fast Telegram / Day Letter / Night Telegram / Night Letter
The sender must mark an X opposite the class of service desired; otherwise the telegram will be transmitted as a fast telegram.
TELEGRAMS TO ALL AMERICA — CABLEGRAMS TO ALL THE WORLD
Receiver's Number / Check / Time Filed / Standard Time
Send the following Telegram, subject to the terms on back hereof, which are hereby agreed to.
Form 2

ჩვენო ნოდარ ვაშაკიძევ,

გილოცავთ 60 წლის იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს. ჩვენს სამეგობროსა და საახლობლოში შენი ლიდერობა შეუცვლელია. ამიტომაცაა, რომ განსაკუთრებით გვენატრებით და გვაკლიხარ.

ჩამოდი, "ახსოვნა ღვინოსავით არ დაგვიძველო და მოგონებებით ნუ დაგვახრჩობ".

"საძმო ტრაპეზი" თბილისიდან





**დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს უძვირფასესს მარინა გიორგაძეს**

გულით და სულით გლოცავ შენს საყვარელ ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. ღმერთმა დაგლოცოს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და მისი მადლიანი კალთა იყოს შენი მფარველი.

**შენთვის კარგის მსურველი...**


ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი დონისა და ასაკის მსურველებს

ტელ: 718-784-1337
ლელა




### მილოცვა

პატარა **ანდრიას** დაბადებას ვულოცავთ **ანა დოლიძესა** და **ირაკლი კაკაბაძეს**. მშობლებივით სამშობლოს სამსახურში ერისკაცად ხილვას ვისურვებდით.

**„მამულის" რედაქცია**


Discount Store Plus




T-Mobile cingular WESTERN UNION GIROSOL La Nacional


მე ვარ თეკლე ორთოიძე. 8 წლის. [illegible]



სახლის მისამართი:
თბილისი, ვარკეთილის ზემო პლატო, მე-2 მიკრორაიონი, ბინა 65, კორპ. 16.

www.tekle.ge
+995 93 35 36 62 მობ.
+995 32 76 98 78 სახლი.

საბანკო რეკვიზიტები:
Intermediary Bank
Citibannk N.A., New York, USA
SWIFT: CITIUS33

Account With Institution
Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22
3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

Beneficiary: ORTOIDZE TEKLA
Account: 102532400:



7 ივლისს, 12 საათზე, ედისონის როუზჰილის სასაფლაოზე ქუთაითურთა შეკრება ბეჭდაუდებელი ფალავნის **კოლია ქვარიანის** ახლადნაკოვნ საფლავთან

28 აგვისტოს, სამშაბათს დილის 10 საათზე ნიუ იორკის წმიდა ნინოს სახელობის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაიწყება

## მარიამობისადმი

მიძღვნილი საზეიმო წირვა-ლოცვა, დამთავრების შემდეგ კი აღინიშნება ეკლესიის დაარსებიდან ოთხი წლისთავისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო ღონისძიება

*გეპატიჟებით!*

### სამძიმარი

გაზეთ „მამულის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება პროფესორ **ვახტანგ გოგუაძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „მამულის" რედაქცია ჭირში შიგან გამაგრებას უსურვებს „სინდისის პატიმარს" ირაკლი ბათიაშვილს ძვირფასი მამის, ცნობილი რეჟისორის **დიმიტრი ბათიაშვილის** გარდაცვალების გამო.

მანუჩარ კაჭახიძე თანაუგრძნობს დამწუხრებულ ოჯახს **მალხაზ ჯანაშიას** ემიგრაციაში გარდაცვალების გამო.

გაზეთ „მამულის" რედაქცია თანაუგრძნობს ჟურნალისტ ლეილა კვირიკაშვილს მამიდის **რუსუდან კვირიკაშვილის** გარდაცვალების გამო


ტურისტული სააგენტო
# Georgia-USA Travel

ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველოში და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
ფაქსი: 718-621-6846
ელ.ფოსტა: mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214






ასავალ დასავალის პარტნიორობით

მამული

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE



MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770



საქართველოში „მამულს" წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი" ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

გაზეთ „მამულის" რედაქცია მადლობას უხდის ჩვენი გაზეთის მკითხველებს მანანა ჯიქიასა და ნუნუ თაბუკაშვილს ამ ნომრის დაბეჭდვისათვის შეტანილი წვლილისათვის